ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

ხუთშაბათი, 17 ოქტომბერი, 2013 №246 (6247) ფასი: 30 თეთრი

„ახალი თაობა“
+
მსოფლიოს ხალხთა ზღაპრები ტომი 4
ფრანგული ზღაპრები
6 ლარი

მსოფლიოს ხალხთა ზღაპრები 4
ფრანგული ზღაპრები



# რატომ მიუვარდა ირაკლი კაკაბაძე ნაციონალებს ოფისში



გვ.3

კაკაბაძეს და მის რაზმს მასპინძლობა დეპუტატმა მიხეილ მაჭავარიანმა გაუწია. მან ბიჭები დაამშვიდა, რომ ისინი 1 თვეში მიიღებდნენ წერილობით პასუხს.

ნაცმოძი და მათთან დაახლოებული ექსპერტები იმის მტკიცებაში არიან, რომ არჩევნებამდე ერთი კვირით ადრე თავდაცვის მინისტრი გადადგება და ოპოზიციაში წავა. აღსანიშნავია, რომ ეს ინფორმაცია მანამ გავრცელდა, სანამ 2 ირაკლი ერთმანეთს ჯიჰადის ვიდეოების გამო დაუპირისპირდებოდნენ.

## რატომ შერიგდნენ ღარიბაშვილი და ალასანია



გვ.3

## ირაკლი ალასანია: „საომარი მოქმედებების შემსწავლელი კომისია სრულიად აპოლიტიკურია“

გვ.3

## მამუკა არეშიძე: „ვადამდელი არჩევნები საზოგადოების მოთხოვნაა“



გვ.4

## მოინახულებს თუ არა საქართველოს ელჩი კეზერაშვილს?!



გვ.6

## ვაჟა ზაქარეიშვილი: „მავთულხლართების გაბმის პროცესები შეჩერებულია“



გვ.6

## გიგი უგულავა: „ჯოზეფ ქეი პროკურატურას გაურიგდა“



გვ.5

## მარგველაშვილი დარწმუნებულია, რომ პრეზიდენტის სტატუსით ვილნიუსის სამიტს თავად დაესწრება



გვ.7

## ბაჩო ახალაია: „დღეს თუ ხვალ გამოვალ და ბოლომდე მივიყვან დაწყებულ საქმეს“



გვ.6

## ნინო ბურჯანაძე: „რასაც პირველი არხი გვთავაზობს, ეს დებატების პროვოკაცია და დადგმული სპექტაკლია!“



გვ.2

ISSN 1987-9385
9 771987 938006

7 ავთანდილ სულაბერიძე: „გადაშენება არ გვემუქრება“

2 ვანო მერაბიშვილი შესაძლოა, სასამართლო პროცესს არ დაესწროს

3 მარგველაშვილი ბოკერიას თანამდებობიდან გათავისუფლებას აპირებს

4 პროკურატურამ რადიო „ჰერეთის“ საქმის გამოძიება დაიწყო

# საქართველოში საარჩევნო გარემო დამშვიდდა

შორენა გონგლაძე

**— საპრეზიდენტო არჩევნების წინ მიმდინარე კამპანია შარშანდელი საპარლამენტო არჩევნების ჭრილში განიხილება და ის აშკარად უფრო მშვიდია, — განაცხადა დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ბიუროს გრძელვადიანმა საარჩევნო სადამკვირვებლო მისიამ თავის შუალედურ ანგარიშში.**

– თუმცა, საარჩევნო კამპანიის დასაწყისიდანვე აშკარაა მმართველ კოალიციასა („ქართული ოცნება“) და საპარლამენტო ოპოზიციურ პარტიას („ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“) და მათ ლიდერებს შორის დაძაბული კოჰაბიტაციის ნიშნები. ამას ემატება „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ რამდენიმე ხელმძღვანელი პირის, მათ შორის, გენერალური მდივნის, დაკავება და წინასწარი პატიმრობა – ნათქვამია ანგარიშში, რომელიც 19 სექტემბრიდან 11 ოქტომბრამდე პერიოდს მოიცავს.

აღნიშნავს რა იმ „მნიშვნელოვან პოლიტიკურ ცვლილებებს, რომლებიც 2012 წლის არჩევნების შემდეგ განხორციელდა ადგილობრივ დონეზეც, ანგარიში აცხადებს, რომ „საარჩევნო გარემოზე უარყოფითად იმოქმედა ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენლებზე პოლიტიკური ზეწოლის შესახებ განცხადებებმა.

ანგარიშის თანახმად, კამპანია ნაკლებად აქტიურად მიმდინარეობს. მისიის დაკვირვებით, კანდიდატები არ ჩქარობდნენ კამპანიის დაწყებას, თუმცა შეხვედრების რაოდენობამ იმატა სექტემბრის ბოლოდან და ყველაზე აქტიურები ამ მხრივ არიან ქართული ოცნების კანდიდატი გიორგი მარგველაშვილი, ნაციონალური მოძრაობის კანდიდატი დავით ბაქრაძე და დემოკრატიული მოძრაობა დ ერთიანი საქართველოს ლიდერი ნინო ბურჯანაძე.

– საარჩევნო პროგრამებში დომინირებს ეკონომიკური და სოციალური თემები, მათ შორის ხელფასების ზრდა, უმუშევრობის შემცირება და ჯანდაცვის მომსახურების გაუმჯობესება. „ქართული ოცნების“ შეკრებებზე აგრეთვე აქცენტი კეთდებოდა პრემიერ-მინისტრის განცხადებაზე საქართველოს თანადაფინანსების ფონდში ერთი მილიარდი აშშ დოლარის ღირებულების კერძო შემოწირულობის შესახებ. კანდიდატების უმრავლესობა აპელირებს აგრეთვე წინა მთავრობის ცხრაწლიანი მმართველობის შემდეგ „სამართლიანობის აღდგენაზე“. საარჩევნო კამპანიის თემებში შედის აგრეთვე რუსეთის ფედერაციასთან სამომავლო ურთიერთობები და ტერიტორიული მთლიანობის საკითხი – ნათქვამია ანგარიშში. საარჩევნო ადმინისტრაციასთან დაკავშირებით ანგარიში აღნიშნავს, რომ ცესკო ეფექტურად და გამჭვირვალედ მუშაობს.

ანგარიშის თანახმად, ეუთოს დამკვირვებლების ზოგიერთმა თანამოსაუბრემ შეშფოთება გამოხატა „მოცემულ საარჩევნო პერიოდში აუდიტის სახელმწიფო სამსახურის კონტროლის დაბალი დონით“. ადრე აუდიტის სამსახურს საერთაშორისო დამკვირვებლები იმიტომ აკრიტიკებდნენ, რომ ის „არაპროპორციულად“ იყენებდა თავის უფლებამოსილებას ოპოზიციის და მისი შემომწირველების წინააღმდეგ 2012 წლის ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების წინ. პარტიების და კამპანიის დაფინანსების მარეგულირებელ კანონმდებლობაში 2013 წლის აგვისტოში ცვლილებები შევიდა შარშანდელი საპარლამენტო არჩევნების დროს გამოვლენილი პრობლემური საკითხების გამოსწორების მიზნით.

მედია გარემოსთან დაკავშირებით, ანგარიშში ნათქვამია, რომ 2012 წლის არჩევნებთან შედარებით მედია სივრცე ნაკლებად პოლარიზებულადაა მიჩნეული, ხოლო ჟურნალისტები ძირითად პოლიტიკურ მოვლენებს უფრო ნეიტრალურად და მიუკერძოებლად აშუქებენ“. თუმცა ანგარიშში ასევე ნათქვამია, რომ კრიტიკული ანალიზისა და ანალიტიკური რეპორტაჟების ნაკლებობა კვლავაც აღინიშნება. – ნათქვამია ანგარიშში.



# ვანო მერაბიშვილი შესაძლოა, სასამართლო პროცესს არ დაესწროს

„ნაციონალური მოძრაობის“ გენერალური მდივნის ადვოკატების თქმით, რომლებმაც მერაბიშვილი გუშინ მოინახულეს, პროტესტის მიზეზი დაცვისა და ბრალდების მხარეების არათანაბარ პირობებში ყოფნაა.

ადვოკატებმა საქმის გასაცნობად მოითხოვეს, რომ პროკურატურას იმ 4 000 დასაკითხ პირთა სია წარმოედგინა, რომლებიც სასამართლოს წინაშე უნდა წარსდგნენ, რაზეც მათ უარი მიიღეს.

„წარმოუდგენელი ასეთ პირობებში დაცვა იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ ჩვენ ამ წუთამდე არ ვიცით, რომელი მოწმის დაკითხვას აპირებენ. ბუნებრივია, დაცვა ისეთ მდგომარეობაში დგება, რომ სრულყოფილად ვერ იქნება მომზადებული პროცესზე“, – განაცხადა ადვოკატმა გიორგი ჩივიაშვილმა.

ცნობისთვის, ვანო მერაბიშვილის პროცესი ქუთაისის საქალაქო სასამართლოში დღეს გაიმართება.

**პირველი**

# ნინო ბურჯანაძე: „რასაც პირველი არხი გვთავაზობს, ეს დებატების პროვოკაცია და დადგმული სპექტაკლია!“



პარტია „დემოკრატიული მოძრაობა ერთიანი საქართველოს“ ლიდერისა და საპრეზიდენტო კანდიდატის ნინო ბურჯანაძის განცხადებით, რომელიც მან გუშინ რუსთაველ ამომრჩევლებთან შეხვედრის შემდეგ ჟურნალისტებთან საუბარში გააკეთა, ის, რასაც პრეზიდენტობის კანდიდატებს საზოგადოებრივი მაუწყებელი სთავაზობს, დებატები არაა.

ნინო ბურჯანაძის თქმით, ის იმედოვნებს, რომ საზოგადოებრივი მაუწყებლის შეთავაზებაზე საპრეზიდენტო კანდიდატები უარს იტყვიან და რეალური დებატები გაიმართება.

„ჩემი ინფორმაციით, დებატები არ იმართება. ის რასაც პირველი არხი გვთავაზობს, სამწუხაროდ, ეს დებატების პროვოკაცია და დადგმული სპექტაკლია, სადაც აბსოლუტურად ხელოვნურად, დებატების პირველ ნაწილში ბატონი მარგველაშვილი, ბაქრაძე, თარგამაძე და ხარატიშვილი მიიწვიეს. დიდი იმედი მაქვს, რომ რომელიმე მათგანს ეყოფა თავმოყვარეობა, რათა უარი განაცხადოს ამ დებატებში მონაწილეობაზე და რეალური დებატები გაიმართოს.

მე მზად ვარ ბატონ მარგველაშვილთან დებატებში მონაწილეობის მისაღებად ნებისმიერ არხზე, ნებისმიერ დროს. რა დემოკრატიაზე გველაპარაკება მმართველი გუნდი, მაშინ როცა ერთ-ერთ მთავარ კანდიდატთან დებატებზე უარს აცხადებს. ეტყობა ასეთ დემოკრატიას გვპირდებიან, გარწმუნებთ, ასეთი დემოკრატია არავის სჭირდება“ – განაცხადა ბურჯანაძემ.

**ნიუსპრესი**

# ჯეიმს აპატურაიმ ალექსი პეტრიაშვილი შეაქო



კავკასიასა და ცენტრალურ აზიაში ნატოს გენერალური მდივნის სპეციალურ წარმომადგენელ ჯეიმს აპატურაის მოსაზრებით, თითოეული ქართველი კმაყოფილი უნდა იყოს იმით, რომ ალექსი პეტრიაშვილი მათ საქმეს აკეთებს. ამის შესახებ მან ფესიბუკის საკუთარ გვერდზე დაწერა, სადაც ევროინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრ ალექსი პეტრიაშვილთან გამართულ შეხვედრას გამოეხმაურა.

„ალექსი პეტრიაშვილმა ცხადად, რეალურად და დამაჯერებლად ისაუბრა მომავალ საპრეზიდენტო არჩევნებსა და მათი მაღალ დონეზე ჩატარებაზე, ასევე საქართველოს ნატოში გაწევრიანებაზე. ჩვენ ასევე ღიად განვიხილეთ საქართველოს წინაშე არსებული ყველა სირთულე. ვიცი, რომ საქართველოში განსხვავებული პოლიტიკური მოსაზრებები ზოგჯერ ძალიან ძლიერია, მაგრამ თითოეული ქართველი კმაყოფილი უნდა იყოს იმით, რომ ალექსი მათ საქმეს აკეთებს“, – აღნიშნავს ჯეიმს აპატურაი.

**მედიანიუსი**

# სკოლებში საგზაო ნიშნების და მოძრაობის უსაფრთხოების წესებს ასწავლიან

შორენა გონგლაძე

შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტომ მიმდინარე წლის ბოლომდე დაგეგმილი სიახლეები წარმოადგინა. სიახლეებია მართვის მოწმობისთვის გამოცდების ჩაბარებაში, კერძოდ, 2013 წლის ბოლოდან, მართვის მოწმობის მისაღები პრაქტიკული გამოცდის ჩაბარება შესაძლებელი იქნება, როგორც ავტომატურ, ასევე მექანიკურ გადაცემათა კოლოფის მქონე სატრანსპორტო საშუალებებზე. იმ შემთხვევაში, თუ მოქალაქე გამოცდას ავტომატურ გადაცემათა კოლოფის მქონე სატრანსპორტო საშუალებაზე ჩააბარებს, მას უფლება ექნება, მხოლოდ ავტომატური კოლოფის მქონე ავტომობილის ტარების. ხოლო მოქალაქე, რომელიც მექანიკურ გადაცემათა კოლოფის მქონე სატრანსპორტო საშუალებებზე ჩააბარებს, მას უფლება ექნება, მართოს ორივე სახის ავტომობილი.

ასევე შს სამინისტროს მომსახურების სააგენტო სისხლის ბანკთან ერთად სიახლის დანერგვას გეგმავს, რომლის განხორციელების შემთხვევაში, მართვის მოწმობაში მიეთითება მფლობელის სისხლის ჯგუფი და რეზუსი. სისხლის ბანკის დახმარებით მომსახურების სააგენტოს ტერიტორიაზე განთავსდება ლაბორატორია, სადაც უახლოეს მომავალში მსურველებს საშუალება ექნებათ, მართვის მოწმობის აღებისას უფასოდ მიიღონ ინფორმაცია საკუთარი სისხლის ჯგუფისა და რეზუსის შესახებ, ხოლო დონორობის შემთხვევაში (250 გრამი სისხლის გაღებისას) ჩაიტაროს უფასო გამოკვლევა 4 სახეობის ვირუსზე, რის საფასურიც ჩვეულებრივ წარმოადგენს 200-300 ლარს. მართვის მოწმობაში სისხლის ჯგუფის და რეზუსის აღნიშვნა ამ ეტაპზე ნებაყოფლობით ხასიათს ატარებს და მოხდება სისხლის ჯგუფის შესახებ ექიმის მიერ გაცემული ცნობის ან ადგილზე (სააგენტოში) ჩატარებული კვლევის საფუძველზე.

ასევე, პერსონალური გვერდი მომსახურების სააგენტოს ვებგვერდზე მიმდინარე წლის 9 სექტემბრიდან მომსახურების სააგენტომ მომხმარებელს შესთავაზა განახლებული ვებ-გვერდი, სადაც განთავსებულია ინფორმაცია სააგენტოს მიერ გაწეული მომსახურების და სტრუქტურული ერთეულების შესახებ. ამასთან, აღნიშნული ვებგვერდის საშუალებით შესაძლებელია სხვადასხვა ელექტრონული მომსახურებით სარგებლობა. მაგ: პერსონალურ ვებგვერდზე დარეგისტრირებულ მომხმარებელს საშუალება ეძლევა, მოიძიოს ინფორმაცია საკუთარ სახელზე რეგისტრირებული ცეცხლსასროლი იარაღისა და სატრანსპორტო საშუალებების სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ, დაჯავშნოს სასურველი სანომრე ნიშანი და ა. შ. უახლოეს მომავალში როგორც საქართველოში, ისე ქვეყნის ფარგლებს გარეთ მყოფ პირებს საშუალება ექნებათ, ვებგვერდზე ელექტრონული განაცხადის შევსების საფუძველზე სატრანსპორტო საშუალებათა მართვის მოწმობის ან/და ტრანსპორტის სარეგისტრაციო მოწმობის შეცვლა ან დაკარგულის აღდგენა; ვებგვერდის საშუალებით ასევე შესაძლებელი იქნება უცხო ენაზე შედგენილი დოკუმენტების ქართულ ენაზე თარგმანის სერვისის შეთავაზება.

სატრანსპორტო საშუალების მართვის მოწმობის მისაღები თეორიული გამოცდის მობილური აპლიკაცია მომსახურების სააგენტოს ტექნიკური ჯგუფი მუშაობს პლატფორმებისათვის მობილური აპლიკაციის შესაქმნელად, რაც მომხმარებელს საშუალებას მისცემს, ნებისმიერი ადგილიდან მოიძიოს მართვის მოწმობის მისაღები თეორიულ გამოცდისთვის საჭირო პროგრამა და ტესტები, ამასთან, დაჯავშნოს თეორიული გამოცდის დრო და თარიღი.

მომსახურების სააგენტოს სარეგისტრაციო დარბაზის მოდერნიზება და მომსახურე პერსონალის ტრენინგი, მიმდინარე წლის დაგეგმილი სიახლეები ასევე გულისხმობს თანამედროვე სტანდარტების გათვალისწინებით სარეგისტრაციო დარბაზის მოდერნიზებას. ასევე იქნება რიგის დაცვის ახალი სისტემა, განახლებული ტექნიკური დათვალიერების ობიექტი. მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით სააგენტოს მომსახურე პერსონალი გადის სპეციალიზებულ ტრენინგის პროგრამას.

რაც შეეხება საგანმანათლებლო დაწესებულებებს, საგზაო ნიშნების და მოძრაობის უსაფრთხოების შესწავლას, დღეისათვის „საგზაო ნიშნები და მოძრაობის უსაფრთხოება“ – როგორც სასკოლო პროგრამის ერთ-ერთი არჩევითი საგანი უკვე ისწავლება საჯარო სკოლების მაღალ კლასებში. მომსახურების სააგენტო განათლების სამინისტროსთან ერთად გეგმავს აღნიშნული საგნის – „საგზაო ნიშნების და მოძრაობის უსაფრთხოება“, როგორც სავალდებულო დისციპლინის სწავლებას საგანმანათლებლო დაწესებულებებში, რათა თითოეულ მოქალაქეს ჰქონდეს ზოგადი ცოდნა საგზაო მოძრაობის ნიშნებისა და მოძრაობის უსაფრთხოების წესების შესახებ, მიუხედავად იმისა, აპირებს თუ არა იგი მომავალში სატრანსპორტო საშუალების მართვას.

# ავღანეთიდან საქართველოში 155 სამხედრო დაბრუნდა

ავღანეთიდან საქართველოში 155 სამხედრო მოსამსახურე დაბრუნდა. მე-4 ქვეითი ბრიგადის 42-ე ბატალიონის ჯარისკაცები მისიას ექვს თვის განმავლობაში ასრულებდნენ.

სამხედროებს აეროპორტში საქართველოს თავდაცვის მინისტრი დახვდა. ირაკლი ალასანიამ ქართველ ჯარისკაცებს სამშობლოში მშვიდობით დაბრუნება მიულოცა.

„მინდა დიდი სიამაყით ვთქვა, რომ ეს ის ვაჟკაცები არიან, რომლებიც უმაღლესი პროფესიონალიზმით ემსახურებიან როგორც საერთაშორისო, ასევე, საქართველოს უსაფრთხოებას. მინდა მათ დიდი წარმატება ვუსურვო“ - განაცხადა ალასანიამ

ჯარისკაცების დასახვედრად აეროპორტში გაერთიანებული შტაბის უფროსი პოლკოვნიკი ირაკლი ძნელაძე, მისი პირველი მოადგილე, ბრიგადის გენერალი ვახტანგ კაპანაძე, მეოთხე ქვეითი ბრიგადის მეთაური პოლკოვნიკი ზაზა ლელაძე, გაერთიანებული შტაბის სხვა ოფიცრები და ჯარისკაცების ოჯახის წევრები იმყოფებოდნენ.

42-ე ბატალიონის კაპრალს გიორგი ჩადუნელს აეროპორტში მეუღლე და 3 კვირის შვილი დახვდნენ, რომლის დაბადება კაპრალმა საქართველოში დაბრუნების შემდეგ შეიტყო. აეროპორტში ასევე მივიდნენ რუსთავის №2 სკოლის ბავშვები და პედაგოგები. მადლობის ნიშნად სამხედროებმა სკოლას საქართველოს დროშა უსახსოვრეს.

როტაციის გეგმის მიხედვით, 42-ე ბატალიონი საქართველოში სრულად კვირის ბოლომდე დაბრუნდება. ისინი ავღანეთში ბათუმის ცალკეული მსუბუქი ქვეითი ბატალიონის სამხედროებმა ჩაანაცვლეს.

**მედიანიუსი**

ახალი თაობა

გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

## რატომ მიუვარდა ირაკლი კაკაბაძე ნაციონალების ოფისში

შორენა მარსაგიშვილი



ნაციონალურ მოძრაობას აშკარად ცუდი პერიოდი უდგას. შარშან ამ დროს ალბათ ვერავინ წარმოიდგენდა, რომ მათ იფისში ვინმე შეიჭრებოდა. ახლა კი ეს მარტივი გასაკეთებელია. და ეს რომ ასეა, ამაში გუშინ ყველა დარწმუნდა.

ნაციონალები გუშინ თავისთვის მშვიდად მუშაობდნენ, როცა მათ ოფისში 2 მამაკაცი შეიჭრა ხმაურით. დაუპატიჟებელი სტუმრები ირაკლი კაკაბაძე და ყოფილი პოკიტპატიმარი გიორგი გაბედავა აღმოჩნდნენ. მათთან ერთად ნაცმოძის მისადგომენთან კიდევ 23 ადამიანი იმყოფებოდა.

ისინი ნაციონალებს „თანასწორობის ინსტიტუტის" სახელით ეახლნენ და კითხვებზე პასუხის გაცემა მოსთხოვეს.

ირაკლი კაკაბაძის თქმით, 10 დღის წინ მათ ნაციონალურ მოძრაობას შეკითხვით მიმართეს, რაზეც პასუხი არ მიუღიათ. კერძოდ, ისინი ითხოვდნენ მიხეილ სააკაშვილის ბიოგრაფიას, გასული საუკუნის 89-90-იან წლებში იყო თუ არა სააკაშვილი რუსეთის სპეცსამსახურის წარმომადგენელი.

კაკაბაძეს და მის რაზმს მასპინძლობა დეპუტატმა მიხეილ მაჭავარიანმა გაუწია. მან ბიჭები დაამშვიდა, რომ ისინი 1 თვეში მიიღებდნენ წერილობით პასუხს.

ამ პასუხმა დაუპატიჟებელი სტუმრები აღაშფოთა. ორაკლი კაკაბაძემ ლექსების კითხვა დაიწყო. სააკაშვილის ლექსებზე გაზრდილ ნაციონალებს მის მიერ წაკითხული ლექსები არ მოეწონათ. ნაცმოძელებმა კაკაბაძეს სთხოვეს გარეთ გამართე პოეზიის საღამოო.

ეს წინადადება ირაკლი კაკაბაძეს არ მოეწონა და არც შენობის დატოვებას აპირებდა. ამის გამო მასპინძლები იძულებული გახდნენ, რომ პატრული გამოეძახებინათ. პატრულმა კაკაბაძე ნაცმოძის ოფისიდან გააძევა.

გაძევებულებმა აქცია ნაცმოძის ოფისის წინ განაახლეს. ირაკლი კაკაბაძის განცხადებით, საუბარი არ არის იმაზე, რომ სააკაშვილი რუსეთის უშიშროების აგენტია, თუმცა მათ აქვთ ინფორმაცია, რომ საბჭოთა უშიშროებაში მუშაობდა, ასევე, ეკავა ოფიცრის წოდება და აინტერესებთ, აქვს თუ არა ნაცმოძრაობას იმის დამადასტურებელი მტკიცებულებები, რომ პრეზიდენტი ამ უწყებაში აღარ მუშაობს. კითხვას, საიდან აქვთ მათ ასეთი ინფორმაცია და რაზე დაყრდნობით ასკვნიან, რომ სააკაშვილი რუსეთის უშიშროების ოფიცერი იყო, კაკაბაძე პასუხობს, რომ ერთ-ერთ გაზეთში გამოქვეყნდა სააკაშვილის ძველი ფოტო, სადაც მას შესაბამისი სამხრეები უკეთია. მისივე თქმით, არსებობს სხვა დოკუმენტებიც.

## მარგველაშვილი ბოკერიას თანამდებობიდან გათავისუფლებას აპირებს



კოალიცია „ქართული ოცნების" პრეზიდენტობის კანდიდატის გიორგი მარგველაშვილის განცხადებით, მისი პრეზიდენტობის შემთხვევაში უშიშროების საბჭოს მდივანი გიგა ბოკერია თანამდებობიდან გათავისუფლდება. ამის შესახებ მარგველაშვილმა ჟურნალისტებთან საუბრისას განაცხადა.

„გააგრძელებს თუ არა გიგა ბოკერია უშიშროების მდივნად ჩემთან მუშაობას? – არა!", – განაცხადა მარგველაშვილმა.

პრეზიდენტობის კანდიდატის თქმით, მას ბოკერიას შემცვლელზე უკვე ნაფიქრი აქვს, თუმცა მან სავარაუდო კანდიდატის დასახელებისგან თავი შეიკავა.

**მედიანიუსი**

# რატომ შერიგდნენ ღარიბაშვილი და ალასანია

შორენა მარსაგიშვილი



საქართველოში თავდაცვის და შინაგან საქმეთა მინისტრები ერთმანეთს დიდად არ სწყალობენ. ამ ტრადიციას დამოუკიდებლობის მოპოვებისთანავე ჩაეყარა საფუძველი. მას შემდეგ ძალოვნები ხან ღიად უპირისპირდებიან ერთმანეთს, ხანაც ფარულად უხლართავენ ინტრიგებს.

ინტრიგებს და გაუგებრობებს გვერდი ვერც ირაკლი ალასანიამ და ირაკლი ღარიბაშვილმა აუარეს. მართალია ერთმანეთი ტანკებით და „მუხებით" არ მოიკითხეს, მაგრამ დაპირისპირება სერიოზული იყო.

ზუსტად როდის და რის გამო დაიწყო მათ შორის დაპირისპირება, ვერ გეტყვით. ეს ამბავი საჯარო ჯიპადის ვიდეოების შემდეგ გამოვიდა სააშკარაოზე. მშობლიურ შსს-ს ამ ამბის გამოძიება შეაგვიანდა. ამის გამო კი ირაკლი ალასანიას აღშფოთება შემოაწვა გულზე. მან ამის გამო ორგზის დაგმო კოლეგა სეხნია. შს მინისტრს ტელეეთერით გამოსვლისას შეუთვალა, თუ შენ ვერ იძიებ, ჩემი ბიჭები გამოიძიებენო.

ღარიბაშვილმა თავდაცვის მინისტრის შეთავაზება იუკადრისა. ტელევიზიების საშუალებით ალასანიას დაუბარა, ყველამ თავის სამინისტროს მიხედოსო. ეტყობა, ამირსპასალარმა მსტოვართუხუცესის რჩევა გაითვალისწინა და ეს თემა რაღაც პერიოდი ჩაკვდა.

ცოტა ხნის წინ კი ირაკლი ალასანიამ „ტვ-3"-ის ეთერში კიდევ ერთხელ გამოხატა შეშფოთება ჯიპადის ვიდეოების გამოუძიებლობის გამო. ამის გარდა, დაიბარა, ცოტასაც ვაცლი ღარიბაშვილს და მერე მე გამოვიძიებ ამ საქმესო.

როგორც ამბობენ, ამ განცხადებამ დინჯი კახელი ღარიბაშვილი ფრიად აღაშფოთა. მისმა უწყებამ თავდაცვის მინისტრს მეორე დღესვე გაუჩალიჩა სიურპრიზი. შს სამინისტრომ გვამცნო, რომ ეს საქმე გახსნილი იყო.

შსს-ს განცხადებასაც დიდი ამბები მოჰყვა. ის სხვა საუბრის თემაა, ვის სჯერა და ვის არა ღარიბაშვილის უწყების ვერსიისა. ამბავი იმაზე ატყდა, მინისტრები ერთმანეთთან რომ დამდურებული იყვნენ. წინააღმდეგ შემთხვევაში თავდაცვის მინისტრს კი უნდა სცოდნოდა, ეს საქმე გამოძიებული რომ იყო.

ბუნებრივია, ღარიბაშვილს ამაზე ჟურნალისტები ჩაეკითხნენ. შს მინისტრმა დინჯად განმარტა, არაფერი უკითხავს და რატომ უნდა მეთქვაო.

მათი დაპირისპირების ისტორიაზე კიდევ ბევრი ილაპარაკეს. ორივე მათგანი საკმაოდ მნიშვნელოვან სამინისტროს უდგას სათავეში და ორივეს დიდი გავლენა აქვს. სხვადასხვა გამოკითხვებით, ერთი მათგანი ყველაზე პოპულარულია, ხოლო მეორე – ყველაზე გავლენიანი.

მას შემდეგ, რაც სააკაშვილს გაემიჯნა ალასანია, საზოგადოებისთვის ძალიან პოპულარული გახდა. მისი პერსონა ბიძინა ივანიშვილისთვისაც მისაღები აღმოჩნდა. პოლიტიკაში მოსულმა ივანიშვილმა ალასანია გვერდით დაიყენა. პრემიერმა არაერთხელ აღნიშნა, რომ მეოცნებეების საპრეზიდენტო კანდიდატი სწორედ ალასანია იქნებოდა.

ზუსტად არავინ იცის რატომ, მაგრამ ერთ მშვენიერ დღეს, მათ შორის ურთიერთობა გაფუჭდა. ბიძინა ივანიშვილმა მოგვახსენა, საპრეზიდენტო კანდიდატი ვახტანგ ხმალაძე იქნებაო. მერე ისიც დაიწუნა, მაგრამ მთავარი მაინც თავდაცვის მინისტრის ამბავია.

საპრეზიდენტოდ გამზადებული ალასანია თავდაცვის მინისტრად დანიშნეს და ვიცეპრემიერობაც უბოძეს. მერე მას პრემიერ ივანიშვილთან მძიმე საუბარი ჰქონდა და ვიცეპრემიერობასაც ჩამოაშორეს. ისიც გვაუწყეს, დივაიში ყოფნისას ნაციონალებს ეჭუკჭუკებოდაო. ბოროტი ხმები იმასაც ამბობენ, რომ გიორგი მარგველაშვილი ხშირად ებაასება გიგა ბოკერიას, მაგრამ ამის გამო მისთვის ფრთები არავის შეუკვეცავს.

ალასანია დღემდე არ მალავს, რომ მას საპრეზიდენტო ამბიციები აქვს. ექსპერტების დიდი ნაწილი ამტკიცებდა, რომ ზაფხულში ის თანამდებობას დატოვებდა და საპრეზიდენტო არჩევნებში დამოუკიდებლად მიიღებდა მონაწილეობას. ასეთ შემთხვევაში მას გამარჯვების არცთუ უმნიშვნელო შანსი ექნებოდა.

ამ მოლოდინმა არ გაამართლა. ახლა ნაცმოძი და მათთან დაახლოებული ექსპერტები იმის მტკიცებაში არიან, რომ არჩევნებამდე ერთი კვირით ადრე თავდაცვის მინისტრი გადადგება და ოპოზიციაში წავა. აღსანიშნავია, რომ ეს ინფორმაცია მანამ გავრცელდა, სანამ 2 ირაკლი ერთმანეთს ჯიპადის ვიდეოების გამო დაუპირისპირდებოდნენ.

ამ გაუგებრობამ ეს ჭორები კიდევ უფრო გაამწვავა. ამასობაში მორიგი კვლევები გამოქვეყნდა, საიდანაც გაირკვა, რომ ერში ყველაზე მეტი პოპულარობით ირაკლი ალასანია სარგებლობდა.

ალასანიაზე კომენტარების გაკეთება ბიძინა ივანიშვილსაც ხშირად უწევს. თავდაცვის მინისტრზე პრემიერმა ბოლოს რამდენიმე დღის წინ „საზოგადოებრივი მაუწყებლისთვის" მიცემულ ინტერვიუში ისაუბრა.

– ირაკლი ალასანია კარგი მინისტრია, მაგრამ მაგაზე კარგი მინისტრებიც გვყავს, – ამის შესახებ პრემიერმა ბიძინა ივანიშვილმა საზოგადოებრივ მაუწყებლისთვის მიცემულ ინტერვიუში განაცხადა.

კითხვაზე, რატომ შეირჩა მარგველაშვილის კანდიდატურა და არა ალასანიასი, როდესაც ამ უკანასკნელს მაღალი რეიტინგი აქვს, პრემიერმა რეიტინგებში ეჭვი შეიტანა. პრემიერის თქმით, პრობლემებია იმ რეიტინგებში, სადაც ალასანია ლიდერია: „პრობლემებია მაგ ეგრეთ წოდებულ რეიტინგებში, როდესაც თქვენ ამბობთ დაჟინებით, რომ ალასანია არის ლიდერი. ალასანია კარგი მინისტრია. მაგაზე კარგი მინისტრებიც გვყავს ჩვენ. მე ალასანიას დაჩრდილვა კი არ მინდა და დაჩაგვრა კი არ მინდა, მაგრამ ესეც ხელოვნურად გორდება და გორდება იმიტომ, რომ ისევ დაპირისპირება გამოიწვიონ, მაგრამ ამას ვერ მოახერხებენ, რადგან ჩვენ შეკრული გუნდი ვართ, – აცხადებს ივანიშვილი.

ოცნება რომ ერთი გუნდია, ამის დემონსტრირება ღარიბაშვილმა და ალასანიამ სცადეს. ოფიციალურად ეს უწყებათაშორისი სამუშაო შეხვედრად იქნა მონათლული.

მშობლიური შსს-ს ცნობით, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში თავდაცვის მინისტრი ირაკლი ალასანია იმყოფებოდა. კოლეგა ძალოვანი უწყებიდან შინაგან საქმეთა მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა მიიღო. რიგით მესამე სამუშაო შეხვედრას ასევე ესწრებოდნენ ძალოვანი მინისტრების მოადგილეები და საქართველოს შეიარაღებული ძალების გაერთიანებული შტაბის ხელმძღვანელი.

მინისტრებმა კრიზისის მართვის ერთობლივი კოორდინირებული მუშაობის, შსს-ს აკადემიასა და თავდაცვის აკადემიას შორის ურთიერთთანამშრომლობის საკითხები, მათ შორის, სპეციალისტების მომზადების საკითხი განიხილეს. შეხვედრაზე დაიგეგმა შინაგან საქმეთა და თავდაცვის სამინისტროების თანამშრომლების ერთობლივი წვრთნების ჩატარება.

მთავრობიდან გვაუწყებენ, რომ უწყებათაშორისი სამუშაო შეხვედრები მომავალშიც გაიმართება.

არაოფიციალურად კი, როგორც ამბობენ, ამ შეხვედრას სულ სხვა დატვირთვა ჰქონდა. ამით მეოცნებეებმა ყველას აჩვენეს, რომ ერთ მუშტად არიან შეკრული. ბოროტი ხმები კი ამტკიცებენ, რომ ალასანია და ღარიბაშვილი პრემიერის კატეგორიული მოთხოვნით შეხვდნენ ერთმანეთს. იმასაც ამბობენ, რომ პრემიერმა ორივე მათგანი დააწიოკა. ისე იმასაც ამბობენ, რომ ორივე მათგანი ივანიშვილის შემცვლელად მოიაზრება.

# ირაკლი ალასანია: „საომარი მოქმედებების შემსწავლელი კომისია სრულიად აპოლიტიკურია"

შორენა მარსაგიშვილი

ბოლო წლებში საქართველომ ყველა ომი წააგო. ომის წაგებას, ცხადია, უამრავი მიზეზი აქვს. წესით და რიგით, ხელისუფლებას ეს მიზეზები უნდა შეასწავლა. ამ საკითხის შესწავლით არც შევარდნაძის და არც სააკაშვილის ხელისუფლება არ დაინტერესებულა.

ახალმა ხელისუფლებამ კი სხვა გზა აირჩია. თავდაცვის სამინისტროში საომარი მოქმედებების შემსწავლელი სპეციალური კომისიაც კი შეიქმნა. ამ კომისიის შექმნას ნაციონალების მხრიდან დიდი წიოკი მოჰყვა. ნაცმოძი რატომღაც კატეგორიულად ეწინააღმდეგება, რომ 2008 წლის აგვისტოს ომის შესწავლა მოხდეს. მათი თქმით, ეს საკითხი უკვე შესწავლილია. ნაცმოძის მტკიცებით, პაატა დავითაიას კომისიამ ყველა კითხვას გასცა პასუხი.

ვისაც აღარ გახსოვთ, შეგახსენებთ, რომ პაატა დავითაიას კომისია 2008 წლის შემოდგომაზე შეიქმნა. ამ კომისიას თავი საქართველოს პრეზიდენტმაც კი დააკითხვინა. ამ კომისიამ ის დასკვნა დადო, რაც ნაციონალებს სურდათ. სიმართლე კი ბოლომდე არ არის გარკვეული.

ამ შემთხვევაში საუბარი იმაზე არ არის, თუ ვინ დაიწყო ომი. შესასწავლია თუ რა შეცდომები დაუშვა ქართულმა მხარემ. შეცდომები კი მართლაც ბევრი იქნა დაშვებული.

სწორედ ამ შეცდომების გამოსავლენად არის შექმნილი საომარი მოქმედებების შემსწავლელი კომისია, რომელიც თავდაცვის სამინისტროს ბაზაზე მოქმედებს. მართალია ეს კომისია აქტიურად მუშაობს, მაგრამ კომისიის მუშაობის შედეგები მიმდინარე წელს ცნობილი ვერ გახდება.

თავდაცვის მინისტრი ირაკლი ალასანია აცხადებს, რომ პირველი ეტაპის დასრულებისთვის კიდევ რამდენიმე თვეა საჭირო.

– შეიარაღებულ ძალებში შექმნილი კომისია საკმაოდ დიდი ტემპით მუშაობს. დაახლოებით 600-ზე მეტი ინტერვიუ და გამოკითხვა ჩატარებულია, მაგრამ არანაირად არ შედის ამ კომისიის გეგმებში, რომ ინფორმაცია უახლოეს პერიოდში გამომჟღავნდეს, იმიტომ, რომ ამას სჭირდება უფრო ღრმა ანალიზი. კიდევ ერთხელ ხაზს გავუსვამ, რადგან არჩევნებს დაუკავშირა ეს ვიღაცამ, ეს არის არა პოლიტიკური



შეფასება, არამედ ეს არის სამხედრო, ტაქტიკური და ოპერატიული შეფასება, რომელიც მხოლოდ ჩვენი ჯარის სამომავლო სტრატეგიის გაუმჯობესებას ემსახურება, – განაცხადა ჟურნალისტებთან საუბარში ირაკლი ალასანიამ.

მისივე თქმით, სწავლობს არა მარტო 2008 წლის ომის მოვლენებს, არამედ 90-იან წლებში განხორციელებულ საომარ მოქმედებებსაც.

– სპეციალური კომისია ანგარიშის პირველ ეტაპს წარადგენს თავდაცვის უწყებაში. რაღაც ნაწილი (არასაიდუმლო ნაწილი) საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომი იქნება, რათა ექსპერტებს ჰქონდეთ სწორი ანალიზის გაკეთების საშუალება, – განაცხადა მინისტრმა.

ალასანიამ უარყო ინფორმაცია, თითქოს აღნიშნული კომისია ასევე სწავლობს მიხეილ სააკაშვილის ბრალეულობას იმასთან დაკავშირებით, რომ პრეზიდენტმა სააკაშვილმა ჰაიდი ტალიავინს არასწორი ინფორმაცია მიაწოდა.

ირაკლი ალასანიამ ხაზგასმით აღნიშნა, რომ საქართველოს შეიარაღებული ძალების მიერ წარმოებულ საომარ მოქმედებებს კომისია წმინდა სამხედრო თვალსაზრისით შეისწავლის.

– რადგან არჩევნებს დაუკავშირა ვიღაცამ – ეს არის არა პოლიტიკური, არამედ სამხედრო, ტაქტიკური, ოპერატიული და სტრატეგიული შეფასება, რომელიც მხოლოდ ჩვენი ჯარის სამომავლო თავდაცვის სტრატეგიის გაუმჯობესებას ემსახურება. სულ მცირე რამდენიმე თვეა საჭირო, რომ ანგარიშის პირველი ეტაპი თავდაცვის უწყებაში წარდგეს. რაღაც ნაწილი საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომი – არასაიდუმლო იქნება, რათა თავდაცვისა და უსაფრთხოების საკითხებზე მომუშავე ექსპერტებს სწორი ანალიზის გაკეთების საშუალება ჰქონდეთ. შესწავლილი იქნება არა მხოლოდ 2008 წლის ომის მოვლენები, არამედ 90-იანი წლების საომარი მოქმედებებიც, – განაცხადა ალასანიამ.

მისი თქმით, საომარი მოქმედებების შემსწავლელი კომისია მიზნად ისახავს საქართველოს შეიარაღებული ძალების მიერ საქართველოს ტერიტორიაზე წარმოებული საომარი მოქმედებების, ასევე საზღვარგარეთ სამშვიდობო მისიებში მონაწილეობისას დაგროვილი გამოცდილების შესწავლას, გაანალიზებასა და გაზიარებას.

ამ კომისიის წევრები საქართველოს შეიარაღებული ძალების ხელმძღვანელი პირები და სხვადასხვა უწყებების წარმომადგენლები არიან.

# მამუკა არეშიძე: „ვადამდელი არჩევნები საზოგადოების მოთხოვნაა“

ნონა ცაბაძე

ექსპერტი კავკასიის საკითხებში მამუკა არეშიძე მიიჩნევს, რომ ყოფილი თავდაცვის მინისტრის, დავით კეზერაშვილის დაკავება წინა საარჩევნო კამპანიასაც უკავშირდება. ექსპერტის თქმით, ის ელოდა პროცესების ამგვარ განვითარებას და არც იმას გამორიცხავს, რომ არჩევნებამდე დარჩენილ ამ მოკლე დროში კიდევ უფრო სკანდალური დაკავებების და გახმაურებული საქმის გახსნის მომსწრენიც გავხდეთ.

„ახალი თაობა“ მამუკა არეშიძეს ესაუბრა:



***— სულ რაღაც ათი დღე რჩება საპრეზიდენტო არჩევნებამდე. როგორია თქვენი, როგორც ექსპერტის შეფასებები, რა პროცესებს უნდა ველოდოთ? საზოგადოებაში იმედგაცრუებაა, დავით ბაქრაძის სავარაუდო მეორე ადგილი არავის მოსწონს.***

— დავიწყოთ იქიდან, რომ ტენდენციაა ასეთი, რომ მეორე ადგილზე ბაქრაძე გავა, რაც დიდ გაღიზიანებას იწვევს საზოგადოებაში. ამომრჩევლის ცნობიერებაში ამკვიდრებენ ამ ტენდენციას. მე ვფიქრობ, რომ ეს მიდგომა არ არის ორგანიზებული მარტო ნაციონალური მოძრაობის მიერ და საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ. როგორც ჩანს, მათ გარკვეული ძალები ეხმარებიან. მიუხედავად იმისა, რომ ასეთივე კატეგორიულობით მკვიდრდება ცნობიერებაში, რომ უალტერნატივოდ პირველივე ტურში მოიგებს მარგველაშვილი, მე მაინც მგონია, რომ აი, ეს ფორმულა არის აბსოლუტურად ორგანიზებული. მე ვხედავ, რომ მარგველაშვილი გაიმარჯვებს, მაგრამ კატეგორიულად ვერ ვიტყვი, რომ ეს იქნება პირველივე ტურში. ასევე მე ვერ ვხედავ იმას, რომ იმ ორეულმა, რომელმაც პირველ-მეორე ადგილი უნდა გაიყოს, მაინცდამაინც ბაქრაძე იქნება მეორე. აქ არ არის ყველაფერი ისე, როგორ აზრსაც საზოგადოებას აწვდიან. ეს ტენდენციაა მხოლოდ და სხვა არაფერი. რაც შეეხება იმას, რომ საზოგადოებაში იმედგაცრუებაა, იმედგაცრუება, რასაკვირველია, არის. საზოგადოება გრძნობს, რომ უხეშად ზემოქმედებენ მათ ცნობიერებაზე, მათ განწყობებზე, სურვილებზე, პოზიციაზე. ამის გარდა მთელი ჯაჭვია იმედგაცრუებისა, რომელიც დაკავშირებულია სამართლიანობის აღდგენის პროცესთან და ბევრ სხვა შეუსრულებელ დაპირებასთან. მოკლედ, იმედგაცრუების მთელი თაიგულია და ეს ყველაფერი რასაკვირველია, უარყოფითად მოქმედებს ამ პროცესებზე და ამომრჩევლის ხასიათზეც.

***— თქვენ ფიქრობთ, რომ მარგველაშვილი პირველივე ტურში ვერ გაიმარჯვებს?***

— მე ვფიქრობ, რომ გაიმარჯვებს მარგველაშვილი, მაგრამ იმის თქმა ძნელია, ეს პირველ ტურში მოხდება თუ მეორე ტურში, მაგრამ ის გაიმარჯვებს. არა იმიტომ, რომ მას უკეთესი მონაცემები აქვს, არამედ იმიტომ, რომ მარგველაშვილის გამარჯვებით, საზოგადოება იმედს იტოვებს, რომ არჩევნების შემდეგ დამთავრდება კოაბიტაცია და დაიწყება ის პროცესი, რასაც დაჰპირდნენ საზოგადოებას.

***— სამართლიანობის აღდგენას ბურჯანაძეც ჰპირდება საზოგადოებას...***

— ბურჯანაძეც ჰპირდება ამას, მაგრამ საქმე ისაა, რომ, საზოგადოების აზრით, ბურჯანაძის გამარჯვების შემთხვევაში, შეიქმნება კონფრონტაციული სივრცე პარლამენტთან და დამატებითი კონფროტაციული ველი შეიქმნება. რის გამოც საზოგადოება თვლის, რომ ჯობია ისევ ოცნების წარმომადგენელმა გაიმარჯვოს, რომ თავიდან ავირიდოთ ქაოსი. ეს არის ქვეცნობიერი, ეს არის ადამიანისთვის დამახასიათებელი და ის არის შინაგანად წინააღმდეგი დამატებითი დაძაბულობისა.

***— ბატონო მამუკა, ექსპერტებისგან მომისმენია შეფასებები, რომ მეორე ტურზე ოცნებობდნენ ნაციონალები, ეს პროცედურულად დროშია გაწერილი და სააკაშვილის სურვილია, რომ როგორღაც ვილნიუსის სამიტზე პრეზიდენტის რანგში წარდგესო. ასეა?***

— მეც ვიზიარებ ამ მოსაზრებას. აქ კიდევ ბევრი სხვა საკითხია, არა მხოლოდ პრესტიჟის საქმეა ნაციონალების, აჩვენონ დასავლეთს, რომ მათ მოახერხეს ელექტორატის შენარჩუნება საპარლამენტო არჩევნების შემდეგ, რომ ის არჩევნები გაყალბებული კი არ იყო და იმიტომ კი არ აიღეს 40%, არამედ რეალურად ჰყავთ ამდენი მხარდამჭერი დ ასე შემდეგ. მათი მიზანია, დამკვიდრდნენ საერთაშორისო პოლიტელიტის ცნობიერებაში, როგორც რეალური ოპოზიციური ძალა, რომელსაც შანსი აქვს, რომ შემდგომი არჩევნების დროს კვლავ მოვიდეს ხელისუფლებაში. აი, ეს არის მათი ამოცანა. იმ შემთხვევაში, თუ პირველ ტურში ულაპარაკოდ გაიმარჯვა მარგველაშვილმა და ნაციონალებმა მიიღეს დაბალი პროცენტი, მაშინ ნებისმიერი მომდევნო წარუმატებლობა ნაციონალური მოძრაობის, აღიქმება, როგორც ლოგიკური შედეგი. ამიტომ ისინი ყველაფერს აკეთებენ ამ სამი ამოცანის განსახორციელებლად.

***— რამდენად გამოუვათ, ალბათ, ეს კიდევ სხვა თემაა...***

— ახლა ადგილებზე თუ არ მოხდა მოლაპარაკება ოცნების და ნაციონალების წარმომადგენლებს შორის, ისე არ გამოუვათ ეს ამბავი. ახლა მე რამდენიმე რეგიონი მოვიარე და ბურჯანაძის რეიტინგი ბევრად უსწრებს ბაქრაძის რეიტინგს.

***— თუმცა ყველანაირად ცდილობენ, რომ ეს არ დაფიქსირდეს...***

— შუბი ხალთაში არ დაიმალება. რად უნდა ამას დაფიქსირება, ჩავდივარ და ამას ადგილზე ვხედავ და ვგრძნობ. ხალხს ველაპარაკები და ვხედავ, რომ ბურჯანაძის უპირატესობა ბევრად უფრო აშკარაა. ამას ხალხიც ხედავს და იმიტომ არის გაღიზიანებული, რომ მათ თავს ახვევენ უკვე შემდგარ ფორმულას. საზოგადოების ამოცანა ისიც არის, რომ მათ მოახერხონ დამტკიცება იმისი, რომ ნაციონალური მოძრაობა უკვე აღარ არის პოლიტიკური ძალა, რომელსაც მომავალში შეიძლება რამის იმედი ჰქონდეს. საზოგადოებას კი აქვს დასახული ეს ამოცანა, მაგრამ ის ამ საქმეში მარტო გრძნობს თავს, ვერ ხედავს ხელისუფლების მხარდაჭერას, მის დახმარებას.

***— საზოგადოებას არაერთხელ მოუსმენია ახალი ხელისუფლების წარმომადგენლებისგან, რომ თუნდაც იგივე ბურჯანაძის მეორე ადგილზე გასვლას, ბაქრაძის მეორე ადგილზე გასვლა ურჩევნიათ...***

— ურჩევნიათ თუ არ ურჩევნიათ, საზოგადოება ამას ხედავს, დაუცველად და მარტოდ გრძნობს თავს და გაღიზიანება არის ყველას მიმართ. რა გამოდის, საზოგადოება ცდილობს, ხელისუფლებასთან ერთად გარკვეული ნაბიჯი გადადგას და ხელისუფლებას არ უნდა საზოგადოებასთან ერთად იყოს ამ კონკრეტულ შემთხვევაში.

***— თქვენთვისაც ცნობილია, რომ გუშინ ყოფილი თავდაცვის მინისტრი დავით კეზერაშვილი დააკავეს საფრანგეთში. საზოგადოებაში ამ ფაქტს დიდი გამოხმაურება მოჰყვა, თუმცა ბევრი იმასაც ფიქრობს, რომ ქართულმა ოცნებამ დაიწყო აქტიური წინა საარჩევნო კამპანია და პირველი ნაბიჯი ეს იყოო. თქვენ როგორ მიიღეთ ეს ფაქტი?***

— მე ამას ვვარაუდობდი და ვამბობდი კიდევაც. როდესაც მე ვაცხადებდი, რომ შესაძლოა გახმაურებული მკვლელობების გახსნის ფაქტი შედგეს არჩევნების წინ, როდესაც მე ვამბობდი, რომ ასეთ დაკავებებს უნდა ველოდოთ, მაშინ ზოგიერთი ექსპერტი და საზოგადოების წარმომადგენელი მითვლიდა, რომ ეს არის პოპულიზმი არჩევნების წინ. წინასაარჩევნო კამპანიას ეს ყველაფერი ახასიათებს, პოპულიზმიც ახასიათებს და პიარიც და ამაში ცუდი არაფერია. უხეში პიარი გვაღიზიანებს, თორემ ზოგადად პიარი არის პოლიტიკის თანამდევი პროცესი. პიარი გაშიფრულად ნიშნავს საზოგადოებასთან ურთიერთობას. არსებობს საზოგადოებასთან ურთიერთობის ეს ფორმა, რომ შენი ნამოქმედარი გააცნო საზოგადოებას. მე არ გამიკვირდება, თუ ეს პროცესები გაგრძელდება და მე ვვარაუდობ კიდევაც, რომ რამდენიმე მნიშვნელოვანი ამბავი იქნება არჩევნების წინ.

***— თქვენ ფიქრობთ, რომ ამ მოკლე პერიოდში უფრო მნიშვნელოვანიც მოხდება?***

— რასაკვირველია, მოხდება. ყოველ შემთხვევაში მე ვვარაუდობ, რომ ამ მოკლე პერიოდში მოხდება უფრო მნიშვნელოვანიც და ეს გახმაურებულ საქმეებს დაუკავშირდება.

***— ასევე ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების შესახებაც მინდა, რომ გკითხოთ. საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ ადგილობრივი არჩევნები ახლოვდება, საზოგადოება მოითხოვს, რომ ადგილობრივი და საპარლამენტო არჩევნები ერთდროულად ჩატარდეს. რასაც კატეგორიულად ეწინააღმდეგება ხელისუფლება. რას ელოდებით ამ კუთხით?***

— ვადამდელი არჩევნები არის საზოგადოების მოთხოვნა, იმიტომ, რომ მათ 2 ოქტომბერს აღმოაჩინეს, რომ აურჩევიათ ხალხი, რომელიც, რბილად რომ ვთქვათ, მათთვის მისაღები არ არის. საინტერესო ის არის, რომ პირველ ოქტომბერს ხალხს ჰქონდა თავისუფალი არჩევნის საშუალება, დიდი ხანია ასეთი რამ საქართველოში არ ყოფილა. ყოველ შემთხვევაში საქართველოს მოსახლეობის ძირითად ნაწილს ამის საშუალება ჰქონდა. ეს არ ეხება ქვემო ქართლს, ჯავახეთს და ზოგიერთ სხვა რეგიონს, მაგრამ დანარჩენ საქართველოს ნამდვილად ჰქონდა. ამის მიუხედავად უცებ აღმოაჩინეს, რომ ხელს არავინ უშლიდათ, მაგრამ არ აურჩევიათ ის ხალხი, ვინც მათ სჭირდებოდათ. ძირითადად საზოგადოებამ და ხალხმა მხარი დაუჭირა ბიძინა ივანიშვილს. იქიდან გამომდინარე, მას მერე, რაც თავისუფლების ხარისხი გაიზარდა, საზოგადოებამ უკვე რევიზია მოუწყო საკუთარ არჩევანს. ამიტომ არის, რომ მოთხოვნა გაჩნდა ვადამდელი არჩევნების. ხალხი ხედავს იმასაც, რომ ამ კოჰაბიტაციის პროცესში მათ მიერ არარჩეულმა ზოგიერთმა პარლამენტის წევრმა გადაწყვიტა, კოჰაბიტაცია სათავისოდ გამოეყენებინა. მე ვგულისხმობ თავისთვის ფინანსური კეთილდღეობის შექმნას. სწორედ ამიტომ, პროტესტის განწყობა არის მაღალი. ახლა რაც შეეხება იმას, შედგება თუ არა რიგგარეშე არჩევნები. ამ შემთხვევაში ძალიან ბევრია დამოკიდებული იმაზე, თუ როგორ ჩაივლის საპრეზიდენტო არჩევნები. მე ხაზგასმით მინდა ვთქვა, საზოგადოებას სერიოზული ბერკეტი აქვს ხელში და ეს არის ადგილობრივი არჩევნები, სწორედ გაგებული რომ იქნეს ჩემი ნათქვამი, უკეთ ავხსნი, დღეს საზოგადოებას აქვს იმის შანსიც, რომ გარკვეული ზეწოლა მოახდინოს ხელისუფლებაზე ამ არჩევნების მეშვეობით, რასაკვირველია, კარგი გაგებით. ხალხს შეუძლია უთხრას ხელისუფლებას — ადგილობრივ არჩევნებზე არ გექნებათ ის შედეგი, რომელიც არის განსაზღვრული, თუ არ იქნება რიგგარეშე არჩევნების ფორმატიც. ეს ბერკეტი დღეს საზოგადოების ხელშია. თუმცა დაველოდოთ საპრეზიდენტო არჩევნებს და ყველაფერი ამის შემდეგ გაირკვევა.

***— საზოგადოებისთვის ალბათ დიდი მნიშვნელობა აქვს იმასაც, შეასრულებს თუ არა დანაპირებს გიორგი მარგველაშვილი კოაბიტაციის თაობაზე? თუ იქნება ეს მხოლოდ მასზე დამოკიდებული...***

— დიახ, გიორგი მარგველაშვილი აცხადებს, რომ 27 ოქტომბერს დასრულდება კოაბიტაცია, შესაძლოა ის თავის განცხადებაში სრულიად გულწრფელია, მაგრამ ისეთი ფორმები აქვს მიღებული ამ კოაბიტაციას, რომ ცოტა გართულდება მისი დასრულება. ეს კოაბიტაცია კი არა უკვე თანაცხოვრებაა.

***— საუბრის ბოლოს მომავალ პრემიერმინისტრზეც გკითხავთ, ბიძინა ივანიშვილმა განაცხადა, რომ ახალი პრემიერის ვინაობა არჩევნებიდან ერთ კვირაში გახდება ცნობილიო, თქვენი აზრით, ვინ შეიძლება იყოს პრემიერი? მოქმედი მინისტრებიდან იქნება რომელიმე თუ სრულიად ახალ კანდიდატურას წარუდგენს საზოგადოებას?***

— ამ სიტუაციაში ამას რაიმე გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს? ვინც არ უნდა იყოს მომავალი პრემიერი, მას ძალიან გაუჭირდება სიტუაციის მართვა. სახელგანთქმული მამის ჩრდილიდან რომ ვერ გამოდის შვილი, აი, სწორედ ასეთი სიტუაცია შეიქმნება. ასევე ქაოსსაც არ გამოვრიცხავ, როდესაც ამაზე ვსაუბრობ, წყინს ჩვენს პრემიერს, მე ქაოსში მაინცდამაინც არეულობას და ქუჩის ბარიკადებს კი არ ვგულისხმობ, მე ვსაუბრობ შიდა ქაოსზე, გაუჭირდება ახალ პრემიერს, თავი გაართვას სიტუაციას და ქაოსსაც სწორედ ეს გამოიწვევს.

## 31-ე ბატალიონი ავღანეთში მისიას მესამედ შეასრულებს

III ქვეითი ბრიგადის 31-ე ბატალიონმა ჰელმანდის პროვინციაში სამოქმედო რაიონი ამავე ბრიგადის 33-ე ბატალიონისგან ოფიციალურად გადაიბარა.

„რეგიონალური სარდლობა სამხრეთ-დასავლეთის“ დაქვემდებარების ქვეშ, ქართველი ჯარისკაცები აისაფ-ის მისიას ამერიკელ საზღვაო ქვეითებთან ერთად მომავალი ექვსი თვის განმავლობაში შეასრულებენ.

თავდაცვის სამინისტროს პრესსამსახურის ინფორმაციით, 31-ე ბატალიონი მისიაში უკვე მესამედ იმყოფება. მათი მთავარი ამოცანა ოპერაციის რაიონში, ამბოხებულთა ძალების გაუვნებელყოფა, ადგილობრივი მთავრობისა და ეროვნული უსაფრთხოების ძალების განვითარების მხარდაჭერა და უსაფრთხოების ზონების კონტროლი იქნება. ოფიციალური გადაბარების ცერემონია ბაზა ლეზერნიკზე გაიმართა.

ღონისძიებას ქართველ სამხედრო მეთაურობასთან ერთად ამერიკელი, იორდანელი და ბრიტანელი სამხედრო პირებიც დაესწრნენ.

ჩრდილო-ატლანტიკური ალიანსის ეგიდით წარმოებულ აისაფ-ის ოპერაციაში მონაწილეობის მისაღებად 31-ე ბატალიონმა ექვსთვიანი ინტენსიური მომზადების კურსი გაიარა. ოპერაციების წარმოებისთვის, ქართველმა ჯარისკაცებმა ტაქტიკური მომზადება შეერთებული შტატების საზღვაო ქვეითების სასწავლო და საკონსულტაციო ჯგუფის ხელმძღვანელობით გაიარეს. ქვედანაყოფი ამბოხებულთა წინააღმდეგ სრული სპექტრის ოპერაციების ჩასატარებლად მომზადდა.

სამშვიდობო მისიის ხელმძღვანელობისა და „ქართული სამეკავშირეო ჯგუფის“ მიერ 33-ე ბატალიონის მიერ გაწეული სამსახური წარმატებულად შეფასდა. ოფიციალური მონაცემებით, 33-ე ბატალიონმა თავის სამოქმედო რაიონში ჩატარებული სამხედრო ღონისძიებების შედეგად მაქსიმალურად შეზღუდა ამბოხებულთა მოქმედებები, რამაც რაიონში სტაბილურად უსაფრთხო გარემოს ჩამოყალიბებას შეუწყო ხელი. სამხედრო მისია 33-ე ბატალიონმა უდანაკარგოდ შეასრულა და სრული შემადგენლობით საქართველოში ბრუნდება.

**ნიუსპრესი**

## მიხეილ სააკაშვილი: „რუსეთის იმპერიის აღორძინების ყველა მცდელობა კრახით დამთავრდება“

საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა, გუშინ სახელმწიფოს მშენებლობაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის, პროფესორი თენგიზ კიკაჩეიშვილი და დეპუტატი შოთა მალაშხია, ბრწყინვალების საპრეზიდენტო ორდენით დააჯილდოვა.



ღონისძიება პრეზიდენტის რეზიდენციაში გაიმართა. „რუსეთის იმპერია და მისი აღორძინების ყველა მცდელობა აუცილებლად კრახით დამთავრდება და იმპერია აუცილებლად დასრულდება. ეს ბუნებრივად მოხდება — ყველა სხვა იმპერიის მსგავსად, თავის არსებობას ეს იმპერიაც დაასრულებს“ — განაცხადა სააკაშვილმა.

საქართველოს პრეზიდენტმა ბრწყინვალების საპრეზიდენტო ორდენი ქართველ და ჩერქეზ ხალხებს შორის მეგობრული ურთიერთობის დამყარების საქმეში შეტანილი წვლილისთვის ანდრო გაბისონიასაც გადასცა.

პრეზიდენტის პრესსამსახურის ინფორმაციით, პოლიტოლოგი ანდრო გაბისონია უკვე წლებია, რაც ამ კონტაქტებისა და ორ ხალხს შორის მეგობრული ურთიერთობების გამყარებაზე მუშაობს. ის 2012 წლიდან, ჩერქეზული კულტურის ცენტრის ერთ-ერთი ხელმძღვანელია.

**ნიუსპრესი**

## პროკურატურამ რადიო „ჰერეთის“ საქმის გამოძიება დაიწყო

საქართველოს მთავარმა პროკურატურამ რადიო „ჰერეთის“ განცხადების საფუძველზე გამოძიება დაიწყო. „ჰერეთმა“ პროკურატურას 18 სექტემბერს მიმართა და კომუნიკაციების ეროვნული კომისიის საქმიანობის გამოძიება და წევრების მიმართ სისხლის სამართლებრივი საქმის წარმოების დაწყება მოითხოვა.

„ჰერეთის“ მიერ მთავარ პროკურატურაში შეტანილ სასარჩელო განცხადებაში მთავარი აქცენტი 2013 წლის 26 აგვისტოს ჩატარებულ კონკურსზეა გაკეთებული. საქმე ეხება თბილისში კერძო საერთო რადიომაუწყებლობის ლიცენზიის მოსაპოვებლად გამართულ კონკურსს, რომელიც „ჰერეთის“ მტკიცებით პროცედურული დარღვევებით, კონკურსის პირობებისა და „მაუწყებლობის შესახებ“ კანონის გვერდის ავლით წარიმართა.

„ჰერეთის“ მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ კომისიამ აბსოლუტურად დაუსაბუთებლად მიანიჭა ლიცენზია „ენერჯი გრუპს“, მიმდინარე წელს დაფუძნებულ კომპანიას, რომლის მფლობელებიც ფინანსთა ყოფილი მინტრი და სავაჭრო სამრეწველო პალატის პრეზიდენტი კახა ბაინდურაშვილი და ამავე პალატის ვიცე-პრეზიდენტი ლაშა ჩხენკელი არიან.

„ჰერეთის“ დამფუძნებელი რამაზ სამხარაძე მიიჩნევს, რომ საქართველოს კომუნიკაციის ეროვნული კომისიის წევრები გარკვეულ მაღალჩინოსნებთან კორუფციულ გარიგებებში არიან და ლიცენზიები მათი შეხედულებისამებრ გაიცემა.

**ნიუსპრესი**

# გიგი უგულავა: „ჯოზეფ ქეი პროკურატურას გაურიგდა“

*შორენა კოწოწაშვილი*

სამართლიანობის აღდგენის არცთუ აქტიური პროცესის ფონზე, სააკაშვილის ხელისუფლება მონა-ნოტარიუსად ცნობილი სასამართლო ხელისუფლება განიხილავს რამდენიმე ნაციონალი მაღალჩინოსნის საქმეს, რომელიც საზოგადოებაში ბევრ კითხვას აჩენს. მართალია, საზოგადოების უდიდესი ნაწილი ითხოვდა სამართლიანობის აღდგენას და დამნაშავე მაღალჩინოსნების დასჯას, თუმცა, როგორც ჩანს, ეს პროცესი არა მხოლოდ მდორედ მიდის, არამედ მთელი რიგი ხარვეზებითაც, რაც ანტისახელმწიფოებრივ და დამნაშავე პოლიტიკურ ძალად წოდებულ „ნაციონალურ მოძრაობას“ იმის საშუალებას აძლევს განაცხადოს, რომ პროკურატურა სუსტია, რომ უსუსური და შეთითხნილი ბრალდებებით მიდის საქმეები სასამართლოში და რომ ივანიშვილის ხელისუფლება საპარლამენტო უმცირესობის მომხრეებზე პოლიტიკურ დევნას ახორციელებს.

რამდენად საფუძვლიანი და დამაჯერებელია ნაციონალების ეს განცხადებები, ამას დრო აჩვენებს, თუმცა ამ ეტაპზე უკვე გამოკვეთილია, რომ სააკაშვილის გუნდის გავლენიანი ფიგურები ანუ ისინი, ვინც წინა ხელისუფლების დროს გადაწყვეტილებების მიმღებებად სახელდებოდნენ, დღეს მართლმსაჯულებისთვის თავის დაძვრენას ცდილობენ სხვადასხვა ხერხებით. ამაში კი მათ აშკარად ეხმარებიან ის პროკურორები, რომლებიც ბედის ირონიიდან გამომდინარე, იმ მაღალჩინოსნების საქმეებს იხილავენ, რომელთა მორჩილებაშიც ვარდების რევოლუციის შემდგომ იმყოფებიან.

რაც შეეხება თავად სააკაშვილის ხელისუფლების მაღალჩინოსანთა საქმეებს, აქ სასაუბრო უდავოდ ბევრია და მტკიცებულებებიც უდავოდ უნდა არსებობდეს. მართალია, იგივე დედაქალაქის მერმა გრიფით „საიდუმლო“ დაადო იმ საბიუჯეტო ხარჯებს, რომელიც წესით გამჭვირვალე უნდა ყოფილიყო, მაგრამ მონდომების და ობიექტური გამოძიების შემთხვევაში, იოლი დასათვლელი იქნება ის ზიანი და უკანონო ხარჯი, რომელიც უგულავას მერობის დროს დედაქალაქის ბიუჯეტს მიადგა მისივე თანაგუნდელის – ყოფილი მინისტრის, კობა სუბელიანის დახმარებით.

დღეს თბილისის საქალაქო სასამართლო იმედისა და რიყის ტერიტორიის გასხვისების საქმეს განიხილავს.

დედაქალაქის მერი გიგი უგულავა მის წინააღმდეგ არსებულ ბრალდებას პოლიტიკურად მოტივირებულს უწოდებს და აცხადებს, რომ ეს მოწმეთა ჩვენებებითაც დასტურდება.

– პროცესი კიდევ ერთი თვით გადაიდო. „სანტა-ბარბარას“ სერიალი გრძელდება. მიმდინარეობს პროკურატურის იდენტიფიცირებული მოწმეების დაკითხვა, აბსოლუტურად დაუსაბუთებელი და პოლიტიკურად მოტივირებული საქმეა. ამ თანხებს, რომელზეც საუბარია, ყველა პროცედურა აქვს გავლილი. შეიძლება პროკურატურა აფასებდეს კოლეგიალური და არჩევითი ორგანოს გადაწყვეტილებას? ეს იგივეა, პარლამენტმა კანონი რომ მიიღოს მძიმე ნაცრის ან ბუსუსებიანი პრეზერვატივების შესახებ და პროკურატურამ თქვას, ეს უკანონოა და ვიღაცამ ფული აიღო ამაშიო, – განაცხადა თბილისის საქალაქო სასამართლოში პროცესის დასრულების შემდგომ გიგი უგულავამ და გააპროტესტა კოლეგიალური და არჩევითი ორგანოების მიერ თანხის გამოყოფის თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების შემოწმება პროკურატურის მიერ.

თბილისის მერის განცხადებით, ყველამ კარგად იცის, ვინ არის ჯოზეფ ქეი და რა გარიგებაშია პროკურატურასთან.

– ქეი პროკურატურასთან გარიგებულია. აგერ რუსთავის მეტალურგიულ ქარხანას ართმევენ პატარკაციშვილების ოჯახს, რომ ჯოზეფ ქეი მოვიდეს სასამართლოში და ჩვენება მისცეს. ეს აბსურდია და პოლიტიკურად მოტივირებულია. დარწმუნებული ვარ, პროკურატურას შერცხვება, როდესაც დასრულდება აღნიშნული საქმე, რადგან ეს არის სირცხვილი და დარჩება პროკურატურის სირცხვილად, – აღნიშნა გიგი უგულავამ ჟურნალისტებთან საუბრისას.

თბილისის მერს აინტერესებს, რატომ არ ინტერესდება პროკურატურა იმით, რომ რიყის ტერიტორიაზე გამოცხადებულ არქიტექტურულ კონკურსში ფონდი „ქართუც“ მონაწილეობდა.

– გამორჩა იმიტომ, რომ რიყის ტერიტორიის კონკურსის დამთავრების შემდეგ, როდესაც არქიტექტურული კონკურსი მიდიოდა, მასში „ქართუ“ ფონდი იყო ჩართული. მე მადლობის მეტი არაფერი მეთქმის, რადგან ისინი დაგვეხმარნენ ორგანიზებაში და რამდენიმე ცნობილ არქიტექტორთან კონტაქტზე გასვლაში, მაგრამ როდესაც პროკურატურას 150 მოწმე ჰყავს დაკითხული, ეს დეტალი რატომღაც გამორჩა. რატომ გამორჩათ, თქვენ თვითონ განსაზღვრეთ. იმიტომ, რომ მაშინ უნდა დაკითხონ დღევანდელი მთავრობის თავმჯდომარე, რადგან ფონდი „ქართუ“ მას ეკუთვნის, – განაცხადა გიგი უგულავამ.



რაც შეეხება იმას, კრიმინალის დაფარვის გამო „გამორჩა“ თუ არა პროკურატურას „ქართუ“-ს დეტალი უგულავას საქმეში, დედაქალაქის მერი ცალსახად აფიქსირებს, რომ არანაირი კრიმინალი „ქართუ“ ფონდის კონკურსში მონაწილეობაში არ არის.

– საინტერესოა, რატომ არ აინტერესებს ეს დეტალი პროკურატურას, იქნებ ვაიძულებდით „ქართუს“, რომ მიეღო მონაწილეობა კონკურსში. ეს ხომ უნდა გაარკვიონ. თუმცა არ არკვევენ, რაც იმას მოწმობს, რომ პროკურატურას სურს ცალმხრივად აწარმოოს სისხლის სამართლის საქმე, – აღნიშნა გიგი უგულავამ.

აღსანიშნავია, რომ გუშინდელ სასამართლო პროცესზე ოთხი მოწმე – სულხან სისაური, ნიკა ჩხაიძე, პაპუნა პეტრიაშვილი და ნიკა გილაური დაიკითხნენ.

– არსებით განხილვაზე პროკურატურამ ოთხი მოწმე წარმოადგინა, რომელიც რიყის გასხვისების ეპიზოდს ეხებოდა. ოთხივემ დაადასტურა, რომ გასხვისება კანონიერად მოხდა და არანაირი უკანონობა არ ყოფილა. შესაბამისად, მოწმეები, რომლებიც პროკურატურას მოჰყავს, მათ არაფერს აძლევს, რომ რაიმე დანაშაულზე იყო საუბარი, – განაცხადა სასამართლო პროცესის შემდგომ დედაქალაქის მერის ინტერესების დამცველმა ადვოკატმა გიორგი ჩივიაშვილმა. მისი თქმით, დღეს პროკურატურამ ვერ შეძლო წარმოედგინა რაიმე დოკუმენტი თავდაცვის ყოფილი მინისტრის – დავით კეზერაშვილის დაკავებასთან დაკავშირებით.

უგულავას სასამართლო პროცესი 12 ნოემბერს განახლდება. მანამდე კი, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, გუშინდელ სასამართლო პროცესზე ჩვენება მისცა ყოფილმა პრემიერმა და ფინანსთა ყოფილმა მინისტრმა ნიკა გილაურმა. გილაური უგულავას და კეზერაშვილის ბრალდებებთან დაკავშირებით დაიკითხა.

ნიკა გილაური უსაფუძვლოდ მიიჩნევს პროკურატურის კითხვებს 2008 წლის დეკემბერში ცენტრალური ბიუჯეტიდან 31 მლნ ლარის გამოყოფასთან დაკავშირებით, საიდანაც 25 მლნ ლარი თბილისის ბიუჯეტს გადაეცა.

ყოფილი პრემიერის განმარტებით, საბიუჯეტო ცვლილებების დროს აღნიშნულ პროექტს საქართველოს მთავრობა წარადგენს პარლამენტში. მას პარლამენტი განიხილავს და ამტკიცებს, შემდეგ ეგზავნება პრეზიდენტს ხელმოსაწერად, შემდეგ გადაეცემა თბილისის მთავრობას, იგი განიხილავს და ამტკიცებს და საბოლოოდ განიხილავს და ამტკიცებს თბილისის საკრებულო.

– ამ პროცედურის გავლის შემდეგ თანხა დაიხარჯა და ახლა პროკურატურა დავობს, რატომ დახარჯა თბილისის მერიამ ეს თანხაო. ამ ლოგიკით შეიძლება, კითხვის ნიშნის ქვეშ დაისვას ყველა თანხა, რომელიც ბიუჯეტიდან გამოიყოფა. იგივე ხელფასებზე, პენსიებზე, გზებზე. ეს თანხები დაიხარჯა მაშინაც და იხარჯება ახლაც და ამ თანხაზე ყველა პროცედურა იყო დაცული, – განმარტა გილაურმა ჟურნალისტებთან სასამართლო პროცესის ბოლოს.

ყოფილი პრემიერი აცხადებს, რომ თანხის მიზნობრიობის განსაზღვრა მის მოვალეობაში არ შედიოდა, რადგან თბილისს თავისი საკრებულო აქვს და ბიუჯეტის მიზნობრიობას სწორედ ის განსაზღვრავს.

– ცენტრალური მთავრობის საქმეა გამოყოს ტრანსფერი. ეს არის, ჩემის აზრით, არადამადასტურებელი კითხვა, რომელიც პროკურატურამ დამისვა, – აღნიშნა ნიკა გილაურმა.

# ბანკ „რესპუბლიკის“ საშემოდგომო მენიუში სიახლეა

დღევანდელ საქართველოში ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული ბიზნესი, საბანკო ბიზნესია. საქართველოს სწრაფვამ დასავლეთისკენ, მისმა გეოპოლიტიკურმა მდებარეობამ, მისმა უდიდესმა საკურორტო თუ სატურიზმო პოტენციალმა, აგრეთვე წიაღისეული სიმდიდრეების, ლანდშაფტისა და რელიეფის საკმარისზე დიდმა მრავალფეროვნებამ და მიმზიდველობამ, გამოიწვია დასავლეთის ბიზნესსფეროების გაცხოველებული ინტერესი და სწრაფვა საქართველოსკენ. ეს მტკიცდება მათი გამოსვლებით სხვადასხვა ბიზნესფორუმებსა და სემინარებზე. შედეგად, საქართველო ჩაერთო ერთიან მსოფლიო საბანკო-საინვესტიციო ფერხულში. ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული ბანკი კი, საქართველოში, ბანკი „რესპუბლიკა“, ჯგუფ „სოსიეტე ჟენერალია“.




ახალი წელი ახლოვდება და, აბა, ისე როგორ იქნება, რომ ბანკმა „რესპუბლიკამ“ თავის მომხმარებელს მორიგი სიახლე არ შესთავაზოს. პირველად ქართულ საბანკო ბაზარზე ბანკი „რესპუბლიკა“ ჯგუფი სოსიეტე ჟენერალი“ მომხმარებელს კიდევ ერთ ნოვატორულ სიახლეს აჩუქებს. ყველა, ვინც 31 დეკემბრამდე აიღებს დაბალპროცენტიან მოკლე თუ გრძელვადიან სამომხმარებლო, იპოთეკურ ან მიკრობიზნეს სესხს, ბანკი „რესპუბლიკა“ ყოველთვიური შეტანილი თანხის ნაწილს სესხის ვადის დაფარვისას უკან დაუბრუნებს. დაბრუნებული თანხის რაოდენობა განსხვავდება არჩეული სესხის ვალუტის, ვადის, მოცულობისა და ტიპის მიხედვით.

მაგალითად, თუ მომხმარებელი აიღებს 10-წლიან 100.000 დოლარის ოდენობის იპოთეკურ სესხს 11 პროცენტად, ბანკი სესხის დაფარვისას უკან დაუბრუნებს 826 დოლარს. 3-წლიანი 30.000 დოლარის ოდენობის სამომხმარებლო სესხის 16 პროცენტად აღების შემთხვევაში კი, უკან 758 დოლარი დაუბრუნდება, ხოლო 2-წლიანი, 10.000 დოლარის ოდენობის ბიზნესსესხის დაფრვის შემდეგ კი – 506 დოლარი.

რაც მთავარია, დაბრუნებული თანხა მომხმარებელს შეუძლია დახარჯოს ან შეინახოს ანაბარზე და მშვიდად ადევნოს თვალი მათი დანაზოგის ზრდას.

2012 წელს, ბანკი „რესპუბლიკა“, ჯგუფ „სოსიეტე ჟენერალის“ მიერ შემუშავებული გლობალური სტრატეგიის თანახმად, მომხმარებელთან ურთიერთობის ახალ ეტაპზე გადავიდა. ახალი მიმართულება ბანკის თითოეული თანამშრომლისა და ყველა მომხმარებლის ერთიანობას გულისხმობს. მათ საერთო მიზანი აერთიანებს, სადაც თითოეული მხარის წარმატება მეორე მხარის წინსვლას ნიშნავს. ბანკმა ახალი მიმართულების შესახებ საზოგადოებას გასულ წელს განუცხადა. მას შემდეგ ბანკი „რესპუბლიკა“ ამ მიზნით თანმიმდევრულ ღონისძიებებს ახორციელებს. ერთ-ერთი ასეთი მათგანი კი, სწორედ ის ნოვაციაა, რომელიც უკვე გამცნეთ.

**რამაზ კუკულაძე, ბანკ „რესპუბლიკის“ კომერციული დირექტორი:**

– ბანკი „რესპუბლიკა“ ჯგუფი „სოსიეტე ჟენერალი“ მუდამ ცდილობს, მომხმარებელს ინოვაციური და მათთვის სასარგებლო აქციები შესთავაზოს. ჩვენი სურვილია, საზოგადოებაში დავნერგოთ თანხის დაგროვების კულტურა და ხელი შევუწყოთ მომხმარებელს მათი ფინანსების უკეთ მართვაში. ეს პროდუქტი კარგად გამოხატავს ჩვენი ბანკის ორიენტაციას გრძელვადიან და პარტნიორულ ურთიერთობებზე. ამ შეთავაზებით მომხმარებელი ორმაგ სარგებელს ნახავს: ერთიმხრივ ის სარგებლობს საუკეთესო პირობებით კრედიტზე და მეორემხრივ სესხის ვადის ბოლოს მას უკან უბუნდება ჩვენს მიერ დაგროვილი თანხა. ეს შეთავაზება ასევე საინტერესოა მიკრო და მცირე ბიზნესის მფლობელებისთვის. მსგავსი სიახლეებით, ჩვენ მომხმარებელთან ურთიერთობა სხვა განზომილებაში გადაგვაქვს. სტანდარტული საბანკო შეთავაზებებისგან განსხვავებით, ჩვენ ვუგროვებთ და ვუბრუნებთ თანხას, რომელიც ჩვენი ვარაუდით ისევ ამ ბიზნესის განვითარებას მოხმარდება.

ბანკი „რესპუბლიკა“ 2006 წლიდან ჯგუფ „სოსიეტე ჟენერალის“ წევრია. იგი საქართველოში ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული საბანკო ინსტიტუტია. ბანკი 1991 წელს დაარსდა და საცალო და კორპორაციულ ბაზარზე ლიდერის პოზიციას ინარჩუნებს. თავისი უნივერსალური ბიზნესმოდელით ბანკი „რესპუბლიკა“ კლიენტების საიმედო, გრძელვადიანი ფინანსური პარტნიორია. ბანკს ქვეყანაში 38 ფილიალი აქვს, სადაც კლიენტებს მარტივ, სწრაფ, ინოვაციურ პროდუქტებს და უმაღლესი ხარისხის მომსახურებას სთავაზობენ. ყოველწლიურად, ბანკ „რესპუბლიკის“ 1.000-მდე თანამშრომელი 225.000-ზე მეტ კლიენტს ემსახურება.

„სოსიეტე ჟენერალი“ ერთ-ერთი მოწინავე ევროპული საფინანსო ჯგუფია. უნივერსალური, დივერსიფიცირებული საბანკო მოდელი წარმატებით უთავსებს ერთმანეთს ჯგუფის ფინანსურ სიმტკიცეს და განვითარების მდგრად სტრატეგიას. „სოსიეტე ჟენერალის“ საბოლოო მიზანია, იყოს „ურთიერთობებზე ორიენტირებული“ ბანკი, ბაზრის აღიარებული ლიდერი, მაქსიმალურად დაუახლოვდეს მომხმარებელს და გამოირჩეოდეს უმაღლესი დონის პროფესიონალიზმითა და მომსახურების ხარისხით. მსოფლიოს 76 ქვეყანაში 154.000-ზე მეტი თანამშრომელი ყოველდღიურად 32 მილიონ კლიენტს ემსახურება. „სოსიეტე ჟენერალის“ თანამშრომლები ფიზიკურ პირებს, კორპორაციებს და ორგანიზაციებს საბანკო და საკონსულტაციო მომსახურებას უწევენ.

# მოინახულებს თუ არა საქართველოს ელჩი კეზერაშვილს?!

ნათია ხურცილავა

იუსტიციის მინისტრმა თეა წულუკიანმა მის ფრანგ კოლეგას მადლობის წერილი გაუგზავნა. მადლობა საფრანგეთის იუსტიციის მინისტრმა ქართველი კოლეგისგან კეზერაშვილის საქმესთან დაკავშირებით კარგი თანამშრომლობისთვის დაიმსახურა.

თეა წულუკიანმა გუშინ ჟურნალისტებთან თავდაცვის ყოფილი მინისტრის დავით კეზერაშვილის საფრანგეთში დაკავების ფაქტზე კომენტარი გააკეთა. წულუკიანის განცხადებით, ხელისუფლება ჩქარობს, რომ მისი ექსტრადიცია 40 დღეში მოხდეს. იუსტიციის მინისტრმა დაადასტურა, რომ კეზერაშვილი წითელი ცირკულარით არ იძებნებოდა.

ვიჩქარებთ, რომ კეზერაშვილის საექსტრადიციო პროცედურები 40 დღეში დასრულდეს, თუ არადა პატიმრობის გაგრძელებას მოვითხოვთ.

იუსტიციის მინისტრმა თეა წულუკიანმა დავით კეზერაშვილის საფრანგეთიდან ექსტრადირების საკითხზე საუბრისას განაცხადა, რომ 40 დღის ვადაში მთავარმა პროკურატურამ საფრანგეთის სასამართლოს უნდა წარუდგინოს მასალები იმ საქმესთან დაკავშირებით, რომელიც თბილისის საქალაქო სასამართლოშია აღძრული.

როგორც ცნობილია, საქალაქო სასამართლოში დავით კეზერაშვილთან დაკავშირებით ორ საქმეზე მიმდინარეობს განხილვა, ერთი საქმე ფულის გათეთრებას ეხება, მეორე კი ტელეკომპანია „იმედს", კორუფციულ გარიგებას.

– კეზერაშვილი წითელ ცირკულარში ჩართული ძებნილი არ ყოფილა, მიუხედავად ამისა, შინაგან საქმეთა სამინისტროს ინტერპოლის განყოფილებამ შესანიშნავად იმუშავა ფრანგ კოლეგებთან ერთად. ძალიან კარგად იმუშავა მთავარი პროკურატურის სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტმა და გუშინ საფრანგეთის სასამართლომ 40-დღიანი საექსტრადაციო პატიმრობა შეუფარდა კეზერაშვილს, რა ვადაშიც მთავარმა პროკურატურამ უნდა წარადგინოს მასალები სისხლის სამართლის იმ საქმესთან დაკავშირებით, რაც აქ არის აღძრული. ორი საქმეა – ერთი ეხება ფულის გათეთრებას და მეორე – ბიზნესის მფარველობის კუთხით კორუფციის მნიშვნელოვან საქმეს. ჩვენ, რა თქმა უნდა, ვიჩქარებთ, რომ კეზერაშვილის საექსტრადაციო პროცედურები 40 დღეში დასრულდეს, თუ არადა, პატიმრობის გაგრძელება იქნება მოთხოვნილი, როგორც ეს ხდება ნებისმიერ სხვა კლასიკური ექსტრადაციის საქმის შემთხვევაში, – განაცხადა წულუკიანმა.

გუშინ საქალაქო სასამართლოში აღნიშნული საქმის არსებითი განხილვა დაიწყო. კეზერაშვილთან ერთად საქმეში დედაქალაქის მერი გიგი უგულავაც ფიგურირებს.

ამ ეტაპისთვის დავით კეზერაშვილი საფრანგეთში წინასწარი დაკავების იზოლატორში იმყოფება.

როგორც საფრანგეთში საქართველოს ელჩმა ეკატერინე სირაძე-დელონემ განაცხადა, დავით კეზერაშვილის არ გამოუთქვამს სურვილი, რომ ის წინასწარი პატიმრობის საკანში საფრანგეთში საქართველოს საელჩოს წარმომადგენლებმა მოინახულონ. ელჩის განცხადებით, საელჩოს მხრიდან არსებობს მზადყოფნა პატიმრის მონახულების. თუმცა, ეს მისი სურვილით უნდა მოხდეს.



– ვიცით, რომ აიყვანეს ნიცაში და მას უკვე მიუსაჯა სასამართლომ 40 დღიანი წინასწარი პატიმრობა. ეს ის პერიოდია, როდესაც საქართველოს მხარემ უნდა წარადგინოს დამადასტურებელი საფუძველი, რომ მოხდეს მისი ექსტრადირება საქართველოში. მონახულებასთან დაკავშირებით ჩვენ მზად ვართ. ერთია, რომ ამას დრო დასჭირდება, იმიტომ, რომ პარიზთან ახლოს არ არის და გადაადგილებას დრო დასჭირდება, თუმცა პრობლემა არ არის. უბრალოდ, მხოლოდ ჩვენს სურვილსა და ნებაზე არ არის. იმიტომ, რომ თავად დავით კეზერაშვილის სურვილი უნდა იყოს და მან უნდა მოითხოვოს საელჩოს მონახულება. მას სურვილი უნდა ჰქონდეს ამისი. რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, ამ ეტაპზე მას ასეთი სურვილი არ გამოუთქვამს, – განუცხადა ეკა სირაძე-დელონმა „პირველ რადიოს".

# პაატა ზაქარეიშვილი: „მავთულხლართების გაბმის პროცესები შეჩერებულია"

ნათია ხურცილავა



სახელმწიფო მინისტრი რეინტეგრაციის საკითხებში პაატა ზაქარეიშვილი, იუსტიციის მინისტრი თეა წულუკიანი, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრი დავით ნარმანია და საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე დავით ზალკალიანი, საპარლამენტო უმრავლესობის წევრი გია ვოლსკი ოკუპირებულ სოფლებში მცხოვრები მოქალაქეების საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებაზე მსჯელობდნენ.

– ჯერჯერობით ჩანს, რომ მავთულხლართების გაბმის პროცესები შეჩერებულია, თუმცა ჩვენ დიდი ილუზიებით არ ვიკვებებით, – ამბობს ზაქარეიშვილი.

გამყოფ ხაზთან მდებარე სოფლების საჭიროებებზე რეაგირების დროებითი სამთავრობო კომისიის მორიგ სხდომაზე მინისტრთა კაბინეტის წევრებმა გარკვეული გადაწყვეტილებები მიიღეს.

– მავთულხლართების გაბმის პრევენცია მხოლოდ საქართველოს არ ხელეწიფება. აქ საჭიროა საერთაშორისო თანამეგობრობის მხარდაჭერა. ჯერჯერობით ჩანს, რომ პროცესები შეჩერებულია, მაგრამ ჩვენ დიდი ილუზიებით არ ვიკვებებით. დიდი იმედი გვაქვს, რომ პროცესების შეჩერება გაგრძელდება, მაგრამ რუსეთისგან ყველაფერი მოსალოდნელია. ჩვენ დღის წესრიგს რუსეთის მიერ განხორციელებული რაღაც ღონისძიებები არ უნდა მართავდეს. ჩვენ ხალხს ნებისმიერ პირობებში უნდა მივხედოთ, – განაცხადა ზაქარეიშვილმა.

მისივე თქმით, იგი ბოლო სამი დღის განმავლობაში საოკუპაციო ხაზის მიმდებარე სოფლებში იმყოფებოდა და ადგილობრივების საჭიროებებს გაეცნო, რაზეც კომისიის სხდომაზე სხვადასხვა უწყების ხელმძღვანელებმა ვიმსჯელეთ.

– სამუშაო ვითარებაა, მრავალი საკითხი განიხილება, მათ შორის შეშის მოგროვების და გაზიფიცირების საკითხები. მოგეხსენებათ, რომ ენერგეტიკის სამინისტრომ პირობა დადო, რომ 6 თვის განმავლობაში ამ სოფლების გაზიფიცირებას მოახდენს, – აღნიშნა ზაქარეიშვილმა.

დავით ნარმანიას გათვლებით საოკუპაციო ხაზის მიმდებარე სოფლებში არსებული პრობლემების მოგვარებას 20 მილიონ ლარამდე დასჭირდება.

– ყველა პრობლემა, რაც დღეს იქნა დასმული, ჩვენი მხრიდან გაანალიზებული იყო. გავაკეთეთ კონკრეტული გრაფიკები და სამუშაო ჯგუფები, რომლებიც ამაზე იმუშავებენ. ჯამში, რა ღონისძიებებზეც დღეს ვისაუბრეთ, ყველაფერი ერთად 20 მილიონ ლარამდე დაჯდება, რომლის ნაწილიც წელს უნდა დაფინანსდეს, მომდევნო ორი თვის განმავლობაში. რაც შეეხება დანარჩენ საჭიროებებს, განსაკუთრებით კი, გაზიფიცირების საკითხს, რაც 6 თვეზეა გაწერილი, ეს დამატებით მომდევნო წლის ბიუჯეტიდან უნდა დაფინანსდეს, – განაცხადა ნარმანიამ.

ინფრასტრუქტურისა და რეგიონული განვითარების მინისტრის თქმით, ვიდრე საპრეზიდენტო არჩევნების შედეგები არ გამოცხადდება, საარჩევნო კოდექსის 49-ე მუხლი მთავრობას დამატებითი დაფინანსების გამოყოფას და ახალი პროგრამების ინიცირებას უკრძალავს.

– მას შემდეგ, რაც არჩევნები დასრულდება, შეგვეძლება, მთავრობის სხდომაზე ახალი პროგრამები წარვადგინოთ, დავამტკიცოთ და ამ პროგრამების ფარგლებში დამატებითი სამუშაოების განხორციელება შევძლოთ, – აღნიშნა ნარმანიამ.

ნარმანიას განცხადებით, გამყოფ ხაზთან მდებარე სოფლებში 19 ახალი ამბულატორია აშენდება.

როგორც გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში დაზარალებული მოსახლეობის საჭიროებებზე რეაგირების დროებითი სამთავრობო კომისიის სხდომის დასრულების შემდეგ გახდა ცნობილი, იმ 81 ახალი ამბულატორიიდან, რომლის აშენებაც უკვე გადაწყვეტილია, 19 ამბულატორია გამყოფ ხაზთან მდებარე სოფლებში აშენდება.

– ჯანმრთელობის დაცვა ამ ადამიანებისთვის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხია. კომისიამ დღეს მოისმინა ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ ამ სოფლებში სამედიცინო პერსონალის გადამზადება იგეგმება, – აღნიშნა კომისიის თანათავმჯდომარემ, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრმა დავით ნარმანიამ.

იუსტიციის მინისტრმა თეა წულუკიანმა აღნიშნა, რომ მამაპაპური მიწების დარეგისტრირებაზე გააკეთა აქცენტი.

– საზღვრისპირა სოფლებში მიწების დარეგისტრირება სწრაფი ტემპით მოხდება. ჩვენ ამ ჯგუფის შექმნამდე მავთულხლართების მოწყობის მომენტიდან ვართ ჩართული, როგორც ჟენევის პროცესის მონაწილე ერთ-ერთი უწყება, მაგრამ ამ ჯგუფში კიდევ უფრო მეტი აქტივობით ჩავერთეთ. ყველა უწყება ამ საერთო საქმეში დებს თავის წვლილს. ჩვენი წვლილი მდგომარეობს იმაში, რომ საჯარო რეესტრმა მიიღო გადაწყვეტილება, საზღვრისპირა სოფლებში, იქ, სადაც მოსახლეობას საკუთარი მამაპაპისეული მიწები დარეგისტრირებული არ აქვს, ეს სწრაფი ტემპით აღვრიცხოთ და იქ, სადაც არის ამის საშუალება, საკუთრების უფლების დარეგისტრირება სწრაფად მოხდეს, – განაცხადა წულუკიანმა და დასძინა, რომ საჯარო რეესტრი დაზარალებულ მოსახლეობას მოემსახურება.

– ეს არის ამ ეტაპზე ჩვენი წვლილი, წინააღმდეგ შემთხვევაში, გამოვიდოდა, რომ იმ ხალხს, ვისაც მცოცავ ოკუპაციასთან პირდაპირი შეხება აქვს და არის მსხვერპლი, არ ექნებათ საკუთრების უფლება საკუთარ მიწაზე. ეს არ არის მხოლოდ ქვეყნის მიწა, ეს არის იმ თითოეული ქართველის მიწა, რომელიც იქ ცხოვრობს, – აღნიშნა თეა წულუკიანმა.

# ბაჩო ახალაია: „დღეს თუ ხვალ გამოვალ და ბოლომდე მივიყვან დაწყებულ საქმეს"

ნათია ხურცილავა



თავდაცვისა და შინაგან საქმეთა ყოფილი მინისტრის ბაჩო ახალაიას სასამართლო პროცესი საქალაქო სასამართლოში დღეს განახლდება. საქმე ე.წ. ციხის ბუნტს ეხება. თუმცა, სანამ სასამართლო პროცესი განახლდება, მანამდე ბაჩო ახალაია „ფეისბუკის" საკუთარ გვერდზე იმუქრება. მისი მუქარის ადრესატები ე.წ. ქურდული სამყაროს წარმომადგენლები არიან, რომლებმაც, როგორც ბოლო დროს ხშირად ისმის, ციხის მართვა კვლავ საკუთარ თავზე აიღეს.

დღევანდელი ხელისუფლების წარმომადგენლები აცხადებენ, რომ ე.წ მაყურებლების ინსტიტუტი ყოველთვის იყო, თავად ბაჩო ახალაიას დროსაც არსად არ გამქრალა. შესაბამისად, როგორც სასჯელაღსრულების მინისტრი სოზარ სუბარი აცხადებს, ეს მემკვიდრეობა მათ მიიღეს და არ აღდგენილა, როგორც ახალაია ამბობს.

დღეს თუ ხვალ, მე გამოვალ და დაწყებულ საქმეს ბოლომდე მივიყვან.

ბაჩო ახალაია კონკრეტულ ფაქტზე საუბრობს საკუთარ „ფეისბუკის" გვერდზე და შეფასებებს აკეთებს:

– რამდენიმე დღის წინ ქურდულმა სამყარომ ვატო ყიფიანის მეთაურობით კიდევ ერთხელ გაბედა ხელი აელო ადამიანის სიცოცხლესა და ჯანმრთელობაზე. ერთ-ერთი საპატიმროს დირექტორი სასტიკად იქნა ნაცემი. ეს არის კრიმინალური სამყაროს მცდელობა, ჩამოშალოს სახელმწიფოს ფუნდამენტი, ქვეყანაში ანარქია და ქაოსი დაამყაროს. ისინი ცდილობენ 1990-იანი წლების დასაწყისში დაგვაბრუნონ, როდესაც ქვეყნის ბატონ-პატრონი კრიმინალი იყო და ირგვლივ გამოძალვა, შანტაჟი, ძალადობა იყო გამეფებული და საქართველოს თითოეული მოქალაქე საფრთხის ქვეშ იმყოფებოდა. „ვარდების რევოლუციის" შემდეგ ჩვენ შევძელით მთლიანად მოგვერღვია ეს კრიმინალური სამყარო და მინდა, ყველას ვუთხრა, განსაკუთრებით კი ორგანიზებული დანაშაულის წარმომადგენლებს, არავის ეგონოს, რომ ეს ბრძოლა სახელმწიფოს მარცხით დასრულდა, – ამბობს ბაჩო ახალაია.

თავდაცვისა და შინაგან საქმეთა ყოფილი მინისტრი ამ ბრძოლის დასასრულებლად საკუთარ თავს სთავაზობს მათ და ამბობს, რომ მის დაწყებულ საქმეს ბოლომდე მიიყვანს.

– დღეს თუ ხვალ მე გამოვალ და ბოლომდე მივიყვან დაწყებულ საქმეს. მანამდე კი კრიმინალების მიერ ჩემთან ასოცირებულ სახელმწიფოს წარმომადგენლებზე ძალადობა უსუსურობის და ლაჩრობის ნიშანია და მეტი არაფერი. ორგანიზებული დანაშაული – ეს ერთ-ერთი საშინელი დაავადებაა ქვეყნისთვის და ამ სენის ადგილი ჩვენ სახელმწიფოში არ არის, – აცხადებს ბაჩო ახალაია.

# ვინ უხელმძღვანელებს საქართველოს დელეგაციას ვილნიუსის სამიტზე?

ნათია ხურცილავა

„აღმოსავლეთ პარტნიორობის" ქვეყნების დიპლომატიური მისიების ხელმძღვანელებს ვილნიუსის სამიტზე დასასწრებად მოსაწვევები 15 ოქტომბერს ლიტვის საგარეო საქმეთა სამინისტროში გადაეცათ.

მოსაწვევი მიიღო საქართველომაც, რომელიც საქართველოს ელჩს ლიტვაში გადაეცა.

ლიტვის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ გამოთქვა რწმენა, რომ ვილნიუსის სამიტი მნიშვნელოვანი ნაბიჯი იქნება ევროკავშირის დიალოგისა და „აღმოსავლეთ პარტნიორობის" თითოეულ ქვეყანასთან თანამშრომლობის გაღრმავების თვალსაზრისით. მან ასევე აღნიშნა, რომ სამიტის შედეგები პარტნიორ ქვეყნებს ევროკავშირთან პოლიტიკური და ეკონომიკური თანხვედრის მიღწევაში დაეხმარება.

ვილნიუსში „აღმოსავლეთ პარტნიორობის" რიგით მესამე სამიტი მიმდინარე წლის 28-29 ნოემბერს გაიმართება.

ვინ უხელმძღვანელებს საქართველოს დელეგაციას ვილნიუსის სამიტზე? ვინ იქნება ეს პირი, ჯერ ცნობილი არ არის.

ეს საკითხი 27 ოქტომბრის საპრეზიდენტო არჩევნებზეა დამოკიდებული. ვინ გახდება საქართველოს პრეზიდენტი, მოესწრება თუ არა ინაუგურაცია, რომელიც არჩევნებიდან 40 დღეში უნდა გაიმართოს თუ არჩევნების მეორე ტური იქნება საჭირო იმისთვის, რომ ახალი პრეზიდენტი გამოვლინდეს?

როგორც საგარეო საქმეთა მინისტრმა მაია ფანჯიკიძემ განაცხადა, ქართული დელეგაციის შემადგენლობა სამუშაო დონეზე გადაწყვეტილია.

არის ასეთი ფორმულა, სახელმწიფოს მეთაური პლუს 2 ადამიანი და შემდეგ 5-კაციანი დელეგაცია. ეს ის რაოდენობაა, რაც ოფიციალურადაა მიწვეული. გარდა ამისა, რასაკვირველია, თანამშრომლები, პრესის წარმომადგენლები შეიძლება, რომ წავიდნენ ვილნიუსში, თუმცა ოფიციალური მოწვევა, სწორედ ამ 8-კაციან დელეგაციას გულისხმობს. ჩვენ დელეგაციის შემადგენლობა სამუშაო დონეზე გადაწყვეტილი გვაქვს, მაგრამ ვინ იქნება მთავარი პირი საქართველოს მხრიდან, ეს ჯერჯერობით ცნობილი არ არის. მოწვევა მოსულია საქართველოს, როგორც სახელმწიფოს სახელზე და არა კონკრეტულად რომელიმე პირის სახელზე, მაგრამ მე დარწმუნებული ვარ, რომ არჩევნების მეორე ტური საჭირო არ იქნება და პირველივე ტურში „ქართული ოცნების" კანდიდატი გიორგი მარგველაშვილი გაიმარჯვებს, – განაცხადა ფანჯიკიძემ.

საგარეო უწყების ხელმძღვანელის თქმით, ვილნიუსის სამიტზე საქართველო და მოლდოვა ასოცირების ხელშეკრულების პარაფირებას, უკრაინა კი ხელის მოწერას ელოდება.



# ავთანდილ სულაბერიძე: „გადაშენება არ გვემუქრება“

მერი ნამორაძე

**ხელისუფლება მესამე შვილის წახალისების აუცილებლობაზე ალაპარაკდა. გამოიძებნება თუ არა სახსრები ბიუჯეტში საამისოდ, ძნელი სათქმელია. სავარაუდოდ, ხუთი წლის ასაკამდე უნდა მოხდეს მესამე შვილის დაფინანსება. აქცენტი იმ რეგიონებზე გაკეთდება, სადაც დეპოპულაცია ფიქსირდება. როგორც დემოგრაფიული საზოგადოების თავმჯდომარე, ავთანდილ სულაბერიძემ „ახალ თაობასთან" საუბრისას აღნიშნა, დემოგრაფიული პოლიტიკა მეტად ფაქიზი გასატარებელია და უამრავი ნიუანსის გათვალისწინებაა საჭირო.**

**ავთანდილ სულაბერიძე:**

– მივესალმები ამ ინიციატივას, მაგრამ გარკვეულწილად დისკრიმინაციაა. რიგითობის მიხედვით, კანის ფერის თუ რელიგიის მიხედვით. . . პირველმა და მეორე შვილმა რა დააშავა? თუ კერძო ფონდი აფინანსებს, მაშინ მისი გადასაწყვეტია, მერამდენე შვილს აფინანსებს და რამდენით. ჩემი წინადადება იყო ასეთი, რომ დეპოპულაციის ადგილებში მომხდარიყო მესამე ბავშვის სტიმულირება, რადგან მეოთხე და მეხუთე ბავშვი უკვე უტოპიაა. ვისაც სურს, ისედაც იყოლიებს. თუ საუბარია მესამე შვილის სტიმულირებაზე, მაშინ მეოთხეც უნდა დააფინანსო. მეოთხემ რა დააშავა? მოკლედ, აქ ბევრი მომენტია. პირველ-მეორე ბავშვს არ უნდა გაზრდა? პირდაპირ მესამე ხომ ვერ დაიბადება? ყოველი ახალი წევრი ოჯახის შემოსავალს ამცირებს. ამას კომპლექსური მიდგომა უნდა. მე მომხრე ვარ საოჯახო დეკლარაციების შემოღებისა. როგორც პარლამენტერები თუ თანამდებობის პირები ავსებენ, ისე შეავსონ ოჯახებმაც.

***– სად იქნება იმის გარანტია, რომ ოჯახები რეალურ შემოსავალს არ დამალავენ, ან რა საჭიროა ეს?***

– გარანტია არაფრის არ არის, მაგრამ მაკონტროლებელი ორგანო ხომ არის შემოსავლების. ერთი წლის განმავლობაში ვის რა შემოსავალი აქვს, ამის დადგენა შესაძლებელია და თუ 30 ან 50 ათასია წლიური შემოსავალი ოჯახისა, ის არ მიიღებს მესამე შვილზე დახმარებას. ეს სოციალური დაცვისთვისაც აუცილებელია და ხვალ-ზეგ მაინც მოგვიწევს ამის გაკეთება. არ ვიძახი, რომ ეს უკვე 2014 წლიდან გავაკეთოთ, მაგრამ ამისთვის უნდა მოვემზადოთ. დავუშვათ, მილიონერს შეეძინა მესამე ბავშვი, ის მაინც აიღებს დახმარებას. ეკუთვნის კანონით და იმიტომ. ხომ არ ჯობია შემოსავლების მიხედვით განვსაზღვროთ, მესამე შვილზე ვინ მიიღებს დახმარებას და ვინ არა!

მესამე შვილზე თანხის გაცემა უფრო სოციალური დაცვაა, ვიდრე სტიმულირება. სტიმულირება ის არის, ოჯახს ბავშვის ყოლის მოთხოვნილება გაუზარდო. ეს არის დემოგრაფიული პოლიტიკა. ვიღაც კი იტყვის, დახმარებას თუ მისცემ მესამე შვილზე, გააჩენსო, მაგრამ არ გააჩენს, იმდენად მწირი დახმარებაა. დემოგრაფიული ბაზარი აიღეთ – რომ გადიხართ ბაზარზე და რაიმე ნივთი არ გჭირდებათ, რაგინდ იაფი იყოს, არ იყიდით. თუ სახელმწიფო დახმარება იქნება, უნდა დავეხმაროთ ყველა ბავშვს და არა მხოლოდ მესამეს.

***– თქვენ დეპოპულაციის ადგილებზე გაამახვილეთ ყურადღება. კონკრეტულად რომელ რეგიონებზეა საუბარი?***

– სამხრეთ საქართველოს და აჭარის გარდა ყველა რეგიონი დეპოპულაციის რეგიონია – სამეგრელო, გურია, იმერეთი, შიდა ქართლი, კახეთი, რაჭა-ლეჩხუმი, აღმოსავლეთ კავკასიის მთიანეთი. სვანეთში მეტ-ნაკლებად სტაბილური ვითარებაა.

***– ბავშვთა ყოლის მოთხოვნილება თუ გაიზარდა საქართველოში, ბატონო ავთანდილ?***

– შობადობა მართალია გაიზარდა, მაგრამ 2018 წლიდან ისევ შემცირება დაიწყება ასაკობრივი სტრუქტურიდან გამომდინარე. იმ დროისათვის 30 პროცენტით ნაკლები ქალი შევა ქორწინებაში. ბავშვთა ყოლის მოთხოვნილებაც ამჟამად გარკვეულწილად სტაბილურია – 2,5-ია, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ 100 ქალი 250 ბავშვს გააჩენს. მოსალოდნელია ისევ მცირეშვილიანობაზე – 2-ზე დასვლა 2,5-დან. მესამე ბავშვის სტიმულირება რომ დავიწყოთ, გააჩნია, რა თანხებს გაიღებს სახელმწიფო. თუ სახელმწიფო აიღებს ამას თავის თავზე, თანხა ნაკლები იქნება. თუ კერძო ფონდი აიღებს, ძალიან კარგი. მაგრამ საუბარია 60 ათას ბავშვზე. ესეც პატრიარქის მოწოდების შემდეგ.

***– მესამე ბავშვის წილი რამდენია ამ რაოდენობაში?***

– მესამე ბავშვის წილი 15 პროცენტია. დაახლოებით 9-10 ათასია. თუ დავაკვირდებით, მცირდება პირველ ბავშვთა ხვედრითი წილი საერთო დაბადებულებში. ანუ შობადობა აშკარად დაეცემა. თუმცა გავზარდეთ მესამე ბავშვზე მოთხოვნილება პატრიარქის მოწოდებით. ყველა ბავშვს, ანუ 60 ათასს რომ მივცეთ 30 ლარი მაინც ყოველთვიურად, დაახლოებით 20 მილიონია საჭირო. დეკრეტული შვებულებებიც შემოვიღეთ ხომ? ცოტა ეს დახმარება, ცოტა დეკრეტული შვებულება და ეს უკვე სოციალური დახმარებაა და გარკვეულწილად სტიმული იქნება მესამე შვილის გასაჩენად. თუ მაინც არ აქვს ოჯახს მესამე შვილის მოთხოვნილება (და ამაზე უნდა ვიმუშაოთ, რომ მოთხოვნილება გაჩნდეს), მხოლოდ ფულადი დახმარებით შორს ვერ წავალთ.



რომ ვნახეთ განსხვავება ასაკში პირველ, მეორე და მესამე ბავშვს შორის, ვითარება ასეთია – პირველ და მეორე ბავშვს შორის განსხვავება 1-2 წელია, ხოლო მეორე და მესამე ბავშვს შორის ასაკობრივი სხვაობა 4-5 წელია. რას ნიშნავს ეს? ოჯახს უნდა მესამე შვილი, მაგრამ თავს იკავებს რაღაც პრობლემის გამო. გარკვეული სტიმული უნდა. აი, პატრიარქმა რომ თქვა, მე მოვნათლავ მესამე შვილსო, რომელსაც სურდა მესამე შვილი, ამაზე უარი აღარ თქვა.

***– საქართველოში მცხოვრებ სხვა ეროვნებებში თუ იზრდება ბავშვთა ყოლის მოთხოვნილება?***

– ბავშვთა ყოლის მოთხოვნილება ჩვენთან შედარებით მაღალი აქვთ ქურთებს, აზერბაიჯანელებს. შემცირდა სომხებში, აზერბაიჯანელებში, რუსებზე აღარ არის საუბარი. შვილთა ყოლის მოთხოვნილება დაბალია ბერძნებშიც. ჩვენ თუ მეოთხე ადგილზე ვიყავით ბავშვთა ყოლის მოთხოვნილების მიხედვით, ახლა გადავინაცვლეთ მესამე ადგილზე. ასე იყო – ქურთები, აზერბაიჯანელები, სომხები, შემდეგ ვიყავით ჩვენ. ახლა სომხებთან შედარებით ქართველებში გაჩნდა მეტი მოთხოვნილება შვილებზე. თუ ვინმე იკითხავს, ეს როგორ გაიგეთ, როცა ეროვნება აღარ იწერებაო, ვიგებთ დედის ეროვნების მიხედვით. თუმცა, ესეც არ არის ზუსტი მაჩვენებელი. დედა შეიძლება ქართველია, მაგრამ გათხოვილია სომეხზე. ბავშვი სრულწლოვანი რომ ხდება, მერე ის ირჩევს, დედის გვარზე დაეწეროს თუ მამის. თუ მამის გვარს აირჩევს, გამოდის, რომ სომეხია. ასე რომ, დედის მიხედვით განსაზღვრაც არ არის მთლად ზუსტი.

***– ქორწინების ასაკზე რას გვეტყვით?***

– ქორწინების ასაკი გაიზარდა – ქალებისთვის 27–30 წლამდე, კაცებისთვის – 30 წლამდე. ადრეულ ასაკში ქორწინება ნაკლებად არის შობადობის მასტიმულირებელი. იმიტომ, რომ ოჯახს რამდენი შვილიც ჰყავს დაგეგმილი, იმაზე მეტს მაინც არ გააჩენს. ერთი მომენტია კიდევ აქ, გვიანი ქორწინებები გამოწვეულია მატერიალური მდგომარეობით, შემდეგ კარიერით, ამის გამო ქალი გვიან თხოვდება. ჯანმრთელობის მდგომარეობა უფრო ნაკლებად არის ქორწინების გადავადების მიზეზი.

ძალიან ბევრი 30 წელს გადაცილებული ქალი გვრჩება გასათხოვარი. ჩვენ 30-40 წლამდე 30 პროცენტი გასათხოვარი ქალი გვყავს. თითქმის ყოველი მეხუთე ქალი გამოდის ფერტილური ასაკიდან ისე, რომ არც ერთი ბავშვი არ ჰყავს გაჩენილი. ეს ძალიან ცუდია. თუ ყურადღებას მივაქცევთ ამ მაჩვენებლებს, ეს შობადობის ზრდის პოტენციალია.

***– გადაჭარბებულია თუ არა მომაკვდავი ერის იმიჯი ქართველობისთვის?***

– მომაკვდავი პირობითია და ღმერთმა დაგვიფაროს. ამაზე ნაკლებნიც ვყოფილვართ, მაგრამ არ გადავშენებულვართ. საერთოდ, საზოგადოება როცა საკუთარ თავს კრიზისში ხედავს, უფრო მობილიზებულია. პატრიარქის მოწოდებამ მესამე ბავშვის გაჩენაზე ძალიან დიდი შედეგი გამოიღო და ამის პროპაგანდას ყოველდღიური ზრუნვა სჭირდება. არც ერთი ბილბორდი არ მინახავს, პატრიარქი რომ ნათლავს ბავშვს, იმ სურათით. ტელევიზიით კი აჩვენებენ ხოლმე, მაგრამ ზოგმა არც იცის ამის შესახებ.

ამ დუხჭირ ცხოვრებაში ძალიან რთულია, რამე გააკეთო, დემოგრაფიულ ფონდს ვგულისხმობ, რადგან კერძო ბიზნესზე ხარ დამოკიდებული. სახელმწიფოს დემოგრაფია თუ აქვს პრიორიტეტად გამოცხადებული, უნდა განაცხადოს, თუ რა უნდა – შობადობის ზრდა თუ სხვა რამ. ჩინეთი აცხადებს, რომ შობადობის კლება უნდა, თურქეთი აცხადებს, რომ სტაბილიზაცია ანუ იმავე დონეზე უნდა დატოვება. ჩვენ მომატება გვინდა. ამის დეკლარირება უნდა გააკეთოს სახელმწიფომ. რა თქმა უნდა, ჩვილთა მოკვდაობის შემცირება უნდა ყველას. ასევეა ქორწინებასთან მიმართებაში. როცა განაცხადებს სახელმწიფო, ამით პოლიტიკურ ნებას გამოხატავს. არც ერთი სახელმწიფო მოღვაწისგან არ მომისმენია, რომ რაიმე ეთქვას შობადობის ზრდაზე. ერთხელ განაცხადა ბურჯანაძემ, როცა პარლამენტის თავმჯდომარე იყო, ამ საქმეს მივხედავო, მაგრამ მერე გადადგა.

## იაფი ბიზნეს სესხი ლიბერთი ბანკისგან

ლიბერთი ბანკის კორპორატიული საბანკო საქმიანობის დეპარტამენტის თანათავჯდომარემ დავით ვერულაშვილმა ახალი პროდუქტი იაფი ბიზნეს სესხი წარმოადგინა.

ლიბერთი ბანკის იაფი ბიზნეს სესხი გაიცემა ლარში, საპროცენტო განაკვეთი განისაზღვრება 9%-დან. სესხის მინიმალური ოდენობა არის 30.000 ლარი, ხოლო მაქსიმალური 1.000.000 ლარი, სესხის ვადა განისაზღვრება 6 თვიდან 10 წლამდე.




იაფი ბიზნეს სესხის აღება შეუძლია საქართველოს რეზიდენტ იურიდიულ პირს, ბიზნესის წარმოების მინიმუმ ერთ წლიანი გამოცდილებით.

დავით ვერულაშვილის განცხადებით, აღნიშნული სესხი გაიცემა შემდეგი მიზნობრიობით: საბრუნავი საშუალებების ფინანსირება, მანქანა-დანადგარების შეძენა, უძრავ ქონებაში ინვესტიციის ფინანსირება, კომპანიის გამოსყიდვის ფინანსირება, პროექტის დაფინანსება, საინვესტიციო სესხი და ასევე ერთი ან რამდენიმე კომერციული ბანკის მიერ გაცემული სესხების კონსოლიდაცია-რეფინანსირებისთვის.

იაფი ბიზნეს სესხის საპროცენტო განაკვეთი არის ცვლადი და დამოკიდებულია საქართველოს მონეტარული პოლიტიკის კომიტეტის მიერ დადგენილი, მონეტარული პოლიტიკის განაკვეთზე.

ბანკის მხრიდან სესხის გაცემის შესახებ გადაწყვეტილება მიიღება საკრედიტო კომიტეტის გადაწყვეტილებით მსესხებლის ფინანსური მდგომარეობის გათვალისწინებით.

იაფი ბიზნეს სესხის ასაღებად მიმართეთ ლიბერთი ბანკის ფილიალებსა და სერვის ცენტრებს ან დარეკეთ +995 322 555 500/1444, ჩვენი კორპორატიული ბანკირი მინიმალურ დროში დაგიკავშირდებათ.

## პატრულმა უკანონო ცეცხლსასროლი იარაღი ამოიღო

შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, თბილისში უკანონო ცეცხლსასროლი იარაღი ამოიღეს. სამინისტროს პრესსამსახურის ინფორმაციით, სამართალდამცველებმა „მიცუბიში“-ს მარკის ავტომანქანა წერეთლის გამზირზე, მოძრაობის წესების დარღვევისთვის გააჩერეს, რომელსაც 1988 წელს დაბადებული გიორგი გ. მართავდა.

საპატრულო პოლიციის თანამშრომლებმა მძღოლის ქმედება საეჭვოდ მიიჩნიეს და მას ავტომანქანიდან გადმოსვლა მოსთხოვეს. მანქანიდან გადმოსულმა გიორგი გ.-მ საეჭვო ნივთი ქუჩაში გადააგდო.

სამართალდამცველებმა ადგილზე ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებების შედეგად „ვალტერი“-ს ტიპის ცეცხლსასროლი იარაღი, ერთი მჭიდი და 6 საბრძოლო ვაზნა ამოიღეს. გამოძიება ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვა-ტარების ფაქტზე სსსკ-ს 236-ე მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილებით მიმდინარეობს.

ნიუსპრესი

## „ხალხი შეუსრულებელი დანაპირებით შეწუხებულია“

პოლიტიკური პარტია „დემოკრატიული მოძრაობა ერთიანი საქართველოს“ ლიდერი და საპრეზიდენტო კანდიდატი ნინო ბურჯანაძე, გუშინ, წინასაარჩევნო კამპანიის ფარგლებში რუსთავის მოსახლეობას შეხვდა. როგორც შეხვედრაზე ნინო ბურჯანაძემ აღნიშნა, ეს, შეხვედრების მეორე რაუნდია და ის, საქართველოს რეგიონებს მეორედაც შემოივლის. რუსთაველ ამომრჩეველთა შორის ეთნიკურად აზერბაიჯანული მოსახლეობის წარმომადგენლებიც იყვნენ, რომელთაც საპრეზიდენტო კანდიდატმა ყურბან-ბაირამის დღესასწაული მიულოცა.

როგორც ნინო ბურჯანაძემ განაცხადა, შეხვედრა ძალიან გულწრფელი და იმედით აღსავსე იყო.

„სამწუხაროდ მოსახლეობა შეწუხებულია ყოველდღიური პრობლემებით და მით უფრო იმ შეუსრულებელი დანაპირებით, რომელიც მრავლად იქნა გაცემული „ქართული ოცნების“ მიერ.

ადამიანებს ჩვენი იმედი აქვთ, ისინი აქტიურად გვიჭერენ მხარს და მოვუწოდებთ ყველას, რომ ეს აქტიურობა მათ 27 ოქტომბერს დააფიქსირონ. ძალიან ცოტა დრო დარჩა არჩევნებამდე და სახლში არავინ არ უნდა დარჩეს, ეს იქნება იმის გარანტია, რომ არჩევნების გაყალბებას ვერავინ შეძლებს, ეს იქნება იმის გარანტია, რომ ქვეყანა განვითარების ახალ გზაზე წავა, ეს იქნება იმის გარანტია, რომ ჩვენი პროგრამა, რომელსაც ექსპერტებმა ქვეყნის სასიკეთო განვითარების პროგრამა დაარქვეს, აუცილებლად განხორციელდება“ – განაცხადა ნინო ბურჯანაძემ.

ნიუსპრესი

## მარგველაშვილი დარწმუნებულია, რომ პრეზიდენტის სტატუსით ვილნიუსის სამიტს თავად დაესწრება

ამის შესახებ პრეზიდენტობის კანდიდატმა საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის სტუდენტებთან შეხვდრის შემდეგ განაცხადა.

პრეზიდენტობის კანდიდატმა ახალგაზრდებს საპრეზიდენტო პროგრამის მთავარი პრიორიტეტები გააცნო და მთავრობის საგარეო პოლიტიკური კურსის შესახებ ესაუბრა.

როგორც მარგველაშვილმა განაცხადა, დღეს საქართველო მნიშვნელოვანი შიდა, რეგიონალური და გლობალური გამოწვევების წინაშე დგას, პრეზიდენტის მთავარ ამოცანას კი საერთაშორისო არენაზე საქართველოს ეროვნული ინტერესების დაცვა წარმოადგეს. გიორგი მარგველაშვილმა სტუდენტებთან შეხვედრაზე საგარეო პოლიტიკის მთავარ მიმართულებებად ქვეყნის ეროვნული უსაფრთხოების უზრუნველყოფა, ევროკავშირთან და აშშ-სთან ურთიერთობების გაღრმავება და რუსეთთან ურთიერთობების ნორმალიზაცია დაასახელა.

გიორგი მარგველაშვილმა ახალგაზრდების შეკითხვებსაც უპასუხა ისეთ თემებზე, როგორიცაა სამოქალაქო საზოგადოების განვითარება, რელიგიური უმცირესობების უფლებების დაცვა, ევრაზიული კავშირი, სოჭის ოლიმპიადა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების ხელშეწყობა.

როგორც პრეზიდენტობის კანდიდატმა ჟურნალისტებთან განაცხადა, ის დარწმუნებულია, რომ პირველივე ტურში გაიმარჯვებს და პრეზიდენტის სტატუსით ვილნიუსის სამიტს თავად დაესწრება.

„დარწმუნებული ვარ, 27 ოქტომბერს მე მოვიგებ არჩევნებს და მოქმედი პრეზიდენტი 17 ნოემბრამდე შეიცვლება. შესაბამისად, სამიტზე ახალი პრეზიდენტი წავა“, – განაცხადა მარგველაშვილმა.

პირველი

## შსს-მ საბრძოლო მასალა ამოიღო

შინაგან საქმეთა სამინისტროს ვაკე-საბურთალოს სამმართველოს მე-5 განყოფილების თანამშრომლებმა, ჩატარებული სპეციალური ოპერატიული ღონისძიების შედეგად, 1974 წელს დაბადებული ზაზა ქ. ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვის ბრალდებით დააკავეს.

სამინისტროს პრესსამსახურის ინფორმაციით, სამართალდამცველებმა დაკავებულის საცხოვრებელი სახლიდან „ჩე-ზე“-ს ტიპის ცეცხლსასროლი იარაღი და სხვადასხვა სახის 65 საბრძოლო ვაზნა ამოიღეს. დაკავებული ჩადენილ დანაშაულს აღიარებს. გამოძიება ცეცხლსასროლი იარაღის და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვის ფაქტზე, სსსკ-ს 236-ე მუხლის 1-ლი ნაწილით მიმდინარეობს.

მედიანიუსი

## თბილისში ნარკორეალიზატორები დააკავეს

თბილისის მთავარი სამმართველოს დეტექტივების სამმართველოსა და გლდანი-ნაძალადევის სამმართველოს თანამშრომლებმა, ერთობლივად ჩატარებული ოპერატიულ-საგამოძიებო ღონისძიების შედეგად, ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვა-გასაღების ბრალდებით, 1969 წელს დაბადებული მალხაზ ნ. და 1965 წელს დაბადებული გიორგი ე. დააკავეს. სამინისტროს პრესსამსახურის ინფორმაციით, გამოძიებამ დაადგინა, რომ აღნიშნული პირები სისტემატურად ახდენდნენ ნარკოტიკული საშუალების რეალიზაციას. სამართალდამცველებმა მათი საცხოვრებელი სახლების ჩხრეკისას, რეალიზაციის შედეგად მიღებული ორი ათასი ლარი, შვიდასი დოლარი და განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული ნივთიერება „ბუპრენორფინი“-ს შემცველი ნარკოტიკი ამოიღეს. ექსპერტიზის დასკვნით სულ ამოღებულია 52 აბი და 55 ნატეხი ნარკოტიკული საშუალება, რომელიც 0,6283 გრ ნარკოტიკულ ნივთიერება „ბუპრენორფინ“-ს შეიცავს. ნარკოლოგიური შემოწმებით ორივე დაკავებულს „ბუპრენორფინი“-ს მოხმარების ფაქტი დაუდგინდა. დაკავებულები ჩადენილ დანაშაულს აღიარებენ.

გამოძიება განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვა-გასაღების ფაქტზე, სსსკ-ის 260-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით მიმდინარეობს, რაც 8-დან 20 წლამდე ან უვადო პატიმრობას ითვალისწინებს.

ნიუსპრესი

# ლანა ღოღობერიძე 85 წლისაა

ეკა ირემაშვილი



ქართველი რეჟისორი ლანა ღოღობერიძე იუბილარია. მას 85 წელი შეუსრულდა. რეჟისორის იუბილეს აღნიშვნას საქართველოს კულტურის პალატა აპირებს. როგორც მისი ხელმძღვანელი დავით ოქიტაშვილი აცხადებს, ამ თარიღთან დაკავშირებით დაიგეგმა რეჟისორის ვარსკვლავის გახსნა კინოთეატრ „რუსთაველის" წინ, თუმცა ზუსტად დაბადების დღეზე ვერ მოესწრო.

ლანა ღოღობერიძეს 85 წელი 13 ოქტომბერს შეუსრულდა. ეს იუბილე მას საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ბიძინა ივანიშვილმა მიულოცა:

– ვულოცავ 85 წლის იუბილეს დიდ რეჟისორს, მთარგმნელსა და საზოგადო მოღვაწეს ქალბატონ ლანა ღოღობერიძეს. თავისი შემოქმედებითა და მოღვაწეობით მან დიდი წვლილი შეიტანა ჩვენი ქვეყნის კულტურაში. ლანა ღოღობერიძის კინოფილმები იმ ფილმთა ჩამონათვალშია, რომელმაც მთელი მსოფლიო ქართული კინოს ფენომენზე აალაპარაკა. ვუსურვებ ქალბატონ ლანას დიდხანს სიცოცხლესა და წარმატებებს, – აღნიშნულია ბიძინა ივანიშვილის მისალოც წერილში.

ამჟამად ლანა ღოღობერიძე აქტიურად თანამშრომლობს ეროვნულ კინოცენტრთან და სხვადასხვა კონკურსების ჟიურიშია. პარალელურად, ის მუშაობს წიგნზე, რომლის პრეზენტაციაც მისი ვარსკვლავის გახსნაზეა დაგეგმილი.

საქართველოს კულტურის პალატა ლანა ღოღობერიძის ვარსკვლავს 19 ოქტომბერს საზეიმო ვითარებაში გახსნის. დავით ოქიტაშვილს თბილისსა და საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში 50-მდე ხელოვანის ვარსკვლავი აქვს გახსნილი. მისი თქმით, ეს ტრადიცია მომავალშიც აუცილებლად გაგრძელდება.

ლანა ღოღობერიძე ქართული საზოგადოებისთვის როგორც რეჟისორი ასეა ცნობილი, თუმცა იუბილარი ხელოვანი ამავე დროს მხატვარი, მთარგმნელი და საქართველოს სახალხო არტისტია. იგი კინოსტუდია „ქართულ ფილმის" და რუსთაველის თეატრის რეჟისორთა სტუდიის ხელმძღვანელად მუშაობდა, მისი რეჟისორობით გადაღებულ 9 ფილმს საერთაშორისო პრიზები და ჯილდოები აქვს მიღებული. იგი წერს წიგნებს და მუშაობს თარგმანზეც. რეჟისორმა ბედი პოლიტიკაშიც სცადა და 20 წლის წინ საქართველოს პარლამენტის დეპუტატიც გახდა. გარდა ამისა საკუთარი შესაძლებლობები დიპლომატიურ საკითხებშიც გამოსცადა და იყო საქართველოს სრულუფლებიანი ელჩი ევროპის საბჭოში, ხოლო მოგვიანებით, საქართველოს ელჩი საფრანგეთში.

„როცა აყვავდა ნუში", „ინტერვიუ პირად საკითხებზე", „მე ვხედავ მზეს", „აურზაური სალხინეთში", „ვალსი პეჩორაზე", „ფერისცვალება" – ეს იმ ფილმების არასრული ჩამონათვალია, რომელიც რეჟისორმა კინოს მოყვარულ საზოგადოებას აჩუქა.

იუბილარი რეჟისორის ვარსკვლავის გახსნას მისი მეგობრები, ოჯახის წევრები, კოლეგები და მისი შემოქმედების გულშემატკივრებიც მრავლად დაესწრებიან. ლანა ღოღობერიძის შესახებ კინოთეატრ „რუსთაველში" შეკრებილ საზოგადოებას სიტყვით მიმართავენ ის ადამიანები, ვისთვისაც მისი შემოქმედება ყველაზე ძვირფასი და ღირებულია. ეკრანზე კი ყველა იმ ფილმის კოლაჟი გავა, რომლებიც კინორეჟისორმა თავისი მოღვაწეობის განმავლობაში შექმნა.

# „თსუ გორდელა" საქართველოს რეგიონებს მოივლის

ეკა ირემაშვილი

„თსუ გორდელა" ახალი პროექტის ფარგლებში საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში კონცერტებს გამართავს. პროექტის პრეზენტაცია ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გაიმართა. თსუ გოგონათა ანსამბლის „თსუ-გორდელას" პროექტს „მე მიყვარს და ვემსახურები საქართველოს" ეწოდება. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გამართულ ღონისძიებას თსუ-ის რექტორის მოადგილე მარინე ჩიტაშვილი, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა მინისტრი ლევან ყიფიანი, რეინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატის და თსუ-ის წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

როგორც პროექტის პრეზენტაციაზე გახდა ცნობილი, „თსუ-გორდელა" 16 ოქტომბრიდან 20 ნოემბრამდე კონცერტებს გამართავს ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ შვიდ ქალაქში, მათ შორის, ახალქალაქში, წალკაში, ნინოწმინდაში, მარნეულში, გარდაბანში, დმანისსა და რუსთავში. პროექტის მიზანია საქართველოში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობების საქართველოს საზოგადოებაში სამოქალაქო და კულტურული ინტეგრაცია.

– ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია თსუ-ის ინიციატივით განხორციელებული ნებისმიერი სამოქალაქო პროექტი, რომელიც ეხება ეთნიკური უმცირესობების ინტეგრაციას სახელმწიფოს სოციალურ სივრცეში. ამ თვალსაზრისით, ეს პროექტი ზუსტად ამ ჩარჩოში მიმდინარეობს და ქალთა ანსამბლის „თსუ გორდელას" სახით ჩვენ ვაგზავნით ემისრებს, რათა სხვა ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებთან პირველი გზავნილი მივიდეს, რომ ჩვენ ყველას ერთად შეგვიძლია სიმღერა, მხიარულება; უპირველეს ყოვლისა ჩვენ ვართ ადამიანები, რომლებსაც გვაქვს ერთი სახლი საქართველო ჰქვია, – განაცხადა თსუ-ის რექტორის მოადგილემ მარინე ჩიტაშვილმა.

სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა მინისტრის ლევან ყიფიანის თქმით:

– სამინისტრო დიდი ხანია მხარს უჭერს პროექტს. ეს არის ჩვენი კულტურის წარმოჩენის ძალიან კარგი საშუალება და იმ ადამიანების დახმარება, რომლებმაც ინტეგრაცია უნდა განიცადონ ჩვენს საზოგადოებაში. მინდა დიდი მადლობა გადავუხადო უნივერსიტეტს, ამერიკის მთავრობასა და რეინტეგრაციის სამინისტროს პროექტის მხარდაჭერისთვის.

რეინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატის წარმომადგენლის, სამოქალაქო ინტეგრაციის სამმართველოს უფროსის თინათინ ღოღელიანის განცხადებით:

– რეინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატი მხარს უჭერს ამ ინიციატივას. სამოქალაქო ინტეგრაციის კუთხით მნიშვნელოვანი იქნება ეროვნული უმცირესობებისთვის რეგიონებში ამ ახალგაზრდა გოგონე-

გაგრძელება მე-10 გვერდზე

# ეკა მამალაძე სანკტ-პეტერბურგში იმღერებს

ეკა ირემაშვილი

ეკა მამალაძე, ნანი ბრეგვაძე, ნატალია ქუთათელაძე, ნატო მეტონიძე, ლიზა ბაგრატიონი, ნიკოლოზ რაჭველი, მზია ნიორაძე, დათო ევგენიძე, თემურ ყვითელაშვილი, მიხეილ კოლელიშვილი და ჯიმი ასკანელი ორდღიან კონცერტებს გამართავენ რუსეთის ქალაქ სანკტ-პეტერბურგში.

კონცერტები ქალაქის ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში ჩატარდება და მას „ბრილიანტები საქართველოდან" ეწოდება. ინფორმაცია და დაბეჭდილი აფიშა განთავსებულია ერთ-ერთ რუსულ საიტზე „მუზტორგ.რუ".

პირველ კონცერტზე ქართველი შემსრულებლები ქართველი კომპოზიტორების საუკეთესო სიმღერებს შეასრულებენ. კონცერტს ნიკოლოზ რაჭველი უდირიჟორებს. მეორე საკონცერტო დღე კი მთლიანად კომპოზიტორ გია ყანჩელის შემოქმედებას დაეთმობა. ორივე კონცერტს პრიმა-ბალერინა ირმა ნიორაძე გაუძღვება.

ეს არ არის ეკა მამალაძის და მისი ოჯახის პირველი კონცერტი რუსეთში. ნანი ბრეგვაძემ უკვე ჩაატარა კონცერტი მოსკოვში და მასში მონაწილეობა ეკა მამალაძემ და ნატალია ქუთათელაძემაც მიიღეს. 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის შემდგომ ნანი ბრეგვაძე კატეგორიულ უარს ამბობდა რუსეთის ქალაქებში კონცერტების გამართვამდე და მას თავისი ოჯახის წევრებიც ეთანხმებოდნენ, თუმცა ამჯერად მათ აზრი შეიცვალეს და მეზობელი ქვეყნის საკონცერტო დარბაზებში გამოსვლა ისევ დაიწყეს.

სანკტ-პეტერბურგის კონცერტის პარალელურად, ეკა მამალაძე საქართველოშიც გეგმავს ახალი პროექტის განხორციელებას. მომღერალს სურს, შემოდგომაზე ახალი პროექტი განახორციელოს. მისი პირველი სოლოკონცერტი „არტ-იმედის" ეგიდით კონსერვატორიის დიდ საკონცერტო დარბაზში გაიმართა. მეორე მუსიკალური პროექტი „მოგზაურობა დროში" 5 წლის წინ ჩატარდა, სადაც შესრულდა სხვადასხვა პერიოდში დაწერილი მუსიკა, ასევე ჟღერდა კინომუსიკა ნიკოლოზ რაჭველის ორკესტრის თანხლებით. ამავე კონცერტზე ეკას ქალიშვილმა ნატალიამ არა მარტო იმღერა, არამედ ნიკოლოზ რაჭველთან ერთად ორ როიალზე დაუკრა. მესამე მუსიკალური პროექტი მომღერალმა მიშა მდინარაძესთან ერთად ქალაქურ სტილში გააკეთა. ამჯერად კი მას სურს, სცენაზე ქართული ესტრადის ისტორია წარმოადგინოს. უკვე ცნობილია, რომ ეკა მამალაძე თავის კონცერტში გააერთიანებს ყველა იმ მნიშვნელოვან მუსიკალურ ნაწარმოებს, რომელიც დები იშხნელების რეპერტუარიდან იწყება და დღევანდელი დღით სრულდება. მას კარგად ესმის, რომ მასალა საკმაოდ დიდია, იდეაც საინტერესოა და ამიტომაც მაქსიმალურად მუშაობს იმისთვის, რომ მისი ჩანაფიქრი სისრულეში სრულყოფილად მოვიდეს.




**ფოთისა და ხობის მიტროპოლიტ გრიგოლის კურთხევით 2009 წლის ივლისიდან მიმდინარეობს ხობის მონასტრის უძველესი ტაძრის სარესტავრაციო-აღდგენითი სამუშაოები**

თუ გსურთ, მიიღოთ მონაწილეობა მიმდინარე სამუშაოების განხორციელებაში, დარეკეთ ყველა მობილური ოპერატორიდან და ქალაქის ფიქსირებული ქსელებიდან ნომერზე: 0-901-900-900.

ზარის ღირებულება - 1 ლარი.

**იცხოვრეთ მომავალისთვის.**
**უფალი გფარავდეთ ყველგან და ყოველთვის**




**საბანკო რეკვიზიტები:**
ფოთისა და ხობის ეპარქია, ს/ნ 215 090 425
ხობი, სოფ.ნოჯიხევი
ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტერი.
ს.ს. „ლიბერთი ბანკის" ხობის ფილიალი
ბ/კ: LBRTGE22
ანგ. N GE28LB 0122 1802 48686 000



თანხის ჩასარიცხად შეგიძლიათ გამოიყენოთ სწრაფი გადახდის აპარატები: იხილეთ მენიუში — სხვადასხვა — საქველმოქმედო — ხობის მონასტერი.

ხობის ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტრის წინამძღვარი იღუმენია ანა (მუსელიანი)


# განცხადებები


● ფოტოსურათით მოგიხსნით: ალკოჰოლსა და აზარტულ თამაშებზე დამოკიდებულებას, პათოლოგიურ სიმთვრალეს, აგრესიას, აკვიატებულ აზრებსა და ქმედებებს, ეჭვიანობას, თვითმკვლელობის სურვილს, უიმედობას, ჩაკეტილობას, დაძაბულობას, აფორიაქებას, სევდას, ნაღველს, მელანქოლიას, დეპრესიას. ვმუშაობ ბავშვებზეც. გამოცდილება 35-წლიანი, შედეგი გარანტირებული, გიწვევთ სკეპტიკოსებსაც და იმედგაცრუებულებსაც. მის: წერეთლის 57, II სად, II სართული. ოფისი 7. მიღება 12-დან 15 სთ-მდე, გარდა შაბათ-კვირისა. შპს „იადიგარ დაუდის" დირექტორი ნანა ქიბროწაშვილი. ტელ: 599-498-423 კონსულტაცია უფასოა.

● გახდომა-გასუქება 5-15 კგ თვეში, სიმაღლეში ზრდა 5-25 წლამდე მცენარეული პრეპარატებით, უკუჩვენებების გარეშე. ტელ: 599-96-44-94; 218-46-08 (ოფისი), ექ. ქ-ნი სალომე.

● კუჭ-ნაწლავის მკურნალობა, კოლიტი, ენტერიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე, ასაკობრივი და პარაზიტული. ორგანიზმის საერთო გაწმენდა-გაძლიერება 100%-იანი შედეგით. 571720311– ქ-ნი მარიამი.

● მხოლოდ მცენარეულ, ბუნებრივ მასალებზე დამზადებული თოდუების საგვარეულო წამლებით ვკურნავ კანის უამრავ დაავადებას: გამონაყარს (ჩირქოვანსაც), ნაოჭებს, ლაქებს, სებორეას, ეგზემას, სოკოს, მათ შორის ფრჩხილის სოკოს, დახეთქილ ქუსლებს, მაზოლებს, მეჭეჭებს, ქერტლს, ჰაიმორიტი იკურნება 10 დღეში, ვაჩერებ თმის ცვენას. ვკურნავ მასტიტს. თოდუების საგვარეულო წამლით გაგეწმინდებათ ორგანიზმი, ალაგდება ყველა ანთებითი პროცესი. შეგიძლიათ მომმართოთ გინეკოლოგიური პრობლემების მქონე ქალბატონებმაც. მის.: ოთარ ჭილაძის ქ.№166, №10 კორპუსის წინ და №1 კორპუსის უკან. 230 62 52; 599 16 10 82. ლამარა თოდუა.

● ძვალ-სახსართა პრობლემების მოგვარება, ტკივილების მოხსნა, ხრტილის აღდგენა, ოსტეოქონდროზი, კოქსართროზი, ოსტეოპოროზი, მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციებ სახრებზე ძვლის მკვებავებით. ტელ: 577-29-37-41; 247-58-83.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78 ქეთევანი.

● გახდომა 5-20 კგ-მდე დიეტის გარეშე, გასუქება 2-5 კგ თვეში, 3-ჯერადი კვებით, უვნებლად, მადის დარეგულირებით, შედეგის 100%-ით მუდმივად შენარჩუნებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ქ-ნი ქეთევანი 599-90-54-78; 234-02-38.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, ტრომბის პროფილაქტიკა, გულსისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისაგან, წნევების დარეგულირება, 100%-ით. ტელ: 577-29-37-41 ქეთი; 247-58-83.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!), შარდვის მოშლა-გახშირების, შეკავება-შეუკავებლობით, წვის, ტკივილი შარდვისას, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკურიც) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 577-29-37-41; 234-02-38 ქეთი.

● ქალბატონებო! დიდუბეში, აგლაძის 67-ში შეგიძლიათ ბამბის, მატყლის გაჩეჩა საბან-ლეიბების განახლების მიზნით. საბან-ლეიბებს შეგიკერავთ პროფესიონალი მკერავი. განახლებული ლოგინი ჯანმრთელობისთვის სასარგებლოა. ტელ: 235-15-96.

● ცხადდება მიღება მასაჟისა და კოსმეტოლოგიის კურსებზე, დამთავრების შემდეგ გაიცემა სერთიფიკატი. ხელმძღვანელი ექიმი გულიკო ჩიკვილაძე. ტელ: 2-96-67-03; 595-35-64-13.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის, შარდვის პრობლემების (გახშირებული, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი ენურიზი ბავშვებში და მოზრდილებში) მკურნალობა უნიკალური მცენარეული პრეპარატებით, 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-25-44-14; 218-48-99 ექიმი ქ-ნი მზია.

● ალკოჰოლიზმისგან სწრაფი განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნევროზების, შიშების, უძილობის, დეპრესიის მკურნალობა, ორგანიზმის გაწმენდა მცენარეული პროდუქციით, შედეგები 100%-იანია. ტელ: 599-25-44-14; 218-48-99 ექიმი ქ-ნი მზია.

● კუჭ-ნაწლავის პრობლემების: გასტრიტი (მწვ. და ქრო.), კოლიტი, ენტერიტი, ყაბზობა, დისბაქტერიოზი. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. ორგანიზმის გაწმენდა, იმუნიტეტის გაძლიერება. 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-96-44-94; 218-46-08 ექიმი ქ-ნი სალომე.

● ძვალსახსართა პრობლემის მკურნალობა – ოსტეოპოროზი, ართრიტები, კოქსართროზი, დაზიანებული ხრტილის აღდგენა, ტკივილის სინდრომის მოხსნა, მკურნალობა მცენარეული საშუალებებით, 100%-იანი შედეგით. ტელ: 558-15-63-33; 218-46-08 ექიმი ქ-ნი ნინო.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სწრაფი გათავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნერვული სისტემის მოწესრიგება, ღვიძლის ფუნქციის აღდგენა. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგით. ტელ: 558-96-89-15; 218-14-90 ექიმი, ქ-ნი მეგი.

● მამაკაცებისათვის: იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, უნებლიე შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი შარდვისას. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგებით. ტელ: 558-96-89-15; 218-14-90 ექიმი, ქ-ნი მეგი.

# ბოსნია ბრაზილიაში დებიუტანტი იქნება

მსოფლიოს 2014 წლის ჩემპიონატის შესარჩევ ეტაპზე ევროპაში გაირკვა თითქმის ყველა გუნდი, რომელიც ბრაზილიაში ითამაშებს. დარჩენილ 4 ნაკრებს პლეი ოფი გამოავლენს, რომელიც ნოემბერში გაიმართება. საპლეიფო 8 ნაკრებიც ცნობილია.

ამრიგად, ევროპის ზონიდან მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე ითამაშებენ: ბელგია, იტალია, გერმანია, ჰოლანდია, შვეიცარია, რუსეთი, ბოსნია, ინგლისი და ესპანეთი. ფლეი ოფში გავიდნენ საბერძნეთი, საფრანგეთი, პორტუგალია, უკრაინა, შვედეთი, ისლანდია, რუმინეთი და ხორვატია.

### ა ჯგუფი

**სერბეთი-მაკედონია 5:1**

1:0 რისტოვსკი (16სკ), 2:0 ბასტა (19), 3:0 კოლაროვი (38), 4:0 ტადიჩი (54), 5:0 სცეპოვიჩი (73), 5:1 იაჰოვიკი (83)

შანსი ორივე გუნდს დაკარგული ჰქონდა, ამიტომაც პოსტიუგოსლავიური დერბი ლაღი სანახავი და უხვგოლიანი გამოდგა. სერბებმა ყველა კომპონენტში დაჯაბნეს მეტოქე და სოლიდური სხვაობით დაამარცხეს.

**ბელგია-უელსი 1:1**

1:0 დე ბრეინე (64), 1:1 რემზი (88)

ბელგიელებმა წინა ტურში გაინაღდეს ბრაზილიაში თამაში, ამიტომაც თავი მაინც და მაინც არ მოუკლავთ და უელსელებთან ფრეს დასჯერდნენ. ეს მატჩი კიდევ იმითიც იყო აღსანიშნავი, რომ ბოლო სანაკრებო მატჩი ჩაატარა უელსელმა კრეიგ ბელამიმ, რომელიც საგოლე პასით გამოირჩა.

**შოტლანდია-ხორვატია 2:0**

1:0 სნოდგრასი (28), 2:0 ნეისმითი (73)

73-ე წუთზე, ბანანმა (შოტლანდია) ვერ გამოიყენა პენალტი

შოტლანდიელებმა ამ მოგებით მხოლოდ კარი გაიჯახუნეს და უახლოეს მეზობლებს, უელსელებს სატურნირო ცხრილში გადაასწრეს. ხორვატები კი პლეი ოფით შეეცდებიან მსოფლიოს ჩემპიონატზე მოხვედრას.

ჰო, ხორვატიის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა იგორ შტიმაცმა მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ჯგუფური ეტაპის პლეი ოფის საგზურის მოპოვების მიუხედავად, თანამდებობა დატოვა. მან წასვლის თაობაზე განცხადება თამაშის შემდეგ გააკეთა. ხორვატებმა შესარჩევ ციკლში ზედიზედ ოთხი თამაში ვერ მოიგეს და ეს შედეგი მთავარი მწვრთნელისთვის მიუღებელი აღმოჩნდა.

**საბოლოო მდგომარეობა:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბელგია | 10 | 8 | 2 | 0 | 18:4 | 26 |
| 2.ხორვატია | 10 | 5 | 2 | 3 | 12:9 | 17 |
| 3.სერბეთი | 10 | 4 | 2 | 4 | 18:11 | 14 |
| 4.შოტლანდია | 10 | 3 | 2 | 5 | 8:12 | 11 |
| 5.უელსი | 10 | 3 | 1 | 6 | 9:20 | 10 |
| 6.მაკედონია | 10 | 2 | 1 | 7 | 7:16 | 7 |

### ბ ჯგუფი

**ბულგარეთი-ჩეხეთი 0:1**

0:1 დოკალი (52)

ორივე გუნდს მიზერული შანსი ჰქონდა პლეი ოფში გასასვლელად და მათი შანსები პარალელურად მიმდინარე მატჩებში სულ უფრო მცირდებოდა. თუმცა, ორივე გუნდმა ბოლომდე იბრძოლა და საბოლოოდ, ჩეხებმა იმარჯვეს.

**დანია-მალტა 6:0**

1:0 რასმუსენი (9), 2:0 აგერი (11პ), 3:0 ბიელანდი (28), 4:0 აგერი (39პ), 5:0 რასმუსენი (74), 6:0 ნილსენ ბილე (84)

სკანდინავიელებმა ლაღად, ყოველგვარი წნეხის გარეშე ითამაშეს, რადგან მათი შანსებიც მიზერული იყო. მიუხედავად დიდი ანგარიშის მოგებისა და ჯგუფში მე-2 ადგილის დაკავებისა, დანიელებს 9 გუნდში ყველაზე უარესი მაჩვენებელი აღმოაჩნდა და პლეი ოფს მიღმა დარჩნენ.

**იტალია-სომხეთი 2:2**

0:1 მოვსისიანი (6), 1:1 ფლორენცი (24), 1:2 მხითარიანი (70), 2:2 ბალოტელი (76)

2-ჯერ იგებდა სომხეთი და მართალია, „სკუადრა აძურამ" ორივეჯერ გათანაბრება მოახერხა, მაგრამ ფრეც სენსაციურ შედეგად უნდა მივიჩნიოთ.

**საბოლოო მდგომარეობა:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.იტალია | 10 | 6 | 4 | 0 | 19:9 | 22 |
| 2.დანია | 10 | 4 | 4 | 2 | 17:12 | 16 |
| 3.ჩეხეთი | 10 | 4 | 3 | 3 | 13:9 | 15 |
| 4.ბულგარეთი | 10 | 3 | 4 | 3 | 14:9 | 13 |
| 5.სომხეთი | 10 | 4 | 1 | 5 | 12:13 | 13 |
| 6.მალტა | 10 | 1 | 0 | 9 | 5:28 | 3 |

### ც ჯგუფი

**ირლანდია-ყაზახეთი 3:1**

0:1 შომკო (13), 1:1 კინი (17პ), 2:1 ოში (26), 3:1 შომკო (78სკ)

მატჩში გოლების გატანა შომკომ დაიწყო და მანვე დაასრულა. თუ თავდაპირველად ყაზახმა მეტოქეს გაუტანა, ბოლოს საკუთარ კარში ჩაჭრა. მის გოლებს შორის კი თავი ირლანდიელთა ძველმა გვარდიამ – რობი კინმა და ჯონ ოშიმ გამოიჩინეს.

**შვედეთი-გერმანია 3:5**

1:0 ჰისენი (6), 2:0 კაჩანიკლიცი (42), 2:1 იოზილი (45), 2:2 გიოტცე (53), 2:3, 2:4 შიურლე (57, 66), 3:4 ჰისენი (69), 3:5 შიურლე (76)

გუნდებმა მორიგი შოუ შესთავაზეს ფეხბურთის მოყვარულებს. შესარჩევი ეტაპის ყურება მარტო ამ გუნდების ორი მატჩისთვის ღირდა. გეხსომებათ, პირველი ჯახი გერმანიაში 4:4 დასრულდა. მაშინ ბუნდესნაკრები 4:0 იგებდა და ბოლოს ფრეს გამორჩა. ახლაც 8 გოლი გავიდა და მოვლენები არანაკლებ დრამატულად განვითარდა.

**ფარერები-ავსტრია 0:3**

0:1 ივანშიცი (17), 0:2 პრიოდლი (64), 0:3 ალაბა (67პ)

ავსტრიელებს მეტოქის დამარცხება რომ არ გაუჭირდებოდა, ნაადრევად იყო ცნობილი და ასეც მოხდა – 3 უპასუხო ბურთი ფარერელთა კარში.

**საბოლოო მდგომარეობა:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.გერმანია | 10 | 9 | 1 | 0 | 36:10 | 28 |
| 2.შვედეთი | 10 | 6 | 2 | 2 | 19:14 | 20 |
| 3.ავსტრია | 10 | 5 | 2 | 3 | 20:10 | 17 |
| 4.ირლანდია | 10 | 4 | 2 | 4 | 16:17 | 14 |
| 5.ყაზახეთი | 10 | 1 | 2 | 7 | 6:21 | 5 |
| 6.ფარერები | 10 | 0 | 1 | 9 | 4:29 | 1 |

### დ ჯგუფი

**რუმინეთი-ესტონეთი 2:0**

1:0, 2:0 მარიკა (31პ,81)

რუმინელებმა თავისი გასაკეთებელი საქმე გააკეთეს და პლეი ოფში თამაშის უფლება მოიპოვეს. ვლახებს მხსნელად ჩიპრიან მარიკა მოევლინათ, რომლის დუბლის წყალობით შესძლეს ბალტიისპირელთა დამარცხება.

**თურქეთი-ჰოლანდია 0:2**

0:1 რობენი (8), 0:2 სნეიდერი (47)

თავისუფლად შეიძლებოდა რუმინელების ნაცვლად პლეი ოფში თურქები მოხვედრილიყვნენ, მაგრამ ჰოლანდიელებმა ფეარ პლეის წესები დაიცვეს, მათთვის არაფრის მომცემი მატჩი მაინც მოიგეს.

**უნგრეთი-ანდორა 2:0**

1:0 ნიკოლიჩი (51), 2:0 ნიკოლიჩი (76)

უნგრელები დიდხანს ცდილობდნენ მეტოქის გატეხვას და ეს ალბათ წინა ტურში მიღებული შოკის ბრალი იყო, როდესაც ჰოლანდიასთან განადგურდნენ, მაგრამ საბოლოოდ მაინც მოიგეს, ტუმცა, მოკრძალებული ანგარიშით.

**საბოლოო მდგომარეობა:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ჰოლანდია | 10 | 9 | 1 | 0 | 34:5 | 28 |
| 2.რუმინეთი | 10 | 6 | 1 | 3 | 19:12 | 19 |
| 3.უნგრეთი | 10 | 5 | 2 | 3 | 21:20 | 17 |
| 4.თურქეთი | 10 | 5 | 1 | 4 | 16:9 | 16 |
| 5.ესტონეთი | 10 | 2 | 1 | 7 | 6:20 | 7 |
| 6.ანდორა | 10 | 0 | 0 | 10 | 0:30 | 0 |

### ე ჯგუფი

**ნორვეგია-ისლანდია 1:1**

0:1 სიგთორსონი (12), 1:1 ბრაატენი (30)

პლეი ოფის საგზური მოიპოვა ისლანდიის ნაკრებმა, რომელსაც ფრე აძლევდა ხელს და მატჩიც ასე მორჩა. უნდა ითქვას, რომ ისლანდიელთათვის ეს უდიდესი წარმატებაა.

**შვეიცარია-სლოვენია 1:0**

1:0 ჯაკა (74)

ბრაზილიაში მოხვედრის შანსი ჰქონდა სლოვენიის ნაკრებს, მაგრამ ამისთვის აუცილებლად უნდა მოეგო თამაში, თუმცა სულაც მარცხი განიცადა და პლეი ოფს მიღმა დარჩა.

**კვიპროსი-ალბანეთი 0:0**

აუტსაიდერთა მატჩი ისე დასრულდა, როგორც მოსალოდნელი იყო – უგოლოდ.

**საბოლოო მდგომარეობა:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.შვეიცარია | 10 | 7 | 3 | 0 | 17:6 | 24 |
| 2.ისლანდია | 10 | 5 | 2 | 3 | 17:15 | 17 |
| 3.სლოვენია | 10 | 5 | 0 | 5 | 14:11 | 15 |
| 4.ნორვეგია | 10 | 3 | 3 | 4 | 10:13 | 12 |
| 5.ალბანეთი | 10 | 3 | 2 | 5 | 9:11 | 11 |
| 6.კვიპროსი | 10 | 1 | 2 | 7 | 4:15 | 5 |

### ფ ჯგუფი

**აზერბაიჯანი-რუსეთი 1:1**

0:1 შიროკოვი (16), 1:1 ჯავადოვი (90)

როგორც მოსალოდნელი იყო, პირდაპირ ფინალურ ეტაპზე მოხვდა რუსეთის ნაკრები. ფაბიო კაპელოს გუნდს აზერბაიჯანთან ქულა ჰყოფნიდა. პირველ ტაიმში წინ გასული რუსები, ბოლო 20 წუთის განმავლობაში, რიცხობრივ უპირატესობაში იყვნენ და მართალია, კაცნაკლულმა მასპინძლებმა ანგარიში გაათანაბრეს, მაგრამ ამან რუსეთი მუნდიალის მიღმა ვერ დატოვა.

**პორტუგალია-ლუქსემბურგი 3:0**

1:0 ვარელა (30), 2:0 ნანი (37), 3:0 პოშტიგა (79)

დისკვალიფიცირებული რონალდუს გარეშე იოლად მომგები პორტუგალია მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე ფლეი ოფიდან გასვლას ზედიზედ მეორედ შეეცდება.

**ისრაელი-ჩრდ. ირლანდია 1:1**

1:0 ბენ ბაზატი (43), 1:1 დევისი (72)

ორივე გუნდი უსანსოდ იყო და ამის ბრალიც არის, რომ არც ტავი მოუკლავთ და არც სანახობრივი შოუ შეუთავაზებიათ მაყურებლებისთვის. საბოლოოდ, ფრე.

**საბოლოო მდგომარეობა:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.რუსეთი | 10 | 7 | 1 | 2 | 20:5 | 22 |
| 2.პორტუგალია | 10 | 6 | 3 | 1 | 20:9 | 21 |
| 3.ისრაელი | 10 | 3 | 5 | 2 | 19:14 | 14 |
| 4.აზერბაიჯანი | 10 | 1 | 6 | 3 | 7:11 | 9 |
| 5.ჩრ.ირლანდია | 10 | 1 | 4 | 5 | 9:17 | 7 |
| 6.ლუქსემბურგი | 10 | 1 | 3 | 6 | 7:26 | 6 |

### ჯ ჯგუფი

**ლიტვა-ბოსნია 0:1**

0:1 იბისევიჩი (68)

მომავალ მუნდიალს მინიმუმ ერთი დებიუტანტი ეყოლება. ლიტვასთან გასვლით მატჩში 1:0 მოგებით, ბოსნიამ ჯგუფის ლიდერობა შეინარჩუნა და შესაბამისად, ბრაზილიის საგზურიც მოიპოვა. ბოლო ტურის წინ, ბოსნიასა და საბერძნეთს ქულების თანაბარი რაოდენობა ჰქონდათ, მაგრამ ბურთების შეფარდებაში საფეტ სუშიჩის გუნდის უპირატესობა იმდენად დიდი იყო, რომ მოგება ბოსნიელებს პირველ ადგილს უნაღდებდა. ეს მოგება კი, მუნდიალის აწ უკვე პირველმა დებიუტანტმა, ვედად იბისევიჩის ზუსტი დარტყმით მოიპოვა.

**საბერძნეთი-ლიხტენშტაინი 2:0**

1:0 სალპინგიდისი (7), 2:0 კარაგუნისი (81)

ბერძნებმა ტავისიმატჩი კი მოიგეს, მაგრამ მაინც ლიტველთა იმედად იყვნენ. მათდა სამწუხაროდ, ბალტიისპირელებმა ეს მისია ვერ შეუსრულეს და ახლა შორი გზით ეცდებიან ბრაზილიაში მოხვედრას.

**ლატვია-სლოვაკეთი 2:2**

0:1 იაკუბკო (9), 0:2 სალატა (16), 1:2 საბალა (47), 2:2 როდე (90)

**საბოლოო მდგომარეობა:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბოსნია | 10 | 8 | 1 | 1 | 30:6 | 25 |
| 2.საბერძნეთი | 10 | 8 | 1 | 1 | 12:4 | 25 |
| 3.სლოვაკეთი | 10 | 3 | 4 | 3 | 11:10 | 13 |
| 4.ლიტვა | 10 | 3 | 2 | 5 | 9:11 | 11 |
| 5.ლატვია | 10 | 2 | 2 | 6 | 10:20 | 8 |
| 6.ლიხტენშტეინი | 10 | 0 | 2 | 8 | 4:25 | 2 |

### ჰ ჯგუფი

**სან მარინო-უკრაინა 0:8**

0:1 სელეზნიოვი (13), 0:2 დევიჩი (15), 0:3 სელეზნიოვი (20), 0:4 დევიჩი (51), 0:5 იარმოლენკო (55), 0:6 დევიჩი (58პ), 0:7 ბეზუსი (65), 0:8 ტიმოშჩუკი (90)

8:0 მოგების მიუხედავად, მე-2 ადგილს დასჯერდა უკრაინა, რომელსაც ბოლო 6 მატჩში მხოლოდ 2 ქულა აქვს დაკარგული. უკრაინელებს გარჯა იმის გამო არ დაუფასდათ, რომ ინგლისმა პოლონეთს სძლია და პირველი ადგილი შეინარჩუნა.

**ინგლისი-პოლონეთი 2:0**

1:0 რუნი (41), 2:0 ჯერარდი (89)

ინგლისელებმა საქმე არ გაირთულეს, პოლონელებს დამაჯერებლად მოუგეს და ბრაზილიაში წასვლა დაიბევეს. არადა, მათ სჩვევიათ გართულებები.

**ჩერნოგორია-მოლდოვა 2:5**

0:1 ანტონიუჩი (28), 1:1 იოვეტიჩი (55პ), 1:2 არმაში (62), 1:3 სიდორენკო (64), 1:4 იონიტა (74), 1:5 ანტონიუჩი (89), 2:5 იოვეტიჩი (90)

მოულოდნელი და სენსაციური აღმოჩნდა მოლდოველთა გამარჯვება ჩერნოგორიაში, თანაც ასეთი ანგარიშით.

**საბოლოო მდგომარეობა:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ინგლისი | 10 | 6 | 4 | 0 | 31:4 | 22 |
| 2.უკრაინა | 10 | 6 | 3 | 1 | 28:4 | 21 |
| 3.მონტენეგრო | 10 | 4 | 3 | 3 | 18:17 | 15 |
| 4.პოლონეთი | 10 | 3 | 4 | 3 | 18:12 | 13 |
| 5.მოლდოვა | 10 | 3 | 2 | 5 | 12:17 | 11 |
| 6.სან მარინო | 10 | 0 | 0 | 10 | 1:54 | 0 |

ფლეი ოფის წილისყრა 21 ოქტომბერს გაიმართება, ხოლო მატჩები 15 და 19 ნოემბერს შედგება. წილისყრის დროს, მნიშვნელობა ფიფა-ს რეიტინგს მიექცევა, რაც იმას ნიშნავს, რომ ამჟამინდელი მდგომარეობით, ხორვატია, პორტუგალია, საბერძნეთი და შვედეთი განთესილები იქნებიან.

*მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა*

# ისევ წავაგეთ — გაგვიჭირდებოდა

**ესპანეთი – საქართველო 2:0**

1:0 ნეგრედო (26), 2:0 მატა (61)

**ესპანეთი:** კასილასი, ხუანფრანი, პიკე, რამოსი, მორენო, ხავი (კოკე 66), ბუსკეტსი, ინიესტა (ისკო 82), ნავასი, ნეგრედო, პედრო (მატა 58)

**საქართველო:** ლორია, ლობჟანიძე, ხიდეშელი, კაშია, კვირკველია, ხუბუტია, ე.გრიგალაშვილი (ხმალაძე 75), ძარია, კობახიძე, შ.გრიგალაშვილი (ებრალიძე 69), გელაშვილი (მოდებაძე 87)



ბრაზილიაში გასამართი მსოფლიოს 2014 წლის შესარჩევი ეტაპის ბოლო ტურის შეხვედრები გაიმართა და საქართველოს ნაკრებს ბოლო მატჩი მსოფლიოს მოქმედ ჩემპიონთან, ესპანეთის ნაკრებთან ჰქონდა. თემურ ქეცბაიას გუნდმა სახარბიელო ანგარიშით წააგო, მაგრამ წაგება ყოველთვის წაგებაა და არ აქვს მნიშვნელობა რა ანგარიშით იქნება. მართალია, ესპანეთთან საქართველოს ნაკრებს კი არა, გაცილებით მაღალი დონის გუნდებს ვერ მოსთხოვ პირველ ნომრად ითამაშოს, მაგრამ ბოლომდე ჩაკეტილი თამაში, ძნელად გადასვლა მეტოქის ნახევარზე, უზუსტო პასების კორიანტელი, შიში იმისა, რომ დიდი ანგარიშით არ წავაგოთ და შევრცხვეთ, მხოლოდ იმის დასტურია, რომ ყალბი სახარბიელო ანგარიში დავაფიქსიროთ ტაბლოზე...

როგორც მოსალოდნელი იყო, მასპინძლებმა შეხვედრა აქტიურად დაიწყეს და ალბათ სწრაფი გოლის გატანაც სურდათ, მაგრამ 26-ე წუთამდე ვერ მოახერხეს ლორიას კარის აღება. ერთ-ერთი გამორჩეული ნეგრედო გახლდათ, რომელსაც ფლანგიდან ნავასის გაძლიერებული შეტევები ეხმარებოდა. პირველივე წუთებში ნავასის აქტიურობას მოჰყვა პირველი კარისკენ დარტყმა, მაგრამ ხუბუტიამ შეძლო ბურთის გამოტანა. მე-9 წუთზე ნეგრედოს ჰქონდა რეალური შანსი თავური დარტყმით გაეხსნა ანგარიში, მაგრამ ბურთი დიდი მანძილით ააცილა მეტოქის კარს.

კიდევ ერთი სახიფათო მომენტი შეხვედრის მე-15 წუთზე პედროსა და ნეგრედოს აქტიურ თამაშს მოჰყვა. „ბარსას" ფეხბურთელის კარგ პასს ნეგრედომ ფეხი დაუხვედრა, ლორიამ რეაგირება მოახდინა, თუმცა დამაჯერებლად ვერ გამოუვიდა, რასაც ესპანელთა 9 ნომრის კიდევ ერთი დარტყმა მოჰყვა, ამჯერად კი მცველებმა მოახერხეს სიტუაციის განმუხტვა.

ქართველმა მეკარემ აშკარა გოლისგან საკუთარი კარი თამაშის 21-ე წუთზე იხსნა, როდესაც ნეგრედო ლამაზი მაკრატელათი ცდილობდა ბურთის გატანას, მაგრამ ლორიამ შესანიშნავი სეივის წყალობით გადაარჩინა თავისიანები.

ესპანელებმა ძალიან ბევრი გამოუყენებელი მომენტის შემდეგ მაინც გაიტანეს, ეს კი შეხვედრის 26-ე წუთზე, პედროს-ინიესტა-ნეგრედოს მიერ გათამაშებულ შესანიშნავ კომბინაციას მოჰყვა. პედრომ ფლანგზე პასი ინიესტას გაუკეთა, რომელმაც ერთი მოძრაობით ნეგრედოს დაუგდო ბურთი, ამ უკანასკნელსაც არ გასჭირვებია ანგარიშის გახსნა – 1:0.

საქართველოს ნაკრებმა კი, მხოლოდ 29-ე წუთზე შეძლო მეტოქის საჯარიმოში ფეხის დადგმა. გელაშვილი სისწრაფის ხარჯზე შეიჭრა „ფურია როხას" საჯარიმოში და დაარტყა კიდეც, მაგრამ კასილასმა ახლოში მოიგერია, თუმცა დამატებაზე სანდრო კობახიძემ ვერ ივარგა.

ტაიმის ბოლომდე ესპანეთი გვიტევდა, მაგრამ საინტერესო არაფერი მომხდარა. ქართველებმა ერთ ეპიზოდში საჯარიმო დარტყმის უფლება მოიპოვეს, რისი გამოყენება ვერ შეძლეს.

მეორე ტაიმი ესპანეთმა კვლავ აქტიურად დაიწყო. ისინი ლაღ, გახსნილ ფეხბურთს თამაშობდნენ. მათ შეტევებს კი მეორე გოლი მოჰყვა. შეცვლაზე შემოსულმა „ჩელსის" ფეხბურთელმა, ხუან მატამ, 61-ე წუთზე, შეხვედრაში საბოლოო ანგარიში დააფიქსირა – 2:0.

ტაიმის ბოლომდე სიტუაცია არ შეცვლილა, ესპანელი ფეხბურთელები მატჩს ბოლომდე აკონტროლებდნენ, რაც სულაც არ არის გასაკვირი, დამსახურებულადაც მოიპოვეს ბრაზილიაში გასამგზავრებელი საგზური...

**მატჩის შემდეგ**

***თემურ ქეცბაია:***

– რა თქმა უნდა, 100 პროცენტით ვერ ვიტყვი, ვინ გახდება მსოფლიოს ჩემპიონი, თუმცა ნათელია, ესპანეთის ნაკრებს მუნდიალზე გამარჯვების ძალიან დიდი შანსი ექნება. რაც შეეხება ჩემს გუნდს, თამაშის ხარისხი შორს იყო სასურველისგან, მაგრამ ვამაყობ ფეხბურთელების ბრძოლისუნარიანობით. პირველ ტაიმში გვქონდა გოლის გატანის შანსი, თუმცა ვაღიარებ, შესვენების შემდეგ მეტი ვერ შევძელით. ესპანელებს მოგებას ვულოცავ.

***ვისენტე დელ ბოსკე:***

– საქართველოს დამარცხება ძალიან მნიშვნელოვანი იყო და მიხარია, რომ ეს მოვახერხეთ. ყველა ბედნიერი უნდა იყოს. საქართველო ხისტი მეტოქე იყო. თუმცა, ფინეთიც და საფრანგეთიც ასეთივე გახლდნენ. ვფიქრობ, ესპანეთმა შესარჩევ ტურნირში დასახულ მიზანს მიაღწია. ნაკრებში მანამდე ვიმუშავებ, სანამ ფეხბურთის ფედერაციას ჩემთან კონტრაქტის გახანგრძლივება ენდომება. ამ საკითხის განსახილველად დრო გვაქვს.

ჩვენსავე ჯგუფში საფრანგეთის ნაკრებმა ფინელები 3:0 დაამარცხა და პლეი ოფის საგზური მოიპოვა.

**საბოლოო მდგომარეობა:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ესპანეთი | 8 | 6 | 2 | 0 | 14:3 | 20 |
| 2.საფრანგეთი | 8 | 5 | 2 | 1 | 15:6 | 17 |
| 3.ფინეთი | 8 | 2 | 3 | 3 | 5:9 | 9 |
| 4.საქართველო | 8 | 1 | 2 | 5 | 3:10 | 5 |
| 5.ბელარუსი | 8 | 1 | 1 | 6 | 7:16 | 4 |

# სტუდენტური ლიგა თბილისში გაიხსნა

სტუ (საქართველო) – მგუ (რუსეთი) 75:83 (18:9; 16:25; 24:24; 17:25)

**სტუ:** ღუდუშაური (2ქ), გრძელიძე (7ქ), ანთაძე(4ქ), დიდია (17ქ), მათიაშვილი (17ქ,15მ), გოგოძე (5ქ), ფხაკაძე (2ქ), ცირეკიძე, ლომინაშვილი (6ქ), ალხანაიძე (13ქ,8მ), ლობჟანიძე, დეკანოიძე (2ქ)

**მგუ:** ვოლკონსკი (11ქ,13მ), მელიქიანი (10ქ), ნოვიკოვი (8ქ), კუროჩკინი (10ქ), მარკინი (30ქ), სტრეკინი (6ქ), დემენტიევი (7ქ), გორბანი, ვასილენკო (10ქ)

საერთაშორისო სტუდენტური ლიგის 2013-14 წლების სეზონი საქართველოს ჩემპიონ სტუ-სა და რუსეთის წარმომადგენელ მგუ-ს მატჩით გაიხსნა, რომელსაც თბილისის სპორტის სასახლემ უმასპინძლა. მატჩამდე შედგა სეზონის საზეიმო გახსნა და მატჩი საქართველოსა და რუსეთის ვეტერანი კალათბურთელებს შორის. საქართველოს დერიუგინი, ნაცვლიშვილი, გოგობერიშვილი, იშხნელი, სხიერელი (უმცროსი), ღლონტი, ჩიხლაძე, კოხრეიძე, თორთლაძე, ბეჟანიშვილი და მანდილოსნები, მედეა მხეიძე და ლიკა ქაჯაია წარმოადგენდნენ. ხოლო რუსეთის გუნდში მიგლენსკი, ენდენი, მარუსიჩი, ხოსოვი, გონჩაროვი, მეხაიცევი, შეინინი, კაიუმოვი, ნიკოლაევი, ფილიპოვი, პერეგუდოვი, დომანი და სპირიდონოვი თამაშობდნენ. მატჩი სტუმრებმა მოიგეს ანგარიშით 66:53.

რაც შეეხება სტუდენტთა შეხვედრას: ბურთი სიმბოლურად მინაშვილმა და ედეშკომ შეიტანეს და პირველი ქულა სტუმრების იყო, მაგრამ შემდეგ მათიაშვილი აბობოქრდა, რომელიც კარგად ირჯებოდა შეტევასა და დაცვაში. მისი შესანიშნავი თამაშის წყალობით ქართველებმა მეოტხედი 18:9 მოიგეს.

მე-2 მეოთხედის დასაწყისში სტუ-ს უპირატესობამ 11 ქულას (21:10) მიაღწია. ამის შემდეგ მასპინძლები მოეშვნენ, ხოლო სტუმრები გააქტიურდნენ, რომლებმაც მასპინძელთა ლიდერი მათიაშვილი საიმედოდ ამოკეტეს. სტუმრების ლიდერობა კი, მსროლელმა ფიოდორ მარკინმა იკისრა, რომელმაც ამ ფუნქციას თავი კარგად გაართვა და თანაგუნდელებს ყველაზე მეტი 30 ქულა შესძინა. მარკინმა 6-დან 4 სამქულიანი გამოიყენა და ამ მხრივაც საუკეთესო იყო მოედანზე. მეორე მეოთხედი სტუმრებმა იმავე სხვაობით მოიგეს, როგორც ქართველებმა პირველი და დიდ შესვენებაზე გუნდები თანაბარი ქულებით გავიდნენ.

ასევე თანაბრად დასრულდა მესამე მეოთხედიც, მატჩის ბედი კი ბოლო ათწუთეულში გადაწყდა, რომელიც სტუმრებმა 25:17 მოიგეს.

როგორც უკვე გითხარით, მატჩში ყველაზე მეტი, 30 ქულა მარკინმა დააგროვა. 11 ქულითა და 13 მოხსნით მისმა თანაგუნდელმა დენის ვოლკოვსკიმ კი ორმაგი დუბლი შეასრულა. მასპინძელთა მხრიდან ყველაზე შედეგიანები 17-17 ქულით რევაზ დიდია და რიჩარდ მათიაშვილი იყვნენ. მათიაშვილმა აღნიშნულ ქულებს 15 მოხსნა შემატა და ორმაგი დუბლის ავტორი გახდა. თითოეული გუნდიდან საუკეთესო კალათბურთელებად მარკინი და დიდია დაასახელეს.

# ახალგაზრდული სიმფონიური ორკესტრი ბათუმში დაუკრავს

ეკა ირემაშვილი

20 ოქტომბერს ახალგაზრდული სიმფონიური ორკესტრი ბათუმში დაუკრავს. როგორც თბილისის კულტურული ღონისძიებების ცენტრში განმარტავენ, ეს იქნება თბილისისა და საარბრიუკენის თავისუფალი ვალდორფის სკოლების ახალგაზრდული სიმფონიური ორკესტრის კონცერტი.

— თბილისისა და საარბრიუკენის თავისუფალი ვალდორფის სკოლებს მრავალწლიანი მეგობრობა აკავშირებთ ერთმანეთთან. გერმანელი და ქართველი ახალგაზრდები წლების განმავლობაში მონაცვლეობით მართავენ ერთობლივ კონცერტებს თბილისში, ბათუმში, საარბრიუკენსა და გერმანიის სხვა ქალაქებში. უკვე ტრადიციად ქცეული ვიზიტები დატვირთულია კულტურული და შემეცნებითი ღონისძიებებით. ამგვარი ურთიერთობა მნიშვნელოვანია ორივე ქვეყნის წარმომადგენლებისთვის, — ამბობენ კულტურული ღონისძიებების ცენტრში.

წელს საარბრიუკენის და თბილისის თავისუფალი ვალდორფის სკოლების ახალგაზრდულმა სიმფონიურმა ორკესტრმა კონცერტების ჩატარება დაგეგმა ევანგელისტურ ეკლესიაში, 18 ოქტომბერს ისინი დაუკრავენ ევგენი მიქელაძის სახელობის ეროვნულ მუსიკალურ ცენტრში, ხოლო 20 ოქტომბერს მათი კონცერტი ბათუმის ხელოვნებისა და მუსიკის ცენტრშია დაგეგმილი. ღონისძიების მხარდამჭერები არიან ქალაქ თბილისის მერია და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო. პროგრამაში წარმოდგენილი იქნება მოცარტის „ფიგაროს ქორწინება“ სუიტა, დვორჟაკის „ბოჰემური სუიტა“, თხზულება 39, კინომუსიკა და ქართული და გერმანული ფოლკლორი. ღონისძიების ფარგლებში სტუმრები დაათვალიერებენ თბილისისა და ბათუმის ღირსშესანიშნავ ადგილებს.

თბილისის კულტურული ღონისძიებების ცენტრის მხარდაჭერით სასტუმროში „ჰოლიდეი ინში“ დაიგეგმა კამერული ორკესტრის კონცერტი, რომელსაც დირიჟორმა ავთანდილ მამაცაშვილმა უდირიჟორა. კონცერტი მიეძღვნება გამოჩენილი ქართველი (კოსტავას №63 მცხოვრები, საბურთალოელი) მუსიკოსების დიმიტრი ეგნატეს-ძე არაყიშვილის (ქართველი კომპოზიტორი, მუსიკათმცოდნე-ეთნოგრაფი, პედაგოგი და საზოგადო მოღვაწე, ქართული პროფესიული მუსიკის ერთ-ერთი ფუძემდებელი, საქართველოს სსრ სახალხო არტისტი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, სსრკ-ის სახელმწიფო პრემიის ლაურეატი), ოდისეი დიმიტრიადის (დირიჟორი, საქართველოს სახალხო არტისტი), პეტრე ვარლამის-ძე ამირანაშვილისა (ქართველი მომღერალი — ბარიტონი, ზაქარია ფალიაშვილის სახელობის პრემიის ლაურეატი, სსრკ სახალხო არტისტი და სომხეთის სახალხო არტისტი) და ნოდარ ანდღულაძის (ქართველი მომღერალი — დრამატული ტენორი, საქართველოს სახალხო არტისტი, დავით ანდღულაძის შვილი და მოწაფე) იუბილესა და ამ სახლში, რომელიც 75 წლისაა, მცხოვრებ ხელოვნების მუშაკებს, კერძოდ, მსახიობ გიორგი შავგულიძეს, პოეტ სიმონ ჩიქოვანს, მსახიობ პიერ კობახიძეს, მუსკომედიის მსახიობს გოგუცა კუპრაშვილს, ცნობილ მოჭიდავეს სულიკო ჩიხლაძეს, რევაზ კლდიაშვილს პროფესორს ქიმიის დარგში, მწერალსა და დრამატურგს, ლიზა გასტენინა ოპერის სოლისტს, თენგიზ აბულაძეს ცნობილ ქართველ კინორეჟისორს, თემურ გუგუშვილს თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის სოლისტს, პროფესორს, შალვა ძნელაძეს მხატვარს, შალვა აღსაბაძეს თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის რეჟისორს.

საღამოს მიწვეული იყვნენ ამ ხელოვანების შთამომავლები, ოჯახის წევრები და სტუდენტები. საღამოს წამყვანობა ხელოვნებათმცოდნე მაია დათუნაშვილმა ითავა, რომელმაც პროექტორის მეშვეობით, ეკრანზე გაშვებული მასალის პარალელურად ისაუბრა ამ ადამიანების ღვაწლსა და დამსახურებაზე ხელოვნების ამა თუ იმ დარგში. საღამოზე ასევე შესრულდა რამოდენიმე საოპერო არია და კამერული ორკესტრის საკონცერტო ნაწარმოები.

# რენე შმერლინგის ექსლიბრისის უნიკალური კოლექცია თბილისშია

ეკა ირემაშვილი

გიორგი ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიისა და ძეგლთა დაცვის ეროვნული ცენტრი ანხორციელებს საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მიერ დაფინანსებულ პროექტს: „რენე შმერლინგის ექსლიბრისის უნიკალური კოლექციის გამოფენა (XIX-XX საუკუნეების 30-იანი წლები) და სადისკუსიო მრგვალი მაგიდა ქართული გრაფიკული ხელოვნების პრობლემებზე“.



პროექტის განხორციელებაში ასევე ჩართულია თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიაც, მისი პედაგოგები და სტუდენტები. დაგეგმილი ღონისძიება ეძღვნება ცნობილი გრაფიკოსი-მხატვრების — ლადო გრიგოლიას და ნიკოლოზ ჩერნიშკოვის დაბადებიდან 110 წლისთავის საიუბილეო თარიღს.

ცენტრის საგამოფენო დარბაზში გაიმართა გამოფენა, სადაც წარმოდგენილია ამ ორგანიზაციის არქივში დაცული, დიდი ქართველი მეცნიერის, რენე შმერლინგის ექსლიბრისის კოლექცია, რომელიც მოიცავს ორ ასეულზე მეტ ქართულ, სომხურ, რუსულ და ევროპულ ექსლიბრისის საუკეთესო, უნიკალურ ნიმუშებს — XIX საუკუნიდან XX საუკუნის 30-იანი წლების ჩათვლით.

— რადგან გამოფენა საიუბილეოა, გარდა ექსლიბრისებისა, ექსპოზიციაში განთავსდება ლადო გრიგოლიას შრიფტების რამდენიმე გარნიტური და ასევე ქალბატონი რენეს არქივში დაცული ნიკოლოზ ჩერნიშკოვის მინიატურული და დაზგური გრავიურის ნიმუშები. ამავე ღონისძიების ფარგლებში, 16 ოქტომბერს გაიმართება კონფერენცია და მოეწყობა შემეცნებითი-სადისკუსიო მრგვალი მაგიდა, რომლის მონაწილეებიც იქნებიან წამყვანი გრაფიკოსი მხატვრები, სტუდენტი ახალგაზრდობა და დაინტერესებული დამსწრე საზოგადოება. მრგვალი მაგიდა დაეთმობა თანამედროვე ქართულ წიგნის გრაფიკაში, ბეჭდურ, კომპიუტერულ და მხატვრულ შრიფტში და ექსლიბრისის განვითარებაში არსებულ მწვავე, პრობლემატური საკითხების დასმას და მათი გადაჭრისთვის გზების ძიებას. ექსპოზიციების გამოფენა კი 30 ოქტომბრამდე გაგრძელდება, — ამბობენ გიორგი ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიისა და ძეგლთა დაცვის ეროვნულ ცენტრში.

ამავე ცენტრში უკვე გაიმართა მრგვალი მაგიდა თემაზე „კულტურული მემკვიდრეობა და განვითარება“. ღონისძიება პროექტის „რეგიონული თანამშრომლობა კულტურული მემკვიდრეობის განვითარებისათვის“ ფარგლებში იკომოს საქართველომ მოაწყო. ეს შეხვედრა შედგა ძეგლთა დაცვის პროფესიონალთა, დაინტერესებულ საზოგადოებასა და კულტურისა და ძეგლთა დაცვის, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარებისა და რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროებისა და კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს წარმომადგენლებს შორის.

როგორც იკომოს საქართველოს წარმომადგენელმა ლელა ნინოშვილმა განმარტა, შეხვედრაზე განხილულ იქნა საზოგადოების სოციალური და ეკონომიკური განვითარების საქმეში კულტურული მემკვიდრეობის კონსერვაციის მნიშვნელობის როლი.

— აღნიშნული ფორმატის შეხვედრის მოწყობა მნიშვნელოვნად მიგვაჩნია იმის გათვალისწინებით, რომ ბოლო პერიოდის მანძილზე აქტიური მსჯელობისა და აზრთა სხვადასხვაობის საგნად იქცა საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის არაერთი ძეგლის ახლანდელი სტატუსი თუ მომავალი განვითარების პერსპექტივა, ასევე ახალ აქტუალობას იძენს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებისა და ადგილების ეკონომიკური პოტენციალის გამოყენების საკითხი, — აღნიშნა ლელა ნინოშვილმა.

მრგვალ მაგიდაში მონაწილეობის სურვილი გამოთქვეს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის პირველმა მოადგილემ მარინე მიზანდარმა, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის პირველმა მოადგილემ თენგიზ შერგელაშვილმა, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის პირველმა მოადგილემ დიმიტრი ქუმსიშვილმა, ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა გიორგი სიგუამ, კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს გენერალურმა დირექტორმა მერაბ ბოჭოიძემ, აგრეთვე კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სპეციალისტებმა და დაინტერესებულმა საზოგადოებამ.

— პროექტი დაფინანსებულია ევროკავშირის მიერ. იგი ხორციელდება ევროპის სამეზობლო პოლიტიკის აღმოსავლეთ პარტნიორობის კულტურული პროგრამის ფარგლებში, — განმარტა ლელა ნინოშვილმა.

# ნინი ბადურაშვილი საქველმოქმედო აქციაში ჩაერთო

ეკა ირემაშვილი

მომღერალი ნინი ბადურაშვილი საქველმოქმედო აქციაში ჩაერთო, რომელიც არასამთავრობო ორგანიზაცია „სტუდენტთა გაერთიანება სამართლიანი საქართველოსთვის“ ინიციატივით დაიგეგმა. ვერის საკალათბურთო დარბაზში აქცია-კონცერტის ჩატარება გადაწყდა და მასში მონაწილეობის სურვილი გამოთქვეს თიკა ჯამბურიამ, ნინი ბადურაშვილმა, კაბუმ და სხვა ცნობილმა მომღერლებმა.

ორგანიზაციის წარმომადგენლების ბექა ხოფერიას, ბუსა ჟვანიას, ირაკლი ჩხიკვიშვილის, ლიკა ლობჟანიძის თქმით, აქცია-კონცერტი სამი საათის განმავლობაში გაგრძელდა და სოციალურად დაუცველი მოსახლეობის პირობების გაუმჯობესებას მიეძღვნა. სოციალურად დაუცველი მოსახლეობისთვის სხვადასხვა სახის პრიზები 15-მდე კომპანიამ დააწესა, რომელიც ოჯახებს კონცერტის მიმდინარეობის პროცესში გადაეცათ.

არასამთავრობო ორგანიზაცია „სტუდენტთა გაერთიანება სამართლიანი საქართველოსთვის“ ეს პირველი ღონისძიებაა, რომლის დასრულების შემდეგ ახალგაზრდები სხვადასხვა სოციალურ მიმართულებებზე აპირებენ მუშაობას.

— სულ რამდენიმე კვირაა, რაც ჩვენი ორგანიზაცია ჩამოყალიბდა, ჩვენი სამოქმედო გეგმები ყველასთვის თვალნათელია და მასში ყველა სტუდენტს შეუძლია ჩართვა. პირველი აქცია სოციალურად დაუცველებისათვის დავგეგმეთ, სახელწოდებით „გაუხალისე ცხოვრება“. გადავწყვიტეთ, 90-მდე სოციალურად დაუცველ ოჯახს გადავცეთ სხვადასხვა სახის საჩუქრები. ჩვენს მაისურებზე არის ლოგო წარწერით „გააგრძელე“, გვაქვს იმედი რომ ძალიან ბევრი კეთილი ადამიანი გამოჩნდება რომელიც ამ კეთილ წამოწყებას გააგრძელებს, — განაცხადა ირაკლი ჩხიკვიშვილმა.



— ჩემთვის როგორც საქართველოს მოქალაქისთვის ძალიან მნიშვნელოვანია გავაკეთოთ ის, რაც შეგვიძლია. ჩვენ სტუდენტები ვართ და დიდი ენერგია და ძალა გვაქვს. ამიტომაც ვთვლი რომ რასაც მოვინდომებთ ყველაფერი გამოვა. ღონისძიებაში ჩაერთნენ სხვადასხვა კომპანიები, რომლებიც დაგვეხმარნენ სხვადასხვა საჩუქრებით. შეხვედრაზე მოვიწვიეთ უნარშეზღუდულები და მომღერლები და ჩვენი აქციის მიზანია გაუხალისოთ მათ თუნდაც ერთი დღე, — აღნიშნა ზურაბ ჟვანიას შვილმა ბუსა ჟვანიამ.

აქციის ერთ-ერთი ორგანიზატორის, ლიკა ლობჟანიძის თქმით:

— თავიდან როდესაც დავიწყეთ ამაზე მუშაობა ჩვენ ვთხოვეთ მერიას რომ გადმოეცა ჩვენთვის სოციალურად დაუცველთა სიები. მოგვიანებით ჩვენ თვითონაც დავიწყეთ მსგავსი ოჯახების მოძიება. ასეთი დიდი საცხოვრებელი კომპლექსი ვიპოვეთ აფრიკის დასახლებაში, სადაც ერთ-ერთ კორპუსში არის გაუსაძლისი მდგომარეობა. ამ ხალხს არ აქვს სოციალურად დაუცველი ადამიანის სტატუსი და შესაბამისად ისინი ვერ იღებენ სახელმწიფოს მხრიდან დახმარებას.

როგორც არასამთავრობო ორგანიზაციის ერთ-ერთმა წარმომადგენელმა ბექა ხოფერიამ აღნიშნა:

— დაახლოებით 15-მდე კომპანია დაგვეხმარა ამ აქციის განხორციელებაში. ყველა კომპანიამ დააწესა პრიზები. ამ ღონისძიების შემდეგ ნამდვილად არ ვაპირებთ გაჩერებას და სხვადასხვა სოციალური აქტივობებით ვეცდებით დავეხმაროთ საზოგადოებას. ამ აქციის შემდეგ დაგეგმილი გვაქვს შეკრება რათა ლეიკემიით დაავადებული ბავშვების გადასარჩენად სისხლი გავიღოთ.

## კროსვორდი ბ

**შვეულად:** 1. სახელმწიფო აღმოსავლეთ აფრიკაში; 2. ოჩამჩირეს ძველბერძნული სახელწოდება; 3. „ვეფხისტყაოსნის“ დამსურათებელი ქართველი მხატვარი; 4. უმაღლესი ტექნიკური განათლების მქონე სპეციალისტი; 8. ცხვირის ღრუს გასასინჯი სარკე; 9. მორალური ხასიათის აზრი, გამონათქვამი, ზნეობრივი დარიგება; 11. შოტლანდიელთა მეორე სახელწოდება; 12. ჩეხური მოტოციკლეტი; 14. პოპულარული ქართული ფოლკლორული ანსამბლი; 16. მონარქიული სახელმწიფოს დროებითი მმართველი; 17. კალათბურთის გამომგონებელი ამერიკელი პედაგოგი; 19. ციური სხეული, კუდიანი ვარსკვლავი; 21. ბელგიის ფეხბურთელთა გუნდი.

**თარაზულად:** 5. ფასიანი ქაღალდების, უცხოური ვალუტის საბირჟო ფასის დადგენა; 6. ინგლისის პრემიერ-მინისტრი; 7. საერთაშორისო კრიმინალური პოლიცია; 10. ნახატი ზღვის ხედით; 13. მზის სისტემის პლანეტა; 15. სახელმწიფო ევროპაში; 20. ფულის გამოშვება; 22. კუთხე საქართველოში; 23. საგნის ან მოვლენის ძირითადი, არსებით თვისებათა დამახასიათებელი ნიშანი; 24. თვალის ექიმი.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*




## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

### კროსვორდი ა

**შვეულად**: 1. ყუმი; 2. ჩორსუ; 3. ბრინჯი; 5. ყურჭი; 6. ჭიაურელი; 8. ციმაკურიძე; 10. სკუტერი; 12. სატრაპი; 14. ფლეიტა; 15. ვეძისი; 16. ალიბი.

**თარაზულად**: 1. ყეყეჩი; 4. ტყაპუჭი; 7. პერესი; 9. ჯეჯილი; 11. ამერიკა; 12. სკალპელი; 13. სტრიტი; 17. წულაძე; 18. კილი; 19. ოპტიმიზმი; 20. ფერიჰედი.

### კროსვორდი ბ

**შვეულად**: 1. ხენდრო; 2. ბურნუთი; 3. პამპლონა; 4. ჩიქობავა; 8. პერინიონი; 9. ადოპტაცია; 11. დრეზინა; 12. ქორო; 14. კრკა; 16. პროგრამა; 17. პანსიონი; 19. ორიონი; 21. ლეგია.

**თარაზულად**: 5. საქარინი; 6. ბრაზილია; 7. ტარანტული; 10. ჰოპერი; 13. მდოგვი; 15. ფრიზერი; 18. კრეოლი; 20. არიანი; 22. ჰეინეკენი; 23. ემბრიონი; 24. დილიჟანი.

# „თსუ გორდელა“ საქართველოს რეგიონებს მოივლის

დასაწყისი მე-8 გვერდზე

ბის ჩასვლა და მათ მიერ ქართული ფოლკლორის გაცნობა. დარწმუნებული ვარ, რომ ეს ხელს შეუწყობს საზოგადოებაში ტოლერანტობის გაზრდას და სხვადასხვა ეროვნების წარმომადგენლების დამეგობრებას.

პრეზენტაციაზე ისიც ითქვა, რომ ღონისძიებას ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა აფინანსებს. პროექტის მხარდამჭერები კი არიან ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა, საქართველოს სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა სამინისტრო და საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი რეინტეგრაციის საკითხებში.

ახალი პროექტის პრეზენტაციამდე ანსამბლი „თსუ გორდელა“ უკრაინაში იმყოფებოდა, სადაც გასტროლები გამართა. როგორც გოგონებმა განაცხადეს, მათ უკრაინის დედაქალაქ კიევში სოლოკონცერტი გამართეს და საკუთარი რეპერტუარიდან სიმღერები შეასრულეს. 40-წუთიანი დაგეგმილი განრიგის გარდა, ანსამბლმა სცენაზე დამატებით ნახევარი საათი დაჰყო. კონცერტმა კი როგორც მოსალოდნელი იყო სრული ანშლაგით ჩაიარა.

„თსუ გორდელა“ 6 წლის წინ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩამოყალიბდა. მასში თსუ-ის სხვადასხვა ფაკულტეტის 8 სტუდენტი გოგონაა გაერთიანებული. ანსამბლის ხელმძღვანელია ვლადიმერ (თამაზ) მამალაძე, ჯგუფის წევრები კი არიან თაკო ალადაშვილი, ქეთი კვირკელია, სოფო ქირია, თეა ქირია, ნათია ხმალაძე, ანა გულედანი, ნატალია ბაბაშვილი და ნინო კაციტაძე.

— ანსამბლის რეპერტუარი მოიცავს მელოდიების ფართო სპექტრს, რომელსაც მივყავართ ადრეულ შუა საუკუნეებამდე და ამასთანავე, პირვანდელი სახით ინარჩუნებს საქართველოში საუკუნეების განმავლობაში შემონახულ სულიერებით აღსავსე, უძველესი წარმომავლობის მქონე თვითმყოფად და გამორჩეულ მუსიკალურ კულტურას, — აღნიშნავს ანსამბლის ხელმძღვანელი ვლადიმერ მამალაძე.

ანსამბლის მიერ შესრულებული ქართული ტრადიციული მუსიკა არანჟირებულია ანსამბლის ხელმძღვანელის მიერ. „თსუ გორდელა“ ასრულებს მრავალხმიან ხალხურ სიმღერებს, როგორც ა-კაპელა, ასევე ინსტრუმენტების თანხლებით. მისი წევრები უკრავენ უძველეს ქართულ ხალხურ საკრავებზე: სიმებიანი — ფანდური, ჩონგური, ჭუნირი, ჩანგი; ჩასაბერი — სალამური, ჭიბონი, ლარჭემი; დასარტყმელი — დოლი, დაირა, ასევე გარმონი.

მიუხედავად არსებობის მცირე პერიოდისა, ანსამბლმა სწრაფად მოიპოვა პოპულარობა, ანსამბლი არის სხვადასხვა ფესტივალის ლაურეატი, რაც მისი წევრების მაღალი პროფესიონალიზმის დამსახურებაა.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ახალი პროექტის პრეზენტაციამდე დოკუმენტური ფილმის „თსუ გორდელას“ პრეზენტაცია და ფოლკლორული ანსამბლის „თსუ გორდელას“ სოლო-კონცერტიც გაიმართა. დოკუმენტური ფილმი ანსამბლის შემოქმედებასა და ისტორიას შეეხებოდა, ცნობილმა პიროვნებებმა საკუთარი აზრი გამოთქვეს „თსუ გორდელას“ შემოქმედებაზე. ფილმის რეჟისურა რამაზ ბლუაშვილს ეკუთვნის, ოპერატორი კი გიორგი ბაბილოძეა.

# მოსკოვში დაკავებულმა აზერბაიჯანის მოქალაქემ ბირიულევოში მომხდარი მკვლელობა აღიარა

მოსკოვის გარეუბან ბირიულევოში მომხდარ მკვლელობაში ეჭვმიტანილმა, გუშინ მოსკოვში დაკავებულმა აზერბაიჯანის მოქალაქემ ორჰან ზეინალოვმა აღიარა, რომ 25 წლის იგორ შერბაკოვი მოკლა.



ამის შესახებ რუსული მედია წერს და ამატებს, რომ ზეინალოვმა, რომელმაც დაკავებისას პოლიციას წინააღმდეგობა გაუწია, მკვლელობა მოგვიანებით, პოლიციელთან პირად საუბარში აღიარა.

ზეინალოვი მოსკოვთან ახლოს, კოლომნის პარკში აიყვანეს, სადაც ის იმალებოდა და ნაცნობებისგან დახმარებას ელოდებოდა. ის მოსკოვში ვერტმფრენით გადაიყვანეს და ამჟამად წინასწარი პატიმრობის იზოლატორში იმყოფება.

მანამდე პოლიციამ მილიონი რუბლის პრემია დააწესა იმ პირისთვის, ვინც სამართალდამცველებს ნებისმიერ ინფორმაციას მიაწვდიდა ზეინალოვის ადგილსამყოფელის შესახებ.

ვინაიდან მსგავსი პრემიების გაცემის საკითხი, ინფორმაციის გამცემის ანონიმურობის მიზნით, ყველა ქვეყანაში გასაიდუმლოებულია, უცნობია, რუსმა სამართალდამცველებმა ზეინალოვს თავად მიაგნეს, თუ მიღებული ოპერატიული შეტყობინების შედეგად.

ამ ფონზე, მოსკოვის მიკრორაიონში უზბეკეთის მოქალაქის გვამი იპოვეს. სამართალდამცავების თქმით, მას ცივი იარაღით აქვს ჭრილობები მიყენებული. გვამი ბირიულევოს აღმოსავლეთ ნაწილში იპოვეს. ბირიულევში, რამდენიმე დღეა, ეთნიკურ ნიადაგზე სერიოზული დაპირისპირებაა. 10 ოქტომბერს, ღამით, ბირიულოვოში მოკლული იქნა ადგილობრივი მცხოვრები, 25 წლის ეგორ შჩერბაკოვი. თვითმხილველების თქმით, ახალგაზრდა ბიჭი მეგობარ გოგონას სახლში აცილებდა, როცა „კავკასიური გარეგნობის“ მქონე მამაკაცმა გულში დანით სასიკვდილო ჭრილობა მიაყენა.

მკვლელობის შემდეგ, ბირიულოვოში სტიქიური არეულობები დაიწყო. ადგილობრივი მაცხოვრებლები ითხოვდნენ მკვლელის პოვნასა და დასჯას, „პოკროვსკაიას“ ხილ-ბოსტნეულის ბაზის დახურვას, სდაცაც ძირითადად მიგრანტები მუშაობენ და საიმიგრაციო კანონმდებლობის გამკაცრებას.

13 ოქტომბერს აქციამ კიდევ უფრო მასშტაბური ხასიათი მიიღო და არეულობებში გადაიზარდა. ნაციონალისტები და ადგილობრივები გაიძახოდნენ: „ჩვენ რუსები ვართ, ჩვენ სახლში ვართ“. რუსეთის შსს-ს სიტუაციის გასაკონტროლებლად „ომონის“ გამოყვანა დასჭირდა. 14 ოქტომბერს კი პოლიციამ 1200-მდე მიგრანტი დააკავა.

# ვენა ახალგაზრდებისთვის საუკეთესო ქალაქად დაასახელეს




გამოცემა ლისტ 25.ქომი იმ 25 ქალაქს აქვეყნებს, რომლებიც საცხოვრებლად საუკეთესოა ახალგაზრდებისთვის. საუკეთესო ქალაქების ჩამონათვალი ასე გამოიყურება.

ვენა, ავსტრია; ნიუ-იორკი, აშშ; მალტა; მელბურნი, ავსტრალია; სალვადორი, ბრაზილია; დუბაი, არაბეთის გაერთიანებული საემირო; ვანკუვერი, კანადა; პრაღა ჩეხეთი; ედინბურგი, შოტლანდია; პარიზი, საფრანგეთი; აუკლენდი, ახალი ზელანდია; ჟენევა, შვეიცარია; ქეიფთაუნი, სამხრეთ აფრიკა; ფრანკპურტი, გერმანია; რომი იტალია; ბერლინი, გერმანია; სიეტლი, ვაშინგტონი, აშშ; ლონდონი, ინგლისი; ოსლო, ნორვეგია; ბარსელონა, ესპანეთი; ამსტერდამი, ნიდერლანდები; პერსი, ავსტრალია; ბუენოს აირესი, არგენტინა; ციურიხი, შვეიცარია; ჰელსინკი, ფინეთი.

ვენა ევროპის ერთ-ერთი ყველაზე დახვეწილი ქალაქია და საკუთარი ხანგრძლივი და მდიდარი ისტორიით დამსახურებულად უჭირავს დასავლეთის ცივილიზაციასა და მსოფლიო კულტურაში განსაკუთრებული ადგილი. საუკუნეთა მანძილზე წარმოადგენდა საღვთო რომის იმპერიის ცენტრს, საიმპერატორო დედაქალაქსა და ჰაბსბურგების რეზიდენციას. ამ დროიდან იგი განვითარდა, როგორც ევროპის კულტურული და პოლიტიკური ცენტრი. ვენა მეოთხე ქალაქი იყო ლონდონის, ნიუ იორკისადა პარიზის შემდეგ, რომლის მოსახლეობაც ორ მილიონს ითვლიდა. პირველი მსოფლიო ომის შემდეგ ვენამ თავისი მოსახლეობის თითქმის მეოთხედი დაკარგა. ძველი ცენტრალური ნაწილი, რომელიც ჰაბსბურგების დინასტიამდეცარსებობდა, ასევე შენბრუნის სასახლე ავსტრიის რესპუბლიკის მოთხოვნით შეტანილ იქნა იუნესკოს მსოფლიო მემკვიდრეობის სიაში.

# სამგლოვიარო განცხადებები

შვილები რუსუდან, ბიძინა ჩოლოყაშვილები, რძალი ქეთი ჩოლოყაშვილი, შვილიშვილები ნინო, მარიამ, კონსტანტინე ჩოლოყაშვილები, სიძე ვანო აბრამიძე იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**კოტე ჩოლოყაშვილი**

პანაშვიდი: 17, 18 ოქტომბერს, 17 საათზე.
დაკრძალვა: 19 ოქტომბერს, 14 საათზე.
მისამართი: ილ.ჭავჭავაძის გამზირი 2/2.

ლევან ჭაჭიაშვილი, ილიკო თაყაიშვილი იუწყებიან, რომ გარდაიცვალა სიყრმის მეგობარი, ქართველი მამულიშვილი

**კოტე ჩოლოყაშვილი**

უფალს ვთხოვთ, ნათელში ამყოფოს მისი სული.

**სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.**

# უკრაინა ასოცირების შესახებ შეთანხმებაზე ხელმოწერისთანავე შეუდგება ცალკეული დებულებების შესრულებას



ნოემბერში ვილნიუსში „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ სამიტზე, უკრაინისთვის ასოცირების შესახებ შეთანხმებაზე ხელმოწერა, უმთავრესი ამოცანაა. ამის შესახებ უკრაინის პრეზიდენტმა ვიქტორ იანუკოვიჩმა, 15 ოქტომბერს, ტალინში ესტონეთის პრეზიდენტთან შეხვედრის შემდეგ, მედიასთან განაცხადა. იანუკოვიჩმა აღნიშნა, რომ შეთანხმება შედის როგორც უკრაინის, ასევე ევროკავშირის ინტერესებში, „პირველ რიგში უკრაინის მომდევნო მოდერნიზაციისთვის ევროპული ღირებულებებისა და სტანდარტების საფუძველზე“.

პრეზიდენტმა დასძინა, რომ უკრაინა ცდილობს, ასოცირებაზე ხელმოწერისათვის, ყველა აუცილებელი რეფორმა შეასრულოს. პროგრესი ამ პროცესში „ადასტურებს ჩვენი სახელმწიფოს ერთგულებას ევრო-კავშირთან ასოცირებისა და ეკონომიკური ინტეგრაციისადმი“, — ამბობს იანუკოვიჩი.

შეგახსენებთ, რომ უკრაინის ექს-პრემიერი იულია ტიმოშენკო თანახმაა უკრაინის პრეზიდენტის ვიქტორ იანუკოვიჩისაგან მიიღოს შეწყალება. ტიმოშენკოს ადვოკატის თქმით, სწორი იქნებოდა თუ ექს-პრემიერი სრულ შეწყალებას მიიღებდა, თუმცა არსებული სიტუაციიდან გამომდინარე, ტიმოშენკო მზადაა კომპრომისზე წავიდეს და მიიღოს შეწყალება, რაც გულისხმობს, რომ არ მოხდება მისი რეაბილიტაცია.

უკრაინის პრეზიდენტმა ვიქტორ იანუკოვიჩმა გაფართოებისა და სამეზობლო პოლიტიკის საკითხებში ევროკომისარის შტეფან ფულესთან შეხვედრის შემდეგ განაცხადა, რომ ტიმოშენკოს საკითხი უახლოეს მომავალში გადაწყდებოდა.

ევროკავშირის „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ სამიტი ვილნიუსში, ნოემბერში გაიმართება, სადაც საქართველომ და მოლდოვამ ევროკავშირთან ასოცირების შესახებ ხელშეკრულების, ტექსტის პარაფირება უნდა მოახდინონ, ხოლო უკრაინამ ხელი უნდა მოაწეროს ამ ხელშეკრულებას. უკრაინისათვის ასოცირების შესახებ შეთანხმების ხელმოწერის ერთადერთი დაბრკოლება სწორედ ტიმოშენკოს პატიმრობაა.

# მოსკოვში ჰოლანდიელ დიპლომატს სცემეს



ჰააგაში, ჰოლანდიის საგარეო საქმეთა მინისტრმა რუსეთის ელჩი რომან კოლოდკინი მოსკოვში ჰოლანდიელი დიპლომატის ცემასთან დაკავშირებით დაიბარა.

დიპლომატმა, რომლის ვინაობასაც ჰოლანდიის საგარეო საქმეთა სამინისტრო არ ასახელებს, მსუბუქი ტრამვები მიიღო. რუსული მედიასაშუალებების ცნობით კი ნაცემია 66 წლის ონნო ელდერენბო. გავრცელებული ინფორმაციით, დიპლომატი საკუთარ ბინაში სცემეს.

ინციდენტი მოხდა, მაშინ, როდესაც დიპლომატი საღამოს სახლში დაბრუნდა. მან აღმოაჩინა, რომ ლიფტი არ მუშაობს და ფეხით ავიდა მეოთხე სართულზე სადაც ელექტროფართან მომუშავე ელექტრიკოსის ფორმაში გამოწყობილი 2 მამაკაცი დახვდა. მათ უთხრეს, რომ ყველა ბინაში დენი გათიშულია და სთხოვეს მისი ბინის ელექტრობის შემოწმება. როგორც კი დიპლომატმა კარი გააღო მას ხელი კრეს, ბინაში შეაგდეს, გაკოჭეს და სასტიკად სცემეს. თავდამსხმელებმა სახლიდან არაფერი წაიღეს, წასვლის წინ კი სარკეზე დატოვეს წარწერა — ლგბტ.

შეგახსენებთ, რომ სულ ცოტა ხნის წინ ჰააგაში რუსი დიპლომატი პოლიციამ, ასევე, საკუთარ ბინაში „სცემა“. აღნიშნულთან დაკავშირებით რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა ჰოლანდიას ბოდიშის მოხდა და ახსნა-განმარტება მოსთხოვა.

თავის მხრივ, რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს საგარეო ურთიერთობების კომიტეტის ხელმძღვანელმა ალექსეი პუშკოვმა ნიდერლანდების პოლიციას ურჩია შეეშვან რუსი დიპლომატების დევნას და „საკუთარ კანონიერ პედოფილებს“ მიხედონ. პუშკოვმა ამის შესახებ „თვითერის“ საკუთარ გვერდზე დაწერა:

„ჰოლანდიის პოლიცია იმას კი არ უნდა ადევნებდეს თვალყურს როგორ ექცევიან რუსი დიპლომატები საკუთარ შვილებს, არამედ ყურადღება საკუთარ ლეგალურ პედოფილებს უნდა მიაქციონ“.

დასაწყისი მე-12 გვერდზე

მოწმებებისა და საგადასახადო პრეტენზიების არსებობის შემთხვევაში. ეს დოკუმენტი განიხილება როგორც შუალედური ეტაპი უფრო კონკრეტული შეთანხმების, რომლის თანახმადაც, საგადასახადო გადარიცხვების შესახებ ინფორმაცია ავტომატურად გაიცვლება დაინტერესებულ ქვეყნებს შორის შეთანხმებით.

ამ კონვენციისათვის შვეიცარიის მიერთება კითხვის ქვეშ აყენებს იმას, რაც ამ ქვეყნისადმი იმ ბიზნესმენთა ინტერეს იწვევდა, რომლებიც დაინტერესებული არიან თავიანთი აქტივებისა და საბანკო საიდუმლოების დაფარვაში. შვეიცარია მსოფლიოში უმსხვილესი ოფშორული ცენტრია და შედის ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის ქვეყნების ე.წ. „ნაცრისფერ სიაში“. ამ სიაში ორგანიზაციას ის ქვეყნები შეჰყავს, რომლებიც მისი აზრით, არასაკმარის ძალისხმევას ახორციელებს გადასახადის სრულად გადახდასა და ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლაში. შვეიცარიამ კონვენციას მას შემდეგ მოაწერა, რაც გ-20 ქვეყნებმა პეტერბურგში განიხილეს გადასახადისაგან თავის არიდების ღონისძიებები და გამოთქვეს იმედი, ამ კონვენციასთან ყველა იურისდიქციების მიერთების შესახებ.

# შვეიცარიამ საბანკო საიდუმლოების შენახვაზე უარი თქვა

„ფაინეშლ თაიმსი“ წერს, რომ შვეიცარიის მხრიდან აღნიშნულ კონვენციაზე ხელმოწერა ქვეყნის ავტომატურად მიერთებას არ ნიშნავს. დოკუმენტის რატიფიცირებაზე თანხმობა პარლამენტმა უნდა მიიღოს. შემდეგ, იგი გატანილი იქნება რეფერენდუმზე. ეს კი იმას ნიშნავს, რომ შვეიცარია კონვენციას რატიფიცირებას 2013 წელს ვერ შეძლებს.

ძალიან დიდი ხნის განმავლობაში შვეიცარია საბანკო საიდუმლოების, ან, უფრო მეტიც, როგორც თავად ალპური ქვეყნის მცხოვრებლები ირწმუნებიან, კლიენტთა პირადი ცხოვრების დაცვის სიმბოლოდ ითვლებოდა. მაგრამ, შვეიცარული საბანკო საქმის ეს ფუნდამენტი გამჭვირვალობისაკენ მოწოდებებისა და ზეწოლის შედეგად არცთუ დიდ ხანია დაიმსხვრა. მათ ფონზე შვეიცარული ფონზე შვეიცარული ფინანსური ინსტიტუტები ანაქრონიზმად გამოიყურებოდა.

აშშ-ს, დიდი ბრიტანეთის, გერმანიის და მაღალი დონის საგადასახადო სისტემის მქონე სხვა ქვეყნების მოთხოვნის შედეგად, შვეიცარელმა ბანკირებმა გადაწყვიტეს უარი ეთქვათ თავიანთ ძველ კრედოზე, რომელიც ეხება იმ კლიენტთა ანაბრების საიდუმლოების დაცვას, რომლებსაც სამშობლოში გადასახადებისაგან თავის არიდებაში ადანაშაულებენ. აქამდე ამგვარ ქვეყნებს ბევრად უფრო სერიოზული ბრალდების — მაქინაციებში მონაწილეობის დამადასტურებელი მტკიცებულება უნდა წარმოედგინათ. შვეიცარია ტრადიციულად ითვლებოდა კერძო კლიენტთა საყვარელ ნავსაყუდელად — მსოფლიოს მცხოვრებთა მთლიანი კერძო დანაზოგიდან, რომელიც 7 ტრილიონ დოლარს შეადგენს, მის ბანკებში 2 ტრილიონი დევს.

შვეიცარული ბანკების საქმიანობაში განხორციელებული ცვლილება კიდევ ერთი მტკიცებულებაა იმისა, თუ როგორ ცვლის თავისუფალი ინფორმაციის მიღების სურვილი ფუნდამენტალურ პრინციპებს. როგორც შვეიცარელები დარწმუნდნენ, პირადი ცხოვრების უფლებას დღეს მისი გამჭვირვალობის აუცილებლობა ცვლის. სხვებზე ბევრის ცოდნა მოთხოვნილებადაა ქცეული.

*მოამზადა გერა მამულაშვილმა*

# TV პროგრამა

## ხუთშაბათი 17 ოქტომბერი

**08.00** დ/ფ "მსოფლიოს ქალაქები" **09.00, 10.00, 12.00, 16.00, 19.00, 20.00, 00.00** "მოამბე" **09.10** საბ. ან/სერ. "კრიპტო სუპერ ძაღლი" **10.15** ან/ფ "სუპერმენი და ბეტმენი-აპოკალიფსი" **12.40** მხ/ფ "**სამყარო მშვენიერია**" **14.00** დ/ფ "ჟოზეფ მალორ უილიამ ტერნერი" **15.00** ტ/სერ. "**ჭორიკანა**" **17.00** დ/ფ "სამხედრი საზღვაო ავიაცია" **17.55** ტ/სერ. "**ზღვარს მიღმა**" **19.00** "სამხედრო გადაცემა" **19.30** დ/ფ "სამეფო სასტუმრო" **21.00** პრეზიდენტობის კანდიდატთა დებატები (პ/ე) **23.00** "უცნობი მუსიკა" **00.50** მხ/ფ "**ჰაჯი მურატი – ფილმი" რომელიც არ დაიდგა**"

**08.00, 10.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 23.00** "ბრიფინგის დრო" **09.00, 19.00** "თავისუფალი ტრიბუნა" **11.00** დ/ფ "მსოფლიო ქალაქები" – "ბრიუსელი" **14.00** ტ/სერ. "**დეტექტივი**" **16.00 ფეხბურთი** – ევროპის **17** წლამდე ფეხბურთელთა შესარჩევი ეტაპის მატჩი: **საქართველო – სან-მარინო** I-II ტაიმი (პ/რ) **20.00** "მოამბე" (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ, რუსულ ენებზე) **21.30** "არგუმენტების დრო" (პ/ე)

**07.30, 08.05, 09.10** იმედის დილა (პ/ე) **08.00, 09.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00, 17.00, 19.00, 20.00, 02.45** ქრონიკა **10.05** სერ. "**სიყვარული კონტრაქტით**" **11.25, 12.05** სერ. "**ცივი გული**" **12.30, 13.03** დღის შოუ (პ/ე) (გაგ. **14.40, 15.05** კაცების შოუ **16.03** სერ. "**დაბრუნება**" **17.50, 19.03** სერ. "**უდანაშაულო**" **20.50** სერ. "**სილა**" **21.50** ცეკვავენ ვარსკვლავები **00.00** მხ/ფ "**საბილიარდო**" (ვ.რეიმსი)

**07.30** დილამშვიდობისა საქართველო **10.00** სერ. "**ერთგულების ძალა**" **11.00** სერ."**ბრაზილიის გამზირი**" **12.00, 15.00, 18.00, 21.00** კურიერი **12.30** "შუა დღე" **16.00** სერ. "**სიყვარული და შურისძიება**" **17.00** სერ. "**ნათია და ნათია**" **18.50, 19.50** სერ."**ტიტების დრო**" **22.00** პროფილი (**1** სარეკლამო ჭრა) **01.00** მხ/ფ **03.00** კურიერის დაიჯესტი **03.30** მხ/ფ (ტიტ.)

**06.00, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55** შვიდგზის ლოცვა **06.05, 12.00, 15.00, 18.00, 00.00** საეკლესიო კალენდარი **06.10** დოკ/ფ "მოგზაურობა ბარტ ვულფთან ერთად" **06.45** მხ/ფ "**ხარება და გოგია**" II ნაწ. **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30** "განთიადი" **09.05,18.05, 21.05** ერთსულოვნების ვერნისაჟი **10.10, 18.55, 00.25** ისტორიის დღიური **10.15, 19.00, 22.00, 00.05, 02.30** სიახლენი **10.40** ლექსით ქებათა ქება **10.45** დოკ/ფ "განცხადებული სასწაულები" **11.25, 14.45** ფოტოგალერეა **11.30** ეპოქის სახელები **12.05** ამინდი **12.10** მხ/ფ "**სამანიშვილის დედინაცვალი**" **13.30** ქართული მულტფილმი **13.45** დოკ/ფ "შორეულთა სიახლოვე" **14.50** მართლმადიდებლური კატეხიზმო **15.05** განთიადის სტუმარი **15.30** დოკ/ფ "მოგზაურობა ბარტ ვულფთან ერთად" **15.55** კონცერტი -"ჩვენებურები" **18.10** დიდ ხარ შენ, უფალო **18.25** კვირიაკეს სიუჟეტი "საქართველოს ეკლესიის ისტორია" **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.20** მხ/ფ "**როცა აყვავდა ნუში**" **20.40** ძილი ნებისა **21.00** პატრიარქის ქადაგება **21.10** "ერთსულოვნების სალონი" **22.25** მოკ/ფ "**სერენადა**" **22.55** მართლმადიდებლური კატეხიზმო **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** "თვენი"- წმინდა ევდემოზ კათოლიკოსი **23.25** "ზღვარზე" გად. I **00.30** განთიადის სტუმარი **01.00** მხ/ფ "**თხუნელა**"

**მაესტრო** **7.00, 0.45, 2.30, 5.15** ახალი ამბები (კოლაჟი). **7.40** მულტფილმი სონიკ- ხ. **7.55, 8.10, 9.15** მაღვიძარა. **8.00, 9.00, 10.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00** ახალი ამბები. **10.15, 16.00 სერიალი "რთული გზა"**. **12.50** თოქ-შოუ "პოლიტმეტრი" (გამ). **17.45, 21.30, 0.30, 6.00** "ყოველდღიური აბები" (გამ.). **18.05, 1.30, 5.45** თოქ-შოუ "სუბიექტური აზრი"(გამ). **19.00 სერიალი "ასი"**. **21.45 სერიალი "დიდებული საუკუნე"**. **23.00, 3.15** თოქ-შოუ "არგუმენტები" (გამ.).

პროგრამები იბეჭდება საგაზეთო „ინფოზავრის“ ნებართვით

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


**17 ოქტომბერი**

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 1,6682 |
| ევრო | 2,2634 |
| ინგლისური გირვანქა სტერლინგი | 2,6644 |
| 100 რუსული რუბლი | 5,1786 |

## ამინდის პროგნოზი 17 ოქტომბრისთვის





# მალე!
## ქართული დეტექტივი
### ტომი 3
## იორამ ჩადუნელი
## საზღაური
### უკვე გამოსულია
ტომი 1 ................ მგლის ბილიკი
ტომი 2 ................ შავი ვარდი




სს „თიბისი ბანკი“
ა/ნ: GE38 TB76 6654 5161 6000 02
დარეკეთ: 09 01 70 00 56
დღეს ყველანი გვჭირდებით!
გაჩუქოთ მაია მიქაუტაძეს სიცოცხლე!

**კუნძულ უტოიაზე მოკლული ლიპარტელიანების ოჯახი დახმარებას ითხოვს – 100.000 დოლარი სიცოცხლის გადასარჩენად!**

**25 წლის მაია მიქაუტაძეს დაუდგინდა მწვავე ლეიკემია, რის გამოც ესაჭიროება გადაუდებელი ოპერაცია – ძვლის ტვინის გადანერგვა. ოპერაციის ჩატარების სირთულიდან გამომდინარე, საქართველოში მისი გაკეთება შეუძლებელია. მაიას ოპერაცია უნდა ჩაუტარდეს თურქეთში, რაც, სამწუხაროდ, დიდ თანხებთანაა დაკავშირებული. ოპერაციის ღირებულება შეადგენს მინიმუმ 100.000$, რომლის მოგროვების საშუალებაც ოჯახს დამოუკიდებლად არ გააჩნია.**

**უმორჩილესად გთხოვთ, თქვენი შესაძლებლობიდან გამომდინარე, აღმოუჩინოთ მაიას ნებისმიერი სახის დახმარება და ერთად გადავარჩინოთ მისი სიცოცხლე.**

# გიგა ლორთქიფანიძეს მემორიალურ დაფას გაუხსნიან

ეკა ირემაშვილი

**რეჟისორ გიგა ლორთქიფანიძეს 19 ოქტომბერს მისივე საცხოვრებელი სახლის კედელზე მემორიალურ დაფას გაუხსნიან. 19 ოქტომბერი რეჟისორის დაბადების დღეა, მას 86 წელი შეუსრულდებოდა.**



როგორც „ახალ თაობას“ ხელოვანის ქალიშვილმა ნინო ლორთქიფანიძემ განუცხადა, მემორიალური დაფა პაოლო იაშვილის 7 ნომერში 19 ოქტომბერს, 16 საათზე გაიხსნება.

**ნინო ლორთქიფანიძე:**

– მემორიალური დაფის გახსნა სპეციალურად იქნა დამთხვეული მამას დაბადების დღეზე.

***– სხვა ღონისძიებაც ხომ არ დაიგეგმა 19 ოქტომბერს?***

– არა, მეტი არაფერია დაგეგმილი, არც ხსოვნის საღამო და არც არანაირი თავშეყრა.

გიგა ლორთქიფანიძე 85 წლის ასაკში 13 ივნისს გარდაიცვალა. ის სიცოცხლის ბოლო პერიოდში ავადმყოფობდა და სუნთქვის უკმარისობის დიაგნოზით რესპუბლიკურ საავადმყოფოშიც იწვა. რეჟისორი მთელი თავისი შეგნებული ცხოვრება ქართულ თეატრსა და კინოს ემსახურებოდა. დადგმული აქვს 100-ზე მეტი სპექტაკლი, გადაღებული აქვს არაერთი ფილმი, თუმცა მათ შორის გამორჩეულია „დათა თუთაშხია“, რომელმაც რეჟისორსაც და ფილმში მონაწილე მსახიობებსაც არნახული პოპულარობა მოუტანა. ფილმისთვის „წიგნი ფიცისა“ მას რუსთაველის პრემია მიენიჭა.

სხვადასხვა წლებში იყო მარჯანიშვილის თეატრის, მუსიკისა და დრამის თეატრის ხელმძღვანელი, ასევე მის სახელთან არის დაკავშირებული რუსთავის თეატრის დაარსება. წლების განმავლობაში ხელმძღვანელობდა თეატრის მოღვაწეთა კავშირს, სიცოცხლის ბოლომდე კი მისი საპატიო თავმჯდომარე იყო. იგი ასევე თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი იყო. რეჟისორმა პარლამენტშიც იმუშავა და სამი წლის განმავლობაში საქართველოს პარლამენტის დეპუტატი იყო.

გიგა ლორთქიფანიძე არაერთი ჯილდოსა და პრემიის მფლობელია, მათ შორისაა რუსთაველისა და მარჯანიშვილის პრემიები, თბილისის საპატიო მოქალაქე, ღირსების ორდენის კავალერი.

სიცოცხლის ბოლო წლებში მას სურდა გადაეღო მრავალსერიანი ფილმი, რომელიც ალექსანდრე ყაზბეგის შემოქმედებას გააერთიანებდა, მთავარ როლში კი მაკა ასათიანის დაკავება ჰქონდა გადაწყვეტილი.

რეჟისორის გარდაცვალებიდან ძალიან მალე გიგა ლორთქიფანიძეს მშობლიური მარჯანიშვილის თეატრის წინ ვარსკვლავი გაუხსნეს. როგორც მაშინ ვარსკვლავის გახსნის ინიციატორებმა განმარტეს, გიგა ლორთქიფანიძის ვარსკვლავის გახსნა მის სიცოცხლეშივე იყო გადაწყვეტილი, თუმცა რეჟისორის ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების გამო, ეს ღონისძიება ვერ გაიმართა. მარჯანიშვილის თეატრის წინ გიგა ლორთქიფანიძის ვარსკვლავი 21 ივნისს გაიხსნა, 19 ოქტომბერს კი მის დაბადების დღეზე ხელოვანის შემოქმედების გულშემატკივრები, ოჯახის წევრები, კოლეგები და ახლობლები კიდევ ერთხელ შეიკრიბებიან და გიგა ლორთქიფანიძის მემორიალურ დაფას გახსნიან.

# გამოექომაგე საქართველოს!



სოფელ დვანში საქართველოს ფეხბურთის ფედერაციისა და ქართული სპორტის ქომაგების ერთობლივი აქცია გაიმართა. აქციის სლოგანი იყო – „გამოექომაგე საქართველოს“. მონაწილეებმა სოფელ დვანში გაბმულ მავთულხლართებთან მდუმარე აქცია მოაწყვეს. შემდეგ კი, სოფლის სტადიონზე გადაინაცვლეს და სიმბოლური საფეხბურთო მატჩი გამართეს.

ამ აქციის ჩატარების იდეა სფფ-ის პრეზიდენტისა და ქომაგების ერთ-ერთი შეხვედრისას გაჩნდა. დვანში თავად ზვიად სიჭინავაც იმყოფებოდა. მგზავრობის ხარჯები და აქციის მონაწილეების სხვადასხვა საჭირო ატრიბუტიკით აღჭურვა ფეხბურთის ფედერაციამ თავის თავზე აიღო. ქომაგებმა კი, გულშემატკივართა მობილიზება მოახდინეს. სასიამოვნოა, რომ მათი ძალისხმევით, დღევანდელ აქციაში რუსთაველი, ქუთაისელი, ზუგდიდელი, ზესტაფონელი, გორელი და ლანჩხუთელი ქომაგებიც მონაწილეობდნენ.

საფეხბურთო მატჩის დასრულების შემდეგ კი, აქციის მონაწილეებმა დროშები, ბურთები და მაისურები ადგილობრივ მოსახლეობას საჩუქრად გადასცეს.

შეგახსენებთ, რომ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ინიციატივით, 6 ოქტომბერს, საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის მე-8 ტურის მატჩები, სწორედ, დიცისა და დვანის მოსახლეობის მხარდამჭერი სლოგანით გაიმართა.

ზვიად სიჭინავა:

– საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია ყოველთვის მზადაა გვერდში დაუდგეს ყველა შემოთავაზებას, რომლებიც ამ სოფლებისა და ჩვენი ქვეყნის გვერდში დგომას ეხება. ჩვენი პოზიცია საქართველოს მხარდაჭერაა.

მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა

## ჯვარედინი ა

**შვეულად:** 1. მარჯნის ძველი სახელწოდება; 2. სამეჯლისო ცეკვა; 3. ლომების ჯოგი; 5. „სამი მუსკეტერის“ პერსონაჟი; 6. ძვირფას ქვებზე მხატვრული კვეთის ხელოვნება; 8. ჭაობში მზარდი მცენარეთა საერთო სახელწოდება; 10. რაიონული ცენტრი სამცხე-ჯავახეთში; 12. პოპულარული ჰოლანდიური ლუდი; 14. იმრე კალმანის ოპერეტა; 15. გულდა კალაძის ქანდაკება ბიჭვინთაში; 16. საათების მწარმოებელი იაპონური ფირმა.

**თარაზულად:** 1. ოქროს წვრილი ჯაჭვი; 4. გარეული ცხოველის საჭერი მახე; 7. ავსტრალიური პატარა ზომის კენგურუ; 9. საფრანგეთის სამეფო ტახტის მემკვიდრეთა ტიტული; 11. თეატრი ლონდონში, სადაც შექსპირის ტრაგედიები იდგმებოდა; 12. წყნარი ოკეანისპირა კურორტი მექსიკაში; 13. ტრიგონომეტრიული ფუნქცია; 17. ფერადი, გაუმჭვირვალე მინის ნატეხები მოზაიკური სამუშაოებისათვის; 18. კურორტი ბორჯომის ხეობაში; 19. ალპინისტთა მასობრივი ლაშქრობა; 20. უალკოჰოლო გამაგრილებელი სასმელი.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*




# შვეიცარიამ საბანკო საიდუმლოების შენახვაზე უარი თქვა



შვეიცარიამ საბანკო საიდუმლოების შენახვაზე უარი თქვა. ამერიკული „უოლ სტრიტ ჯორნალის“ ინფორმაციით, 15 ოქტომბერს შვეიცარიამ ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციასთან ხელი მოაწერა კონვენციას ამავე ორგანიზაციასთან საგადასახადო ინფორმაციის გაცვლის შესახებ.

კონვენცია ხელმომწერი ქვეყნების მთავრობებს ავალდებულებს ხელი შეუწყოს საერთაშორისო მოთხოვნების დაკმაყოფილებასა და ინფორმაციის მიწოდებას საგადასახადო შე-

გაგრძელება მე-11 გვერდზე

## ასტროპროგნოზი 17 ოქტომბრისთვის

**ყველამ გაითვალისწინეთ!**

**ეს დღე მშვიდადა გაატარეთ**

**ვერძი** – სახლში დიდი სიხარული გელოდებათ. **კურო** – ფული არ გაქვთ, მაგრამ მდგომარეობა მალე გამოსწორდება. **ტყუპები** – არავის ენდოთ, საკუთარი თავის გარდა. **კირჩხიბი** – ახალი სამსახური მოგეწონებათ, ფულიც გექნებათ. **ლომი** – მოულოდნელი ახალი ამბავი დიდი სიხარულს მოგიტანთ! **ქალწული** – არ გარისკოთ, დღეს არ ღირს. **სასწორი** – წარსულიდან ვიღაც ბრუნდება, მას თქვენთვის კარგი ამბავი მოაქვს. **მორიელი** – იმედი გადაგეწურათ, მაგრამ ყველაფერი გამოსწორდება. **მშვილდოსანი** – მიაწყვეთ განტვირთვის დღე, წადით მეგობრებთან. **თხის რქა** – დასვენება გჭირდებათ, გადაღლილი ხართ. **მერწყული** – ზედმეტი აქტიურობა არ არის საჭირო, მხოლოდ აუცილებელი საქმე აკეთეთ. **თევზები** – მთლიანობაში ჰარმონიული დღეა.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**